




ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
EU4Energy



ლილე  
2020





ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
EU4Energy



# „კომუნა-2020”



მარკებები.ელე



თავისები

2020



## გამოშცემელი

### გოჩა ღვინისაზოლი

წიგნი მომზადდა და  
დაკაბალონდა



**Disclaimer:** პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის  
მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად  
პასუხისმგებელია ენერგოეფექტურობის ცენტრი  
საქართველო ([www.eecgeo.org](http://www.eecgeo.org)) და შესაძლოა,  
რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის  
შეხედულებებს.

პუბლიკაცია გამოიცა ევროკავშირისა და ორგანიზაციის  
მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსებული  
პროექტი: „ბიომასის ენერგია და ენერგოეფექტური  
ტექნოლოგიები, როგორც მდგრადი ენერგეტიკული  
გადაწყვეტილებები მერების შეთანხმების  
ხელმომწერთათვის“ ფარგლებში.

ISBN 978-9941-8-2466-1

### ფინასიტყვაობა

„ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“ უკვე ორი ათეულ წელზე  
მეტია ცდილობს პოპულარიზაცია გაუწიოს ე.წ. „მწვანე ტექნოლოგიებს“  
როგორც კლიმატის ცვლილების შემარბილებელ დონისძიებებსა და ქვეყნის  
მდგრადი განვითარების ხელშემწყობ საშუალებებს. მდგრადი განვითარება  
კი, როგორც მოგეხსენებათ მჭიდროდ არის დაკავშირებული განათლებასთან  
და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასთან.

შესაბამისად, ჩვენი ორგანიზაცია ცნობიერების ამაღლების სხვადასხვა  
აქტივობებით ცდილობს მოიცვას საზოგადოების ფართო ფენის წარმომად-  
გენლები, როგორიცაა: მოსწავლეები, სტუდენტები, არქიტექტორები, ურ-  
ნასლისტები, მხატვრები, მწერლებიდა მათი აქტიური ჩართულობით კიდევ  
უფრო გაზარდოს ინტერესი განახლებად და ენერგოეფექტურ ტექნოლო-  
გიებზე. ამ მიზნით „მდგრადი ენერგეტიკას კვირეული 2020“-ის ფარგლებში  
„ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“-მ იმართება გაუკეთა უკვე  
ტრადიციად ქცეულ ლიტერატურულ კონკურს - „ლილე 2020“, სადაც  
მწერლებს და წერის მოყვარულებს შესაძლებლობა პქონდათ წარმოედგინათ  
თემატური წოველები დაკავშირებული მდგრადი მუნიციპალური განვითარების  
ხელშემწყობ „მწვანე“ ტექნოლოგიებთან.

„ლილე 2020“-ის მონაწილეებს საკონკურსო მასალების გაგზავნა  
შეეძლოთ 4 ივნისიდან - 25 ივნისის ჩათვლით. შეირჩა კომპეტენტური და  
მიუკერძოებული ჟიური, რომლის წევრები იყვნენ:

- ქალბატონი თამარ ბოლქვაძე - საზოგადოებრივი მაუწყებლის  
პროდიუსერი, პოეტი, პუბლიცისტი;



- ქალბატონი ციცინო გრატიაშვილი - მწერალი და მხატვარი;
- ბატონი მერაბი ჩხაიძე - რეჟისორი, დრამატურგი, სცენარისტი;
- ბატონი გოჩა ღვინიაშვილი - მწერალი, გამომცემელი;
- ბატონი რამაზ ლოდია - მწერალი;
- ბატონი გიორგი აბულაშვილი, „ენერგოეფექტურობის ცენტრი-საქართველო“-ს წარმომადგენელი;

კონკურსის პირველი ეტაპზე შეირჩა 10 საუკეთესო მოთხოვა, რომლის მიმღევრობაც შეფასების ქულების მიხედვით ამგვარია: 1. „იყალთოელი ბიჭები“; 2. „ჭიაკპონა“; 3. „დაკარგულები“; 4. „თეთრი ღიღილო“; 5. „ოპ, ეს ნაცარქექია“; 6. „იყალთოელი ნათია“; 7. „მარიამი, პრემიერმინისტრი და დედამიწა“; 8. „პაემანი შემოდგომაზე“; 9. „გლეხური ფილოსოფია“; 10. „დედა, მამა, ტრაქტორი და სხვისი შეილები ბაღში“

მეორე ეტაპზე გამოვლინდა გამარჯვებულები: პირველი ადგილი ერგო „რუსო დაბაბაიძე“-ს მოთხოვას „იყალთოელი ბიჭები“; მეორე ადგილი მოთხოვა „ჭიაკონას“ ფსევდონიმით „რკინის მწურავი“, ხოლო მესამე ადგილი ხატია ქრისტესიაშვილის მოთხოვას „დაკარგულები“.

ყველა საკონკურსე მასალა დაიბეჭდა წინადმებარე კრებულში.

მაღლობა ლიტერატურულ პორტალ „ურაკარაკს“ თანადგომისა და მხადაჭერისთვის

ტექსტები დაიბეჭდა იმ ფორმით, როგორც ავტორებმა წარმოადგინეს საკონკურსოდ.

## „რუსო დარბაზის“

„ვარ პროფესიით ფილოლოგი. მიუხარს ლიტერატურა. ვწერ ჭვლაფერს თუმცა ვფიქრობ, რომ კარგად გამომდის პოეზია – ღიღებისთვის და პროზა – ბავშვებისთვის ბოლო წლებია, გამიტაცა ხატვაშ და რადგან გამიტაცა, ამიტომ ვხატავ კიდეც“.

### „იყალთოელი ბიჭები“

როცა დამის ბინდი კალთებს აიკრეფს და ბუების ჩუმი ლუკლუკიც შეწყდება, სახლის აიგნიდან ჰორიზონტზე გაწოლილი კავკასიონის მკრთალი კონტურები გამოჩნდება: ცისფერი, თეთხალებიანი დინზავრი ტეხილი ზურგით.

ასე დიდმა სანდრომ შეარქევა კავკასიონს თავის ზღაპრებში. ზღაპრებს კი იცოცხლე, ბევრს იგონებს პატარა სანდროსთვის.

ბიჭი პაპას შვილმა და რძალმა ჩამოუკევანეს. უცხოეთში მივდივართ და სანამ ფეხს მოვიკიდებთ, შენთან იყოს.

— ამას როგორ უნდა მოვუარო, ჩემს თავს ძლივს ვუვლი! ეგრე კი არ არის, რო არ კითხულობთ, როგორ ვარ, მარტო ფული რო გინდათ და მოსავალი! — აღრინდა კაცი და ცოტა დააკლდა, გინებაც ზედ არ მიაყოლა.

— აბა, რა ვქნათ, მამი, ბავშვთა სახლში ხო არ ჩავაბარებთ, არა?

— შვილმა თითქოს ვერ გაიგო ბოლო სიტყვები, თავის შცოდება სცადა.

— რაც გინდათ, ის უქნით. წელში ვარ მუშაობით გამწყდარი და ეს დამემატოს ახლა მოსავლელადა! — ფეხზე წამოხტა კაცი და ის იყო, კარისკენ გაალაჯა, რომ გარეთ გატეულიყო, მუშტები ერტყა კედლისთვის და ამით დაცლილიყო ბრაზისგან.., მოულოდნელად შეხება იგძნო ფეხებზე.

— არ გამიშვა იმ სახლში, პაპა, — ბავშვი იყო, პატარა სანდრო, ხუთი წლის, პაპასავით ჩაჭუჭნულ ნიკაპზე ცრემლები ენასკვებოდა.



— მე რა უნდა გაგიშვა, შვილო... — ბავშვის შიშით ამოვსებულმა თვალებმა უცებ მძიმე ლოდად აქცია კაცი.

— ჩემთვითონ ვიცვამ ყველაფერს, კბილებსაც ჩემთვითონ ვიხეხავ, ჩემთვითონ ვიძინებ, ჩემთვითონ ვიღვიძებ... — შეშინებული ბავშვი ვეღარ ჩერდებოდა.

ასე შემოვიდა დიდი სანდროს ცხოვრებაში პატარა სანდრო — სათამაშო კალეიდოსკოპის შუშებივით ფერადი და უცნაური სამყაროთი.

დიდი სანდრო ერთი უწნო, უსალმო, კუშტი კაცი იყო, მაგრამ ბავშვმა თითქოს ამოატრიალა და ის სარჩული გამოუჩინა, დროისგან ძაფებამდე ჩამდნარი რომ ეგონა. კაცი ყოველდამე ბავშვობაში მოსმენილსა თუ მოგონილ ზღაპარ-ამბებს უყვებოდა ბიჭს. ეს ამბები და ზღაპრები თითქოს უხილავი სკივრიდან ამოდიოდნენ და ჭრელი ქსოვილის თოვებივით იშლებოდნენ ნაცრისფერ ოთახში. ამ თოვებზე მევე ერეკლეც იყო ამოქარებული და ცხრათავიანი გველეშაპიც, სამასი არაგველიც და დევებიც, ცისფერი დინოზავრიც და ფოთლების ფაზლით აწყობილი ტყეებიც, ხარჯა და გოგიაც და ბარად ჩამოსული ქორბუდაც... „იყალთოელ ბიჭებზეც“ უყვებოდა, იმ წიგნზე, ბავშვობაში რომ უამრავჯერ ჰქონდა წაკითხული, თავი რომ მის მთავარ გმირად წარმოედგინა, აკი, იმასაც სანდრო ერქვა...

ბიჭს პაპასთან ყოფნა უყვარდა, მაგრამ ხანდახან მაინც მოიწყენდა და ასეთ დროს კაცი უხალისოდ უშვებდა მეზობლის ბავშვებთან. ზვდებოდა, ტოლებთან თამაში სჭირდებოდა ბიჭს.

— იცი, აქაც რო ყოფილა საბავშვო ბალი? — მიახარა პირველივე დღეს, მეზობლიდან შინ დაბრუნებულმა,

გახო და თომა დადიან თურმე. ბევრი ბავშვები ვართო, ვერთობითო. ხო მეც მიმიყვან, პაპა?

— სად მიგიყვანო, ბიჭო, — გაბრაზდა კაცი, — ერთი ძველი, გამოყინული ბალია, ერთხელაც რო დაინგრეს და იქ იყო, ხო თავი უნდა მოვიკლა?!

— მე რომ ბაღში მინდა? — ამოისულუკნა ბიჭმა.

— აბა, რა გატირებს? კარგი რომ იყოს, მე თვითონ წაგიყვანდი, განა არა, — დაუყვავა კაცმა, მერე მხარზე ხელი დაჰკრა, — წავიდეთ



ახლა მე და შენ.

ბიჭს არ უკითხავს, სადო, იცოდა, ვენახში წაიყვანდა პაპა.

წლებია, ეს იყო დიდი სანდროს გაჭრილი გზა — ათასჯერ და მეტჯერ გავლილი, უხიფათო, მაგრამ დამღლელი ერთფეროვნებითა და დაუწოდავი შრომით.

ვენახს, განა ცოტა რამ სჭირდებოდა: რამდენჯერ გასხვლა, შეწამვლა, მიწის დამუშავება, მორწყვა... წელიწადის ოთხივე დრო — მუხლჩაუხელელი შრომა და მუდმივი შიში უამინდობის... ერთ წამში რომ შეეძლო მიწასთან გაესწორებინა შრომაც და მომავლის იმედიც.

იმ დღესაც ერთად წავიდნენ ვენახში.

— გახსოვს, რო გითხარი, პატარა რო ვიყავი და რო შეგონა, რო ვაზი პირდაპირ ჩურჩხელებს ისხამდა, — ჩაკუჭკუჭდა პატარა სანდრო, ახლა კიდევ ყველაფერი ვიცი!

სახლში თუ ზღაპრებისა და ამბების ჭრელ თოვებს შლიდა კაცი ვენახში ვაზზე უყვებდა ბიჭს. უყვებოდა, რომ ვაზი მარტო ყურძენი, ღვინი და ჩურჩხელა არაა, უძველესი მცენარეა, იმაზე ძველი, ვიდრე კაცობრიობა, რომ საქართველოში ვაზის უამრავი ძეგლი ჯიშა, ვაზი ჩენთან ყველაფერშია: წეს-ჩეულებებში, ორნამენტებში, ლექსებში, სიმღერებში, მხატვრობაში, ტაძრებზე... რომ ყურძენს სამკურნალო თვისებებიც აქვს, რომ ესაა შემოსავლის წყარო და ეკონომიკა.

ბიჭს ბევრი რამ არ ესმოდა, სიტყვა „ეკონომიკაზე“ სულაც გულიანად იცინოდა, აი, ერთ თქმულებას კი ასჯერ აყოლებდა პაპას. ამ თქმულებაში ომში წასული ქართველი მეომრები ვაზის ლერწიან გუდას იკიდებდნენ ზურგზე, რადგან იცოდნენ, თუ მოკვდებოდნენ და ვერავინ დამარხავდა, ლერწი მაინც გაიდგამდა ფესვს, გაიზრდებოდა და რამდენიმე წელიწადში სივალილის გელს ვენახად აქცევდა.

— პაპა, როველი ხო მალე იქნება? — მერამდენედ ჰკითხა ბიჭმა.

— მალე იქნება, აბა, — უთხრა კაცმა, ვენახს თვალი მოავლო.

— პირველად უნდა ჩავდე საწნახელში! დიდი ვარ უკვე, -გაიბრიქა ბიჭი, — და ჩურჩხელებიც უნდა ამოვავლო.

— ღმერთმა გისმინოს, ყველაფერი შშვიდობით დამთავრდეს და...

— ჩაილაპარაკა პაპამ, — ახლა მთავარია, ამინდმა დაგვაცადოს. ამ ბოლო დროს გვიბრაზდება ბუნება. რასაც ჩვენ ხეებს ვჩეხამთ... მა



ქარი და ქარიშხალი რაღამ უნდა შეაკავოს? ან მიწაში რო ფესვები არ იქნება, ის მიწა ჩამოიშლება, მა რა. ან ამხელა მდინარეებს რო მილებში მოუნდომებენ ძაფიგით გაყრას, გამგელდება, მა რა. ამასწინათ თქვეს ტელევიზორში, ისალნდიაში, მყინვარი დადნაო, და ხალხმა მადლობა გადაუხადა და ყვავილებით გააციალაო. აგე, გახედე ახლა, ეს კავაკსიონი რო დადნეს...

პაპა, კავკასიონს გაჰყურებს ხელმოჩრდილული, — „რასა ვზაფრავ ამ ბავშვსა ახლა“, — თან ფიქრობს, მაგრამ ათასი ცუდი ფიქრი უტრიალებს თავში, თითქოს ხედავს, როგორ დნება თოვლი კავკასიონზე, როგორ რუსება მთები, მერე ეს დამდნარი თოვლი ფარავს ალაზნის ველს, ტყეებს, ბაღებს, სახლებს... „ჯვარი გვწერია“ — პირჯვარს იწერს, „ჯვარი გვწერია“.

— ნუ გეშინია, პაპა, — ესმის ამ დროს ბიჭის ხმა, — ეგ ხო ჩვენი კეთილი დინოშავრია, არ დადნება!

— პმ, ეს მარცვალია რო აქეთ მამხნევებს, — ფიქრობს კაცი, მერე ისევ ვენახს გაჰყურებს. შეს იწვეთებს მტევნებში ვაზი, ბზუან მწერები, თითქოს მათი შხიარული ორკესტრი წინასართველო რეპეტიციას გადის.

„ღმერთო, წელს მაინც დამაცადე, ჩემი ბიჭი პირველად უნდა ჩავაყენო საწნახელში“ — ფიქრობს კაცი. წინა შემოდგომას მიწასთან გაუსწორა აქაურობა სეტყვამ, იმის წინაც... ინდობს და ამას არ ეუბნება ბავშვს. შიში კი ერთ წამსაც არ ასვენებს. ჰოდა, მოიშორებს ამ ვენახს! აღარც ამ შიშით ცხოვრება შეუძლია და აღარც შრომა. დაბერდა უკვე. აი, წელს პატარა სანდრო გაახაროს რთველით და მერე...

— გავჩეხავ აქაურობას და მოვისვენებ! -წამოსცდება ფიქრის ბოლო ხმამაღლა.

— რას გაჩეხავ? — კრთება ბიჭი. .

— არა პაპა, ახლა კი არა, — ამშვიდებს კაცი, — გაისად დიდი საზამთროები გადაეკოტრიალოთ აქეთ-იქით.

— ესეც იყოს და ისიც, პაპა, — ვერ ხვდება ბიჭი.

— მიჭირს უკვე პაპა, — ისევ თავს იმართლებს კაცი.

— პაპა, რთველის მერე ხო დაისვენებ? — ეკითხება ბიჭი.

— ეეჱ, აქედანმერე იმდენი წალამი მექნება გასატანი. უჱ, რეებს



გიყვები, კაცო. წამო, წავიდეთ ახლა, — ეფერება და წინ უშვებს ბიჭს.

სახლთან მისულებს მეზობლის ბავშვები ზვდებიან, ჩვენთან შემოდიო, ეხვეწებიან მეგობარს.

კაცს ეს არ სიამოვნებს, მაგრამ სხვა რა გზა აქვს, მარტო შედის შინ და ტახტზე წევება.

— პაპა! — ესმის ბიჭის ხმა.

კაცი თვალებს უცებ ახელს, ჩასძინებია დაღლილს.

— ბალი გააემონტესო, პაპა! ხო მითხარი, კარგი რო იყოს, გატარებდიო, ჰოდა, კარგია ახლა, პაპა! — ცმუკავს გახარებული ბიჭი.

— გაარემონტეს არა, ისა, — წყრება პაპა.

— გახომ და თომამ მითხრეს და ავთო ძიამაც, — უხსნის ბიჭი.

— მაგ ხელა კაცი რაღას გატყუებს! — ბრაზობს კაცი. არც სჯერა და არც უნდა შვილიშვილმა ბაში იაროს!

თავის გვერდით უნდა ჰყავდეს! ერთი გაარკვევს ახლა, რას აბრუებენ ამ ბავშვს...

აღარც ახსოვს, ბოლოს როდის იყო მეზობელთან შესული. იქ კი, ავთომ, მეზობლის ბიჭმა, ძლივს ჩვენთან შემოსვლა იკადრე, ახლა ისე არ გავიშვებთ, უნდა დაილოცოო.

სხედან სუფრასთან. ღვინოს სვამენ, ავთო ლაპარაკობს და დიდი სანდრო უსმენს გაფაციცებით.

— ისეთი რემონტი გაუკეთეს ამ საბავშვო ბაღს, სანდრო პაპაო, ლამის მეც ავდგე და ვიაროო, და აბა, შენ თუ მიხვდები, რითი უნდა გაათბონ იქაურობაო,

— რითი და შეშითო, პასუხობს კაცი.

ჰეეო, ცცინება ავთოს, შეშით კი არა, წალმითო! უკვე გააიარა ტესტირება წალმის შემგროვებელმა და დამაქუცმაცებელმა ტექნიკამო. ეს ნიშნავს განახლებადი ენერგიის მიწოდების ჯაჭვის შექმნას შენობების გასათბობადო. ამ შემთხვევაში, ვენახის ნასხლავითო. მოიცა, ჩავიწერე, მაგას ისე მე ვერ დავიმახსოვრებდიო, ავთო ტელეფონს იღებს და კითხულობს: „პროექტი განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული “CoM DeP” პროგრამისა და პროექტი „ბიომასის ენერგია და ენერგოეფექტური ტექნოლოგიები, როგორც მდგრადი ენერგეტიკული გადაწყვეტილებები მერების შეთანხმების ხელმომწერი ქალაქებისთ-



ვის“ ფარგლებში. კიდევო, ეს პროექტი თანდაფინანსებულია თელავის მუნიციპალიტეტის მიერ და მას ახორციელებს ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოში.

ჰოდა, აწი კარგად შეგვეშველება ეს ტექნიკა, მაგით გამოიტანენ წალამს ვენახებიდან, დააჭუცამცებენ. და მერე მიდიო, დედა უტირე, ეგ ათბობს და აღუღუნებს ყველაფერსო.

ვააპო, დიდი სანდროს გაოცებისგან თვალები აქვს გადიდებია, ეგ როგორო, კაცო?!

აი, ასეო. გაახარებთ ღმერთი, ჩვენც რა შრომას აგავცილებენ და ბავშვებიც იქნებიან კოზტად და თბილად, თან გარემონტებულ ბაღშიო. ეგეც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ენერგო ეფექტური მოდერნიზაციისთვის შეირჩა და გარემონტდაო.

დიდი სანდრო ამდენი უცხო ინფორმაციისგან გაბრუებული, კარგად ვერც ხვდება, როგორ მოხდა ამდენი ამბავი ისე, რომ თავად არ გაუგია. თუმცა მეზობელთან რომ არ შემოსულიყო, ახლაც ვერაფერს გაიგებდა. არადა, წალმის გამოტანაში რომ შეეხიდებიან, ეგეც საქმეა და ამ წალმით რო გაათბობენ შენობებსა... ვააპ! თან საბავშვო ბაღსო... ჰო, ატარებს თუ არა იქ პატარა სანდროს?

\*\*\*

— აბა, როგორა ხარ, როგორ იქცეოდი? — ეკითხება პაპა შვილიშვილს.

საბავშვო ბაღშია. აქ ყველაფერი ახალია, კარადები, მაგიდები, სკამები, სათამაშოები, ნახატებიანი წიგნები... ბრწყინავს და კრიალებს იქურობა.

— იცი, საახალწლო ზეიმი გვექნება! — ცქმუტავს ბიჭი. მერე პატარა კარადას თავად აღებს და თავადვე იცვლის და იცვამს ყველაფერს.

„დიდია უკვე“ — ეღიმება პაპას.

არც ისე დიდი დროა გასული იმ დღიდან, ვენახში რომ იდგენენ და პაპა ვენახის გაჩეხვაზე ფიქრობდა. რაღაც კარგი საქმეები კეთდება და იმედი მომეცაო, თქვა მერე. არც ისე დიდი დროა გასული რთველიდან, აუსრულა ღმერთმა ნატვრა და ჩადგა პატარა სანდრო საწახელში,



არც ისე დიდი დროა გასული, რაც საბავშვო ბაღში შეიყვანა პაპაშვილიშვილი — იქაც იმედიანად და სიმშვიდით.

ახლა კი, გადიან საბავშვო ბაღის ღუღუნა შენობიდან იყალთოელი ბიჭები — დიდი სანდრო და პატარა სანდრო. მათ უკან არათანაბარი გვირისტით — დიდი და პატარა ნაფეხურებით იკერება დათოვლილი ბილიკი. შორს ბინდშეპარულ ამღვრეულობაში ოდნავ, მაგრამ მაინც მოჩანს ცისფერი დინოზავრი თეთრი ხალებით და ტეხილი ზურგით — აქაურობის კეთილი მცველი.



## „ՀՅՈՒՆԵ ԹՇԱՐԱՅՈ“

„ມົງກລູງແດ ມອນກົດນາລີ ຖາວ, ຮັກໂນດສ ພື້ນ່າວກຕາ ດາວໂຫຼດນິກ, ມີເບື້ອງຮູ່ຕາ  
ຮັກໂດຍດັບ. ປະຕຸາຫຼາ ສີຕຸພະນິກ ສາມັກງົດລົມ ມາກົງວິ. ຮົກຈອນຫຼັງ ອີ່ມີສ ລົຖາຖ ມາມາ-ຫຳ-  
ຫາສ ຫຼື່ງກລູງແດບີວ ຄູງ ປົກປົກ ແລ້ວ ຄູງ ປົກປົກ ສີຕຸພະນິກ ຂັກວາລົ. ອີ່ມີທານ ນາຕົກງົດມີ  
ຄູງ ດັບໂດຍລັດ ທີ່ ດັບໂດຍບົດ ແລ້ວ ທີ່ ດັບໂດຍບົດ. ມື່ງດົມລົມບີວ ດົມເງິນຫຼັກຕົວ ດາວໂຫຼດນິກ“.

ჭიათურება

- გაიქა შვილო, ითამაშე და მასწავლებელი არ გააბრაზო-დაადევნა მახარაძ საბავშო ბაღის კარებში გასხლეტილ შვილიშვილს.
  - ნურაფრის გედარდება მახარა პაპავ, ძალიან კარგი ბიჭი გყავთ, მხიარული და დამჯერი. გამოსძახა ბაღის მასწავლებელმა მზრუნველ მოხუცს.

\* \* \*

გზად საღალაქოსკენ გადაუხვია წვერ-ულვაშის გასაკრეპტად. დილიდანვე უნამუსოდ ცხელოდა. მოხუცმა ტყეს ახელა, მერე ქუდი მოიხადა და თავზე დინჯად გადაისვა ხელი.

მასარას ქოჩორივით გათხელებულიყო სოფლის ტყევ

\* \* \*

- შენა დიდი ხნის ჯადოქარი ხო არა ხარ შემთხვევით და გვი-  
მალავდი? -დაეჭვებით ჰკითხეს სადალაქოში შესულ მახარას ბიჭებმა.
  - თქვენა ცოტა ალაოდ ხო არა ხართ ამ დილაადრიანად... რა  
გინდათ კაცო?
  - არა, არა, წინასწარმეტყველადა ხარ შენა ამ ქვეყნად გაჩენილი  
ნამდვილად ან რაღაცა იცოდი და არ გვეუბნებოდი...
  - გულმა უგრძნხო გულმა...



- რა იკლი-ბაკლო მელაპარაკებით, რამ გადაგრიათ ამხელა ხალხი აღარ იტყვით?
  - ახალი გაზეთი ნახე?
  - არა.
  - ნახე აბა...
  - რაო?
  - ნახე, ნახე... ერთხმად მიაძახეს შეფიქრიანებულ მახარას მოხუცებმა და სტოლზე გაზეთი გადაუშალეს.
  - გაზეთში ერთ ადგილას მსხვილი ასოებით ეწერა შემდეგი:
  - ....პროექტი ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტში სოფ. იყალთოსა და ქ თელავის საბავშვო ბაღების სრულ რეაბილიტაციას. ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგოტექნოლოგიების გამოყენებით მოხდება ბუნებრივი გაზისა და შეშის ჩანაცვლება წალაშე მომუშავე ინოვაციური ავტონომიური გათბობის სისტემის მოწყობით. რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების ეფექტურ გამოყენებასა და ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებას.“
  - ცოტა გასაგებად რო ამისსნათ ვერა გოგი? -მიუბრუნდა მახარა დალაქს.
  - რაო და გეშველა, მახარ, გეშველა...
  - მარტო შენ კი არა, მთელ სოფელს.
  - მომავალ წელს ვენახის გასხვლას რო მოვრჩებით, ვენახიდან წალამს ჩვენს მაგივრად სპეციალური წალმის საპრესი ტრაქტორი გამაიტანს, მერე წაიღებებ ჩვენი სოფლის საბავშვო ბაღში და მთელი ზამთარი ბალლები თბილად იქნებიან.
  - თბილადაო? რაო ჭიაკოკონის დანოებას ხომ არ აპირებენ ეგენიც? — საუბარში ერთვება იყალთოელი არსენა, დიდი არსენ იყალთოელის მოსახელე, მთელ სოფელში ცნობილი თავისი მხიარულებით და მახვილგონიერებით.
  - შენ რაც გინდა დაუმახე არსენ, ბალლები კი აღარ დაიწამლებან გაზით და ჩვენც მშვიდად ვიქნებით აგე, რამდენი აფეთქება ხდება, გაზი რო იუნება. ჯვარი სწერიათ ...
  - აშენდა ღმერთო შენი სამართალი— გულიდან ამოხდა მახარას და გამომცდელად მოავლო თვალი ძველ მეობრებს.
  - ჰო, უგრია, ალბათ საჭმელსაც წალამზე მოუმზადებენ ბალლებს.



— რავი რა გამაიგონეს ეგეთი. გაზტე ეკონომიურიცა ყოფილა და შეშაზე უსაფრთხოც. ეგე მანდ არ არი გაზეთი წაიკითხეთ ბოლომდე.

— თან ჩვენებურს მიუღია მონაწილეობა მაგ პროექტის შექმნაში.

— ვისა კაცო?

— ეგე დაღლებიანთ ჯანოს შევილიშვილს გიორგის. კარგი კაცი იყო ძიანო, ორმოცდაორში ნაომარი და კარგი შევილიშვილიც გაუზრდია — სოფელზე უფიქრია პაპაცხონებულს.

— როგორც ამბობენ, მთელი კახეთი უნდა ჩაერთოს ამ პროექტში, დაისვერებს ხალხი.

— რათა მარტო კახეთი? ქართლში და იმერეთში ნაკლები ვენახებია?

— რაც წალმის ხელით ჯერ ჩაკუწვას, დაწყობას, მერე შაქუჩებას, შაკვრას გამოტანას შინ წამოღებას დრო უნდა და ხარჯი, იმ დროში და იმ ფულით კაცი სხვა რამეს გააკეთებს ვენახში. ჯანსაც დაზოგავს და საქმესაც წინ წაიგდებს.

— ნაღდი ხარ გოგი ნაღდი...

— თუ ტრაქტორს დასაწვავად გამაატანინებ კიდე... ჯერ უნდა ეხვეწო ტრაქტორისტს, მერე ამოღენა საწვავი და ფული მიღის. არ გამაიტან დროზე და ახლა ვენახის გულებს გაფხვიერება უგვიანდება...

— ჰო, ჰო უცებ უცემა ხოლმე დალოცვილს ბალახი და მერე მთელი ვენახი სათიბი გიხდება.

— ერიჲაა... ეხლა ისე არ გააკეთოთ ვენახის თავში და ბოლოში მწვადის შასაწვავი წალამი აღარ დატოვოთ. წამაიღეთ ერთი ორი კონა და დააგდეთ სათონებში. ვინ იცის როდის ჩამოგივლით ქორივით თითო ჭიქის გადასაკრავად. -სიტყვა მოისწრო არსენამ.

— შენ რო თითო გეეოფა...

— ჲა, თქვით ეხლა ჩვენ როდისლა ვიქეიფოთ წალამზე? — დაიქუხა გოგიამ

— დილას აქეთია მაგასა ვცდილობ გოგი და ამ ჩვენი რაიონის გაზეთ აქეთ-იქით დავაფრიალებ მექობრი იალქანივით, მაგრამ ვერცერთი ვერ დაგძარით ადგილიდან. უთხრა დალაქს ბერდიამ.

— აი, მახარას ველოდებოდით და რას დაგვძრავდი.... ჲა, მახარ, როგორა ხარ პირობზე?

— ძაან მოგწყურებიათ, აი, ჩემი ქვევრისმზე... — გაეცინა მახარას,



მიხვდა საითკენაც უმიზნებდნენ ბევრისძველი პურისმჭამლები.

— ჲო რა იყო, შენ არ ამბობდი მუხლი აღარ შამრჩა ამდენი ფიჩხის ზიდვითაო? ნეტა ვინმე წაიღებდეს და გამაცლიდეს ამ წალამს. საცა იტყვით, როცა იტყვით და რასაც იტყვით იმას ვიკისრებ ყოველ წელ-წადსო-გახსენა ბერდიამ მახარას წლობით დანაპირები.

— იმასაც ამბობდა აღარც ტრაქტორისტების ხვეწნის გული მაქვს და არც თქვენი საცოდაობის ყურების თავი, ერთხელ უნდა ავდგე და წლის მოსავალით პატარა ტრაქტორი ვიყიდო მარტო ამ საქმისთვის. მერე ერთიანად გამოვაქუჩო ხოლმე მთელი სოფლის წალამი და იმხელა ჭიაკოკონა დავანთო — ყოველ წელს წვერი ცას უწვდენდესო.

— კიდე რას ამბობდა კიდე...

— მერე ყველა ეშმაკი, ქაჯი და მაიმუნი შიგ უნდა შავრეკო და ზედ უნდა ვახტუნავოო.

— ჲო, ჲო, ეგრე იყო ... — დაეთანხმნენ სიცილით აქეთ — იქიდან.

— ბოლო-ბოლო კისრულობ თუ არა?

— დაიცათ ბიჭებო, ცოდოა ერთი კაცის კისერი, ყველას გვეშველა და მარტო ამან რად უნდა იკისროს, ჩვენც უნდა გავიდეთ წილში. წამოიწია არსენამ.

— ნეტა მომავალში ისეთი რამე მაიგონონ, მარტო საბავშვო ბაღები კი არა, სკოლები საავადმყოფოები, სოფელიც და ქალაქიც ვაზისაგან თბებოდეს მარტო. აღარც შემა იყოს საჭირო აღარც გაზი და აღარც დიზელი. ტყეც დაისვერებს, ვენახიც და ჩვენც. ეხლა კი აიშალებით და გამამყევით ქორებო, ვისაც დასალევად გული გერჩით. -თქვა ღიმილით მახარამ და კარში გავიდა.

— აპა, თავისას არ იშლის... კიდე რაღაცა მაიგონა, შენა მგონი გინესის წიგნში ხარ შასატანი და არ იცი ... ხითხითით მიჰყეა მახარას ბერდია.

— გავიდეთ, გავიდეთ და საქმეს შევუდგეთ, აღარ გადავდოთ პურ-მარილი. გადაღებული საქმე ხო იცით ეშმაკისაა — ასე სიცილ-ხარხარით გაიკრიფნენ ბიჭები გოგიას სადალაქოდან და მახარას მარნისაკენ აიღეს გეზი.



## ხატია ქრისტიანული

“დაკარგულებში” მოთხოვილია შარტოხელა ქალის ამბავი, რომელიც თავჭუდმოგლეჭილი გაურბის გარემოს და გვიან ხვდება, რომ დრო და სიგრძეც პორიზონტივით ილუზია და გასაჭცევი არსად არ არის!

### დაპარგულები

ჭილდწოდის სანაპიროზე, როდესაც ოქტომბრის მხე ოკეანედან ამოსვლას ლამოს და შეუბრალებლად აწითლებს ცას, მე და რაქსი სასეიროდ გამოვდივართ და ჯერ არ გამოფხიზლებული დედამიწის ხმამაღალ სუნთქვას ხარბად გუერთდებით. ის ჯერ სულ ახალგაზრდაა, სხვა ძალებთან ერთად ტალღებს დაუღალავად ეთამაშება და დრო და დრო ჩემთან მორბის, რომ მაჩვენოს თუ როგორ შეძლო ამხელა ოკეანის სათამაშოდ გამოწვევა. სანამ ის თავის ანც ხასიათს ბუნებას უნაწილებს, ტალღების მოტანილი ოქტომბრის ქარი ძველ მოგონებებს აღვიძებს ჩემში:

...მშობლიური იყალთო, ცივი, თოვლიანი იანგარი, სუსხიანი ქარი სიარულს მიძნელებდა და ფეხსაცმელზე წინდებ ამოცმული, ნელ-ნელა მივდიოდი საბავშო ბაღისკენ. სოფის სიცივისგან ლოყები დასწითლებოდა, თოვლში ფეხი უცურავდა და ხელში აკვანილს ძლიერ ვიკრავდი გულში, რომ ჩემი უნებური ცრემლი არ შეენიშნა:

— ჩენ აუცილებლად წავალთ აქედან! — მალიმალ კურში ვუწურ-ჩულებდი.

— სად წავალთ დედიკო? — მკითხავდა ხოლმე ბავშური ინტერ-ესით.

— სადაც არასოდეს შეგვეშინდება სოფი,  
— რა კარგია დედიკო! — მეტყოდა, მაგრად მომხვევდა ხელს და ჩემზე სრულად მონდობილი გულში ოცნებას აფერადებდა.



ყინვის დროს ხშირად გვიძნელდებოდა საბავშო ბაღში მისვლა და დაგვიანებულებს სოფის მასწავლებელი ისე გადმოგვხედავდა თითქოს ერთი სული ჰქონდა როდის წამომაძახებდა: „აბა რა გეგონა, უპატრონოდ ბავშვს, რომ აჩენდიო?“. თუმცა ძალიან რომ გამიჭირდებოდა ის ერთადერთი იყო ვინც ბაღის სამხარეულოდან სოფის სადილს სახლში ატანდა ხოლმე.

მარტოხელა დედობას, რომელი სამსახური დაგიდევდა. საღამოს სახლში წასვლის დრო, რომ მოახლოვდებოდა მაშინ ახსენდებოდა ოფიშში ახლად დაბრუნებულ უფროსს ანგარიშის ჩაბარება და რჩევა დარიგების გაცემა, რომ უნდოდა. მოუსვენრად ვუსმედი და საბავშო ბაღის სარქმელში სოფის მომლოდინე, შიშისაგან გაფართოებული თვალები მელანდებოდა. ამიტომ ვერ მოვერგე სტაბილურ სამსახურს და სარეკლამო კომპანიაში ფლაიერების გამავრცელებლად დავიწყე მუშაობა. შეკვეთები ხშირად აქ ჰქონდათ, მაგრამ როგორც კი ძალიან გამიჭირდებოდა საქმეც მაშინვე გამოჩნდებოდა ხოლმე. თუმცა სამუშაო გრაფიკი კარგად იყო ჩემზე მორგებული, მაინც არ მიყვარდა ეს საქმე. მახსოვს ერთხელ ავტომანქანის დაზღვევის ფლაიერები მომცეს გასავრცელებლად სლოგანით: “თქვენ არ შეგიძლიათ თვალებ გახელილმა დააცემინოთ“. როდესაც შუქნიშანზე გაჩერებულ მანქანებზე ფლაიერებს ვარიგებდი და გაფუფულ მძღოლებს დაზეპირებულ სლოგანს თავზე ვახვევდი, მისი მანქანა შევიშნე. გულმა რეჩხი მიყო და ისე გავიქეცი გზად მოხუცი ქალის სკამს დავეჯახე და გასაყიდად გამზადებული გულმოდგინედ გახვეული თუთუნი ძირს დავუფანტე. „თხაო“ მომაძახა, მაგრამ მე უკან მოუხედავად გავრბოდი, სწრაფად შევარდა სადარბაზოში და აკანკალებული კედელს ავეკარი. თვალებ დახუჭული გულში მტკიცედ ვპირდებოდი სოფის, რომ აუცილებლად წავიდოდით აქედან!

— სად წავალთ დედიკო? — მესმოდი ოცნებისთვის გამზადებული მისი ხმა.

— იქ სადაც არასოდეს შეგვრცვება და დავიმალებით სოფი.

— რა კარგია დედიკო!...

პატარა, წითელი აგურით ნაშენ, ძველისძველ სახლში ვცხოვ-რობდით. სახლის წინ ეზოში, ჩვენი მთავარი საგანძური, რამდენიმე



ძირი ვაზი გვქონდა დარგული. მე და სოფი საქმეს სიხარულით ვინაწილებდით და მის მოვლაში ერთად ვიღებდით მონაწილეობას. სოფის პატარა ხელებით შეკრული ნორჩი ყლორტები ყოველთვის მსხვილად მძიმდებოდა და აღტაცებით ავსებდა მას. პირველად ახლად გასხლული ვაზის ჭრილობიდან გადმოდენილმა ცრემლმა გაუჩინა ხატვის სურვილი და მას შემდეგ ხატვა არც არასოდეს შეუწყვეტია. დღეს კი უკვე დიდ წარმატებას მიაღწია და მსოფლიოში უამრავი მოყვარულიც გაიჩინა. თუმცა მის ნახატებში ყოველთვის მოჩანს ნამტირალევი ჭრილობიდან ამოზრდილი ვაზის ნორჩი კვირტი. მოუთმენდალ ველოდით შემოდგომას, აღებული მოსავლიდან ცოტა ღვინოს ვწურავდით, თათარას ვხარშავდით, ქიშმიშს ვამზადებდით, ჩურჩელებს ვავლებდით, მისი წყალობით სიტკბოება არ გვაკლდებოდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის იყო ჩვენი სიხარულის წყარო, თუმცა ღმერთმაც ხომ ის გამოარჩა მის სისხლთან საზიარებლად და ჩვენც მადლობის ნიშნად დღენიადაგ ველოლიავებოდით და ვცდილობდით ჩვენი საგანძურისოვის არაფერი მოგვეკლო.

ერთ გაზაფხულს ისეთი ძლიერი სეტყვა მოვიდა ახლად გაკვირტულ, ჩვენს ნაფერებ ვაზს ერთი მწვანე ყლორტი არ შეარჩინა. დილით ხმამაღლა დავტიროდი დაგლეჯილ ფოთლებს და გადარჩენილ კვირტებს უშედეგოდ ვექებდი. სოფი სლუჟუნით დამყვებოდა უკან და ცრემლები დაპაღუპით ჩამოსდიოდა. როდესაც ტირილისგან გული ვიჯერეთ, სოფი კალთაში ჩავისვი და მტკიცედ ვუთახრი:

- ჩვენ აუცილებლად წავალთ აქედა!
- სად წავალთ დედიკო? — მკითხა და სწრაფად მოიწინდა ლოფაზე ჩამოგორებული მსხვილი ცრემლი.
- იქ სადაც იმედი არასოდეს გაგიცრუგდება სოფი.
- რა კარგია დედკო!

მართალია ჩვენი პატარა სახლი სოფელში ერთ-ერთი ყველაზე უბრალო და დარიბული იყო, მოწილე იქ მაინც ბევრი გვეყვდა. ამიტომ მე და სოფი გამუდმებული შიშით ველოდით საყვედურით სავსე ნათესავების თავზე წამოდგომას. ისინი თვეში ერთხელ მაინც გამოგვივლიდნენ, აღმაცერად, საყვედურით სავსე თვალებით გადმოგვებდა და ვდნენ და უსიტყვო ბუზღუნით იწყებდნენ დალაგებული სახლის



კიდევ ერთხელ დალაგებას. ამ ღროს სოფი ძლიერ მომიჭერდა ხოლმე კაბაზე ხელს და იჯდა ჩემთან ერთად თავჩაღუნული. როდესაც ჩვენი კეთილისმყოფელები ზიზღნარევი სიჩუმით გაიხურავდნენ კარს, მე ფრთხილად ვუჩურჩულებდი ხოლმე სოფის:

- ჩვენ აუცილებლად წავალთ აქედან!
- სად წავალთ დედიკო? — მოუთმენლად მკითხავდა იგი.
- იქ სადაც თავისუფლები და ბედნიერები ვიქნებით,
- მალე წავიდეთ დედიკო! ...

რაქსი მეგობარმა ძაღლებმა შუა თამაშში მიატოვეს. ის კი უფრო მეტს ელოდა, მისი დაუღალავი ენერგია უფრო მეტს სთხოვდა, ამიტომ იმედგაცრუებული დაბრუნდა ჩემთან და თანაგრძნობისთვის თავი კალთაში ჩამიდო. მე მას სევდიან და ცელქ თვალებზე დავუწყე კოცნა და ვუთხარი:

— მე ისეთ დაუკიწყარ ადგილას წაგიყვან, სადაც ჰაერში ბადაგის სუნი ტრიალებს, სადაც ყველაფერი ისეთი გულწრფელია, რომ სიმართლე არავის აკვირვებს და სადაც ვერასოდეს დარჩები მარტო რადგან იქ ისე ახლოსაა ღმერთი შენც კი შეიძლება ცხონდე ჩემო კუდრაჭა!

მოფერებამ რაქსის მოწყენილობა გაუფანტა. განახლებული ენერგიით სახლისკენ წავედით და სტარბაქსთან, ყავის მომლოდინები, რუტინულ დღეს შეჭიდებული შშრომელების რიგს მხარულად შევუერთდით. უკვე კარგად გათენებულიყო. დედამიწას საქართველო ჩრდილში მოექცია და დროებით ამერიკა მიეშვირა მზისკენ. ბუნების ყველა ქმნილება თავის მოვალეობას დაურღვეველი სიზუსტით ასრულებდა და ღრო წრიულად გაპყავდა. მეც ამ რბოლაში ჩაბმულს, ხანდახან, ჩემში დაუკითხავად ჩადებული სინდისი თუ გამახსენებდა, რომ მე სწორედ ამ კომენტული წრის გასარღვევად ვიყავი გაჩენილი, რომ აუცილებლად უნდა დამეძლია ღრო და სივრცე და როგორმე ვხლებოდი ღმერთს... მაგრამ ბევრია კიდევ გასაზრდელი, განა ამაოდ ბრუნავს ღმერთივით ჩუმი, უსამართლოდ კეთილი და უდალატო ჩვენი მიწა.



## „ნინა გორდაქე“

ძვირფასო მკითხველო, იქნებ არასღროს მომეცეს საშუალება ასე მოვმართო, ამიტომ მომენტს გამოვიყენებ გთხოვა თითქოს ბანალური წინადაღება, რომ ცხოვრება მშვენიერია და მას ისე უნდა შევხედოთ, როგორც ერთ საოცარ თავგადასაგალს, ამიტომ ახლა და აქ გეუბნები. ჩვენ, ადამიანებმა, ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ რასაც გვაძლევს სიცოცხლე საკუთარ გზაზე, ცხადია შიგ სიკეთის მარცვლის გაღვივებით და არამარტო, ასევე მნიშვნელოვანია ჩვენს გარშემომჭიდებული მივცეთ სიკეთის კეთების საშუალება და რაც მთავარია, მისი მიღების უნარი გვჭინდეს. ამას რატომ გეუბნები? ეს ხომ ისედაც იცი? უბრალოდ სხვა არაფერი მაქვს სათქმელი, რომ თავი წარგიდგნონ, არც ლიტმოლვაშე ვარ, არც კონკურსების ლაურიატი და არც წიგნის ავტორი. მოკლედ სატრაბ-ხო არაფერი მაქვს, შენ წარმოიდგინ არც განათლება, თუმცა ვიცი, რომ დარღის საგნად არაფერი უნდა გადავაწყო და ასეც ვაქცევი. ვცდილობ მაიც. ხოლო სიხარულს რაც შეეხება ის ყველგანაა, მთავარია მისი დანახვა შევძლოთ. მეც ბევრი რამ მომეპოვება სასიხარულო, თუმცა არც ამით ღირს წატრაბახება. ამიტომ მხოლოდ სურვილით შემოვიფარგლები: ყველა სიკეთე!

## თეთრი ღიღილო

- გამარჯობა, კატო ბაბო, როგორა ხარ? რამხელა გაზრდილხარ, გოგო! — მანქანიდან გადმოუსვლელად გამოსმახა გიგიმ გზად მიმავალს.
- ვაჲ, გიგილო, თეთრო ღიღილო! რა ქარმა გადმოგაგდო ჩვენკენ? ისე გადაეხვივნენ და გადაკოცნეს ერთმანეთი, როგორც ღიღი ხნის უნახავებს შეეფერებათ.
- ქარი მრავალი დაქრის, რას გაიგებ. მართლა როგორ გაზრდილხარ, გოგო. ერთი წელია არ მინახისარ და აჲა! ბოლო-ბოლო გაასწარ კატუშას სიმაღლეში? რა ქალი იყო ბაბოშნი?! ბლის რამდენ

## თეთრი ღიღილო



„ნინა გორდაქე“

უნწყლასაც შევუჭამდით დათვლილი ჰქონდა, მაგრამ ყველა შეგვარჩინა. ვიცი წუხელ ჩემ ბალზე რომ ისხედით, ტოტებ ნუ მამიმტვრევთ, თორებ ისე, ღმერთმა შაგარგოთ, ხილი თქვენიაო, ამბობდა და თან თითს გვიქნევდა.

— იმის გასწრებას რადა უნდოდა?! გასწრებასაც მოვასწარი, ხარობდა. ისე, ერთი წელი კი არა, მეტია რაც არ ჩამოსულხარ. შარშან როველმიც კი არ ყოფილხარ. დიდი ხნით გვესტუმრე, თუ?

— საქმებ დამიძახა.

— შენ და საქმე? ვნახოთ, ვნახოთ. — გაიღიმა კატომ და გიგის კიდევ ერთხელ მოწყვიტა აღფრთოვანებული მზერა.

— გეჩქარება სადმე? გაგიყვან.

— არა აქვე, ჩვენ ბალში მივდივარ.

— აქეთაც აქვთ თქვენებს ბაღი? თოხი რაღა უყავ?

— არა, თოხი და ბარი რად მინდა, ეგერ ამ საბავშვო ბაღში ვმუშაობ. -თქვა კატომ და ხელი ახლადგარემონტებული საბავშვო ბაღისექნება გაიშვირა.

— ყოჩაღ შენ! და რას აკეთებ? ძიძა ხარ, თუ მასწავლებელი?

— სამზარეულოში ვეხმარები ვარდოს.

— რაში ეხმარები, ჭამაში ხომ არა? ემანდ არ დაგიმსგავსოს.

-საერთოდ არ შეცვლილხარ, ვერ მოგრევია ქალაქი.

— მე რას მომერეოდა სირისტიანი ქალაქი?!

— ეგრეც ნუ იტყვი! აგერ ნაზოს ბიჭი იგრე განაზებულა! თავს ჩემზე მეტად უვლის.

— ეგ ნაზი როდის არ იყო რო, ტვინს რომ წაგვიღებდა, დიდ მორზე შემოვსვამდით. სანამ კარგად არ აღნავლდებოდა და ბებიამისი არ გამოჩნდებოდა ჰორიზონტზე, არ ჩამოვსვამდით, თავისით ვერ ჩამოდიოდა.

— ჩაგრავდით პატარას ჰო?

— აბა, გვტენიდა წარა-მარა, იქ გაიყოლეთ, აქ გაიყოლეთ. ყველგან აგერიდებდა სადაც არ უნდა წაგსულიყავით და... ჩვენც ბაგშეგი ვიყავით, რა გვექნა?!

— ჰეჲ, კარგია ბაგშვობა. წავედი, წავედი, მეჩქარება, თორებ ვარდოს საყვედურები კი არ დაეზარება.

— ბირჟები ისევა გაქვთ, თუ ჩამოიშალა?



- კი, ერთობიან ბალლები. რაღა დროს შენი ბირჟაა, ბებერო?! კიდევ ერთხელ გადაკოცნეს ერთმანეთი და დაემშვიდობნენ.
- კარგი სოფელია, შვილო, ჩვენი სოფელი, მოვლა და მიხედვა უნდა, ქალაქიც სოფლითა ძლიერი და ქვეყანაც, მაშ! ახლა ეგ საქმეც კარგია და ვინც ეგ წამოიწყო თავიც იმასა პქონია!
- მაგის მოფიქრებას რაღა უნდოდა?!
- რაღა უნდოდა ეძახე შენადა, იყალთოელებმა მოიფიქრესკე.
- პაპი, ეს ღვინო წლევანდელია? კაი რამეა.
- წლევანდელია, მაშ! კაი დადგა.
- ჩურჩხელებიც კარგი იყო, ერთი არ შემარჩინეს გოგოებმა.
- ჰო, ჩურჩხელა მაგათოვინა მოგონილი, პაპი, მაგათ ერგებათ. ვინ გოგოები გყავ ამდენი, შე მამაძალლო, შენა?
- მეგობრები, პაპი, მეგობრები. ეს ჩვენი კატუშა როგორ დამშვენებულა არა?!
- გიორგაანთი? კი, კარგი ქალი დადგა. სხვასავით ქალაქს კი არ გავარდა ეგეც. ნეტა რა ყრია იმ ქალაქმი? აი, შენცა! ხატვა გინდა და აქ ვერ დახატამ? თან საქმე, თან გართობა. აგე, ნუგზარას ბიჭი, შაქრო, როგორ გაიმართა წელში. კიდე კაი იმ თავქარიან პაპამისს არ დაემგვანა, ყოჩაღია. საღდაც სამწვადე გაუხსნა, წალამ აქედან ეზიდება, ჩამააყენებს თავის მარშუტკასა და ზიდამს. დაუზარელია, მესამე ბალლი ეყოლათ ამ გაზაფხულზე. ყველაფერს თავი დაადგა, სახლსაცა, კარსაცა და ვენახსაცა.
- აკი წალამი საწარმოს მიაქვსო?
- მაშარადა! მაგათმა გაიხარონ, შაუშვებენ მანქანას და ისა ჰკრეფამს. ჯაფაც აღარ გვაქ იმდენი. ყველა კმაყოფილია, ცალკე მაგ წალმი გამოზიდვაზე გვწყდებოდა წელი, მე რა, მამაშენს. შაქრუას კიდენა, საკუთარს კი არავინ წაართმევს, თავისას თვითონ მოიხმარს როგორც უნდა. ცალკე ეს ჩვენი პატარა ჭინკები იქნებიან თბილად.
- მოიცა, ის წალამი ბალში მიაქვთ?
- ჰო და, აბა მე რას ვლაპარაკობ ამდენი ხანი, შე აბუეტო შენა. ბალლებთან მიაქვთკე ბალში, მაგითა თბებიან ზამთარში. გაიხარონ მაგათმა ეგ რო მაიფიქრეს, რა პქვიან კაცო მაგასა? რაცა პქვიან, მაგი მამგონსა და გამკეთებელ გაუმარჯო!



- ეკონომია პქვია, პაპი, ენერგოექონომია! მაშ გაუმარჯოს! უკ, დალლცვილია ვაზი და ვენახი! ყურძენი — ყურძნად და მოელი მისი მადლით!
- მაშა, პაპი, მაშა!
- წიპწების ზეთიო, მედიცინაშიო, კოსმეტიკაშიო და რა ვიცი კიდევ რა აღარ.
- ღვინისფერი მაიც არაფერია, შვილო, ღმერთების სასმელია! ძილის წინ ხან პაპამისის ნამთვრალევ საუბარზე ელიმებოდა გიგის, ხანაც კატოს ღიმილზე.
- გოგო, ეს ყვავილები ცოტა მაღალ რამეში მაინც ჩადე, ეგე მაყვალას ჯგუფში უდევ შშვენიერი საყვავილე, გამაიტა. ან, საცა მაგ ყვავილებ ეზიდები, ერთი საყვავილეც წამოგეყოლებინა. ნეტაი ეზოში არა გყოფნის?!
- თლილ ჭიქაში ჩადებულ ყაყაჩობს ფანჯრიდან შე მოსდგომოდათ. ზოგი გრძლად გადმოკიდებულიყო მაგიდის ზედაპირამდე. ნაჩქარევად ჩაყრილებს უფრო ჰგავდნენ, მაგრამ მაინც თავისებურად, ლამაზად ღუოდნენ.
- მყოფნის, ვარდო დეიდა, მყოფნის. გავალ მაყვალას ვეთხოვები ლარნაკს, ცოდოები არიან, ვერ ეტევიან აქ.
- დროზე, დაუწესარე რა დროს ყვავილებია, საუბის კარს მოგვადგა, ბალლებ დროულად მივწედოთ.
- ბიჭო, ის ყვავილები რომ მოგაქვს წარა-მარა, დაგინახავს ვინმე და დაგცინებს.
- და სასაცილო რა არის?!
- აპა, მე მითქვია და...
- მშინ მდინარეზე გამომყევი შაბათს.
- რაო, ამ მინდორში ვერ ეტევი?
- მინდორი რაღად მინდა შენს მწვანე თვალებში ისედაც ვარ კისრამდე. წყალი მინდა რომ გავგრილდე.
- აკი ღია ფერის თვალები არ მომწონს, ცივიაო? ახლა ვეღარ გაგრილებს?
- ეგ ბალლობაში გაბრაზებდი, გოგო, ნაზოს ბალლივით რომ არ აგვიდებოდი იყალთოელ ბიჭებს თელავის ღისკოტებაზე.



- მეც ხომ კარგა გამწარებდი?!
- შენ ახლაც მამწარებ, გეხერხება.
- ახლა რას ვაშავებ რო?
- მდინარეზე თუ არ მომყვები, მაშინ ცოლად გამომყევი.
- ე მაგ დიღილოს მაიც ნუ სრეს ხელებში.
- რატომ ცოდნა?
- ბალახის სუნს დაგიტოვებს და მერე ჩემ თმას აპყვება.
- რას შაიფარენით ამ პაპანაქებაში ხალხო, მოხდა რამე? — მანქანიდან გადმოსძახა შაქრომ ბირჟაზე შეკრებილებს.
- მშვიდობაა, მშვიდობა, შაქროს ვენაცვალე! აბა ჩამაქვეითდი.
- აღარ იტყვით რა მოხდა? საღა მცალიან თქვენთვინა.
- გიგილომ ცოლი მაიყვანა, ჯო!
- მერე, გიგილომ ცოლი თუ მაიყვანა, თქვენ რაღას დაგიკრეჭიათ კბილები?
- რას დაგვიკრეჭია და არ უნდა დავლოცოთ ბალდები? ჩვენ ვენახებ კრიალი გაუდით. წალამი წამლად არ არის. სამწვადე და ღვინო ჩვენზე, წალამი და პატარძლი ღილილები შენზე!

გზის

## თვალიაგეივილი

„ლიტერატურული კურსები იფიქროს გათბობის ალტერნატიულ საშუალებებზე, მაქსიმალურად გამოიყენოს ელექტრონურების ეფექტურად მოპოვების სხვადასხვა გზები, ამ თემაზე შექმნილი მოთხოვნები ძალდაუტანებლად გააცნობენ მქითხველებს საინტერესო საკითხებს. თუ იუმორიც დაემატება თხრობას, მქითხველისთვის უფრო სახალისო იქნება.“

ასეთი იყო ჩემი ჩანაფიქრი. დანარჩენი კი უიურის გადასაწყებია“.

## ოკ, ეს ნაცარქებია

— შე ნაცარქებიავ, შენა, ისევ ნაცარს ჩასჩერებიხარ, კაცო? ისევ ნაცარში იქექები? — არ მასვერებენ საყვედურებით, — ე, ბიჭო, ეკოლოგიურად სუფთა ნაცარს ვქექავ, მძიმე ნაცარს ხომ არა?! თქვენ რა იცით, რა ფიქრები მომდის, რა აზრები, რა იდეები ნაცარის ქექვისას? გინახავთ საქექით ნაცარზე გამოსახული ხაზები, წრეები, ფიგურები, ნახატები? გინახავთ? აბა, ამოხსენით და ამიხსენით, თუ ბიჭები ხართ. ვერა? ხოდა, დაყუჩდით! მთელ მსოფლიოს ვხედავ ნაცარში. ეს აფრიკაა, ხედავთ? ვერა? მე კიდევ ვხედავ, ვხსნი, ვშითრავ და მწყობრად ვალაგებ. ეს საქმე არ არის? შე, უსაქმუროო, რომ შემომძახებთ.

ავდექი და ჩუმად გადავსახლდი იყალთოში, მშვენიერ, კოხტა სოფელში. მცირე ეზო მაქვს ხეხილით, ბაღის კუთხე, პატარა ვენახი, ვსწავლობ ვაზის მოვლას. ვიფიქრე ჩემთვის მყუდროდ ვიქნები, აღარავინ შემაწუხებს-მეთქი და სადა ხარ? აქაც მომაგნეს. მშვიდად ვიყავი, სანამ ასფურცელას არ გადავეყარე და იმან მოსდო ყველას თელავის მუნიციპალიტეტში ცხოვრობსო. ჰოდა, ვინ აღარ მაკითხავს. ზოგს დავუყვავებ, ზოგიერთს გავკიცხავ, ზოგსაც პირს ხილით ჩავუტკარებებ.

— მინისტრი კაცი იყო ჯეჯე და არ მოასვენა. უსამართლო სიტყვე-



ბით გატეხა საბრალო კომბლე – ცუდი მენეჯერი ხარო, გული დაუკოდა კაცს. მოვა კომბლე, ნაღვლიანი სახით დადგება კართან, დაეყრდნობა კომბალს და დგას. ვეუბნები, დაჯექი, ბიჭო, ფეხებში სიძართლე არ არის. ჩამოჯდება სკამის კიდეზე, ორივე ხელით კომბალს ჩაეჭიდება და დუშის. რა უნდა ვუთხრა, რა უნდა ავუხსნა, რა დავანახო, თავისი გასჭირვებია. ვეუბნები, გადაიყარე ჯავრი გულიდან, აღარ არის ჯეჯე, კარგზე იფიქრე, რა გესიამოვნება–მეთქი. – თუ გინდა, მოდი, ნაცარს დავაკვირდეთ ერთად. „ბმოგი“ გაჩენო. – სმოგი რაღა არის, თუ მმა ხარ? – უკვირს კომბლეს. – მოწამლულ-მოშამული გამონაბოლქვებით სავსე დაბურული ჰაერი, ღრუბელივით რომ ადგას ქალაქებს. სულ ვფიქრობ ქართულად რა დავარქეათ, რა სახელი მოვუნახოთ, იქნებ „ჯანდი“, ა? შენ რას ფიქრობ, კომბლე? – აბა, რა გითხრა, ჩემი ნაცარავ, მე მაგის არაფერი გამეგება. ეგ შენი საქმეა, წავალ, ისევ ჩემს ცხერებს მივხედავო, გაბრუნდება და წავა. აბგით ხილს გავატან და ეგ არის.

– მეც ხომ გული შემიღონა იმ ჯეჯემ, არ ვარგიხარო. ზუსტად ბუყბუყ დევივით იყო, ისე დაიარებოდა, ვითიქრე, შენ გიჩვენებ სეირს–მეთქი, მაგრამ შებრძოლებაც არ დამჭირდა, ისე მოქისტეს. კვალიც კი გაქრა მისი, მე კიდევ ვიყავი, ვარ და ვიქნები! არ ვაჯობე? ვაჯობე!

– არ ვაჯობე დევებს? ვაჯობე! არ ავყარე დედაბულიანად? ავყარე. ბოყბოყ დევი რომ ერთს დააბოყინებდა, მთელი არემარე ჭკნებოდა. ჩიტები კვდებოდნენ, ხალხი და პირუტყვი იწმლებოდა, ოც სოფელს .ნაჯაფი უხმებოდა. დავიხსენი სოფლები? დავიხსენი! გადავარჩინებუნება? გადავარჩინე! მივეცი შეება ხალხს? მივეცი... ხოდა, რაღა გინდათ? მე ეს ნაცრის ხაზებში დავინახე და ამოვხსენი. თქვენ კი მაინც არ მასვენებთ.

– წავა-წამოვა ქოსა ტყუილა, მომადგება. შემოვა, იღრიჭება და მეუბნება : – რას იქექებიო? – მოდი დახედე, დააკვირდი, აბა, თუ ჩახედები-მეთქი. აი, ნახე, ეს ავსტრალიაა, აქ კენგურუები დახტიან. ხედავ, აფორიაქებულები არიან, რაღაც უჭირო? ეტყობა, მონადირეების ეშინიათ, კენგურუს ხორცი იშვიათობაა. აუტყდება ხარხარი. – შენ ჩემზე მაგარი მატყუარა ხარ და მაინც მე შემარქვეს „ტყუილაო“. – წადი, დამეკარგე აქედან, – დავუცაცხანებ და წავა ღრეჭა-ღრეჭით,



თან იმეორებს: – ავსტრალიაო, კენგურუებიო – და კვდება სიცილით. ასეთი შეუგნებელია.

– იმ დღეს ჭინჭრაქამ შემომირბინა, მეუბნება: – ბიჭო, აღარ მოსწონთ ქართული ზღაპრები, გვიწუნებენო. – რა დროს ზღაპრებია, ჭინჭრაქ, შეხედე რა ხდება ანტარქტიდასა და ანტარქტიკაში. აისერგები, ყინულები დნება, ასე თუ გაგრძელდა, დაიღუპება დედამიწა. მოვიდა, ჩააჩერდა ნაცარს. – შენ ამას ამ ნაცარში ხედავო? – მკითხა. – რა შენ ვერ ხედავ მეთქი? – შენა მმა გაგიფრენიაო, – მითხრა და სიცილი აუტყდა. ისიც გავაგდე. – ყინული დნებაო, – იმეორებდა და თან ხელს შუბლთან ატრიალებდა, აღაოდ არის, აფრენსო. კვდებოდა სიცილით. რა ვქნა? როგორ ავხსნა, რომ ყველაფერს ვხედავ, ოზონის შრეში ხვრელსაც ვხედავ, მაგრამ არ ვამბობ, ისევ სიცილს დამაყრიან.

– ერთი ცეროდენას მოსვლა მიხარია. მოვა, მოწიწებით ჩამომიჯდება შხარზე და მისმენს. ოთხ ძირითად ელემენტზე ველაპარაკები, ვუხსნი, ნაცარში ვახედებ. ყურადღებით მისმენს. ოთხივე ელემენტს – მიწას, ჰაერს, წყალს და ცეცხლს – თვითგანახლების ძალა აქვს, თვითგანახლებადი ენერგიებია-მეთქი. – როგორო, – მკითხა. მიწა ვეგლაფერს ამუშავებს, მიწად აქცევს. როცა მიწათმოქმედი ამჩნევს, რომ მიწა გამოიფიტა, უნდა დაასვენოს ერთი წლით, არაფერი დათესოს, ბუნებრივი სასუქით გაამდიდროს და განახლდება. შემდეგ წელს დიდ მოსავალს მისცემს. ჰაერიც თვითგანახლებადია, თორემ ისე დავა-აბინძურეთ, უკვე ვეღარ ვისუნთქებდით. ტყები, ხეები, მწვანე საფარი დედამიწის ფილტვებია, ისინი უანგბადით ამარაგებენ ჰაერს. ცეროდენამ ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი. წყალიც ასე იფილტრება დედამიწის შრეებში და განახლდება. ზღვები და ოკეანეები მარილიანი წყლით ახლდებან, მაგრამ ნავთობს ვერ უმკლავდებიან, ვერაფერს უხერხებენ. ადამიანებმა უნდა გაწმინდონ ფენა-ფენად. ცეცხლი ყველაფერ უვარგისს შთანთქავს, ფერფლად აქცევს და მიწას აპოხიერებს. ცეცხლი მიწას, მიწა მწვანე საფარით ჰაერს, შრეებით წყალს, წყალი ცეცხლს აქრობს. ასე საუკეთესოდ არის აწყობილი მათი ურთიერთქმედება. მისმინა, მისმინა და დღესთვის საკარისია, დავფიქრდებიო, მითხრა. ახლა წყალი დამალევინეო. დედამიწის სამახსოვროდ ვერცხლის ციცქა სათითე მაქვს, ხელს არავის ვაკარებინებ. გამონაკლისი ცეროდენაა,



წყალს ვასმევ. ძალიან ეგერიოელება. ახლაც დავალევინე, მადლობა გადამიხადა და წავიდა.

– ჩემი გამოგონება კი, წალამით იყალთოს საბავშვო ბაღის შენობის გათბობის შესახებ, მხოლოდ ცისკარას გავანდე, არ მიჯერებდა! არ მიჯერებდა, რომ გათბობის ავტომატური სისტემა საწვავად იყენებს დაქუცმაცებულ წალამს და მთელი ზამთრის განმავლობაში ათბობს საბავშვო ბაღს.

– განა რამდენ ხანს ეყოფათ, რამდენ ხანს გაათბობთ წალამიო? ან შენ რისი გამომგონებელი ხარ. მთელი დღეები ნაცარს ჩაჰურებ, ან წალამი რისი გამთბობია, შემა ხომ არ არისო?

– ჰოდა, მმაო, სწორედ იმ ნაცარში დავინახე, იქიდან წამოვიდე ნახაზები და წალამის დასაქუცმაცებელი მექანიზმიც შევქმენი. თორებ ვენახის მოვლისას დაგროვებული წალამი მეც მაფიქრებდა და სხვა გლეხებსაც. დასამტკიცებლად ისიც ვაჩვენე, როგორ ვაქუცმაცებ წალამს და მაინც არ დამიჯერა, სხვის ღვაწლს მაჩვენებო. აბა, რა უნდა ვუთხრა? სწრაფადვე გავისტუმრე.

– აგრე, კარგი მეგობარივით, ბუყბუყ დევიც მომადგა. ვეუძნები, მოდი აქ, ჩახედე ნაცარს. მოვიდა და ჩააშტერდა. ხედავ ბერმუდის სამკუთხედს? რაიო? – დაიბუყბუყა დევმა, რაის სამკუთხედიო? აიღო ნაცრის საქექი და სულ გადაქექა ნაცარი. ახლა ხომ ვერაფერს ხედავო? – მეკითხება. ვხედავ, ოკეანეს ვხედავ, დაბინძურებულია, ვეშაპები იღუპებიან, ნაპირისკენ მიცურავენ, საღაცაა ნაპირზე გამოირიგავენ და დაიხოცავენ თავებს. ბუყბუყას თვალები გადმოეკარკლა, ხელი შუბლზე დამადო, – სიცხე ხომ არ გაქვსო? – მეკითხა. – სიცხე თქვენ გაქვთ, თქვე ოხრებო, ვერაფერს ხედავთ, არაფერი გესმით და კიდე მე მაქვს სიცხე? – დასვენება გჭირდებაო, – დაასკნა დევმა. – წამოდი ერთად ვიაროთ, მთა-ბარი შემოვიაროთ, – ბუყბუყით წაუმდერა. – რა გენაღვლებათ, რა? არაფერი გადარდებთ ამ ქვეყანაზე და მაინც მე მეძახით უდარდელსა და უსაქმურს. ამ სიტყვებზე გაბრაზდა დევი, დაახტა ნაცარს, გამეტებით დაუწყო ფეხებით ტკეპნა და თან ყვიროდა: – აი, შენი ოკეანე, აი, შენი ვეშაპები. გული რომ იჯერა, ამოხტა ნაცრიდან და ნიშნისმოგებით მკითხა: – ახლაც ხედავ რამეს? – შენ გაიხარე, ბუყბუყ, შეხედე, რა სილამაზეა! ეს პოლანდიაა, ზღვის სანაპიროს გაყ-



ოლებით ქარის ელექტროსადგურები დგანან. არც კაშხალ-მაშხალი, არც მაშხალა და შაშხანა, აი, ასე მშვიდობიანად. წენარად და კეთილად მუშაობენ. მაშ! ნახე, როგორ ქარის წისქვილებივით იქნევენ ფრთებს. არა, ქარის წისქვილებზე უფრო ლამაზები არიან, ქათქათები, ფრინველებს ჰგვანან. მათსავით თეთრები არიან, როგორ მწყობრად დგანან, შეწყობილად ატრიალებენ ნიავ-ქარში ფრთებს და ელექტროენერგიით ამარაგებენ ზღვისპირა დასახლებებს. თეთრ ფრინველებს ჰგვანან, ზღვის ფრინველებს, თოლიებს. ჰო, თეთრ, ქათქათა თოლიებს ჰგვანან. დევი გაშტერდა. მიუხელოვდა ნაცარს, ჩაიცუცქა და ჩააჩერდა. – მგონი, მეც ვხედავ, ბიჭო! ჰო, ვხედავ! თეთრი თოლიებივით იქნევენ ფრთებს და გაჩახხახებულია არე-მარე. – აბა, მე რას გეუბნებოდი? დააკვირდი და დაინახავ-მეთქი, შენ კიდევ არ გჯეროდა. იცი, ბუყბუყ, ნაცარზე რომ დახტი და ტკეპნა დაუწყე, ჩავიფიქრე, რაც ახლა გამოისახება, ის ელოდება დედამიწას. თუ ცუდი გამოისახება – დაიღუპება და თუ კარგი – გადარჩება-მეთქი. ხედავ, რა კარგი ფეხი გქონია! ბუყბუყამ ჯერ ერთ ფეხზე დაიხედა, მერე – მეორეზე და კმაყოფილმა ჩაიცინა.. – რა კეთილი სურათი დახატე. თუ კაცობრიობა გონს მოვა.

გადარჩება დედამიწა!



## „ლადო გელაური“

## იყალთოება ნათია

ბეჭერი ოპელი ჯიუტად მიიკვლევს გზას წითლნარში გაჭრილ გზატკეცილზე. სერპანტინებზე განსაკუთრებით უჭირს, ხვენების, კვენების, მოქანცული ჯაგლაგივით ფრუტუნებს და ქოშინიც ეწყება, მაინც მიიწევს წინ და უკან ნახშირორჟანგით გაჯერებულ თეთრი ბოლის შლეიფს ტოვებს. აბა რა ქნას, მისი ასაკის მანქანები დიდი ხანია პრესტიულ ავტოსასაფლაოებს მიაბარეს, ამას კი დამსახურებული პენსიაც კი არ ეღირსა. ჰო, აღმართში უჭირს, თორემ დაღმართის მოახლოებას შორიდანვე გუმანით გრძნობს და ისეთი კისრისტებით გარბის «წრიპინა» მუხრუჭები გაჭირებით აკავებენ.

შეს თვალებში მიჰყიტინებს და ჩემს ბელოვლათობაზე გული მომდის, ეს რომ არ გავითვალი სწინე. იყალთოში მივდივარ ჩემი შევვარებულის სანახავად. სიტყვა შევვარებული ცოტა არ იყოს ხმამაღლა ნათქვამია, ბოლომდე დარწმუნებული ჯერ არა ვარ, მაგრამ რომ მომწონს, ფაქტია-რეალური. ნათია ჰქვია, ერთი წყნარი და მორიდებული გოგოა, ბრდღვიალა თვალებიანი. ხუთი თვის წინ გავიცანი. რუსთაველზე შევეჯახე შემთხვევით, ოპერაში ყოფილა და იქიდან გამოიდოდა. თავზალუნელი მივდიოდი, უკრნალს გვეურკლავდი, და რა თქმა უნდა გერ



შეკამჩნიერ. ჰოლდა, ეტყობა იფიქრა, გოგო ვარ, ბიჭი გზას დამითმობსო, მე კიდევ, მთელი ძალით გავიკარი მხარი. მისმა თანმხლებმა გოგომ, ოქროსფრად შეღებილი თმები რომ ჰქონდა და საგულდაგულოდ აპრეხილ წამწამებს უცნაურად აფახულებდა, შემომიღრინა, წინ უნდა იყეროო. მე ცივად მოვუხადე ბოდიში და ის იყო გზის გაგრძელებას ვაპირებდი, ნათია რომ დაიხარა, ძირს დაგდებული გაზეთი აიღო და გამომიწოდა, ალბათ თქვენ დაგივარდათო. თვალები რომ შემომანათა, მთელს ტანში ქრისტელმა დამირბინა. დარწმუნებული ვიყავი, გაზეთი ნამდვილად არ მქონია, მაინც გამოვართვი და მაღლობა გადავუხადე. გამიღიმა და შეტრიალდა. დავრჩი ასე, წესიერი ბრიყვივით ატუშული შუა ქუჩაში, მერე მოვიკრიბე მთელი ჩემი გამბედაობა, წამოვეწიე და ენის ბორძიკით სანაყინები დავპატიჟე, სანაცვლოდ კიდევ ერთი თბილი ღიძილი მივიღე მაგრამ ცივი უარის თანხლებით.

— ეევ, მოიცა, გოგო, ნაყინზე უარს როგორ ამბობ, კომპენსაციაში ჩატევალოთ — ყვითელობმანამა.

ხელი გამომიწოდა, — მე ნინი ვარ, ეს კი ჩემი დეიდაშვილი ნათიაა.

ნათია თელაველია, იყალთოში მუშაობს საბავშვო ბალის აღმზრდელად. როცა ქალაქში ჩამოლის, საღამოობით ვხვდებით ხოლმე, მაგრამ რაფ გინდა, ნინი გვერდიდან არ შორდება.

დღეს იმიტომაც დაგადექი ამ გრძელ გზას, მარტო რომ ვნახო. დღეს პარასკევია, დღის ბოლოს სახლამდე მივაცილებ და სიყვარულ-შიგ გამოვუწყობი.

გზისპირა კაფეში ვისაუტმე, მუხების ჩრდილში. ამასობაში ოპელმაც მოითქვა სული. რაღაც წყაროს წყლით გადავავს და საწვავიც მოგიმარაგე.

ორი საათისთვის უკვე ბაღის ჭიშკართან ვიდექი. ფაშტაშა ქალმა ცივი წყალი გადამასხა, ნათიას დღეს გამოსასვლელი დღე აქვს და არ მუშაობსო. მერე, ჩემი გაწილებული სახე რომ დაინახა, ეტყობა შეკვეცოდე, მუშტრის თვალით ამათვალ-ჩამათვალიერა, ორაზროვნად ჩაიცინა და დამაკვალიანა, ამ ქუჩის ბოლოს ცხოვრობსო ნათია, პა- პამისის სახლში.

კარი ოდნავ შევაღე. ერთსართულიანი სახლი იდგა კრამიტით დახ-



ურული, წინ ვაზის თალარით. მოშორებით, კაკლის ჩრდილში ჭაღარა მოხუცი იჯდა, ალბათ ნიკო პაპა, ხელის ცულით ჩორქნიდა რაღაცას.

— მასინძელო!

პაპამ მხარს ზემოდან გამოიხედა და, რომელი ხარ, კარი თუ გააღე შემოდი კიდეცო, გადმომიგდო.

უვავილნარი გადავჭერი, გაუბედავად მივუახლოვდი, ხელი გავუ-წოდე და, ნათიას ნახვა მინდა და სახლში თუა-მეთქი, ვკითხე თან სახლისეკნ გავაპარე თვალი.

ოდნავ მოტრიალდა, შემათვალიერა, მერე ჰაერში დაკიდებულ ჩემს ხელის მტევანზე შეაჩერა მზერა, უმაღლ რომ დავმალე ზურგს უკან.

— ვინ ხარ, საიდან ხარ? შენ გვინია უველა გამვლელ-გამომვ-ლელს შეუძლია შემოვიდეს და ნათიას ნახვა მოინდომოს?

— მაპატიეთ, ნიკო პაპა, ნათიას ნაცნობი ვარ, თბილისელი, სა-ბავშვო ბაღში ვიყავი და ასე მითხრეს...

— შენი სახელი?

— მე...მე ლუკა ვარ.

ულვაშებში ჩაეღიმა. ცული მკვეთრი მოძრაობით ჩაარჭო კუნძში და ხელი გამომიწოდა. უმაღლ შევაგებე ჩემი გაოფლილი მარჯვენა.

— ჰოო, ნათია თელავშია მშობლებთან, კვირა საღამოს დაბრუნდება. ო, რა იდიოტი ვარ, რომ არ დავრეკე წინასწარ.

— მაპატიეთ, მე წავალ მაშინ.

— გრძელი გზა გამოგივლია, ლუკა ბიჭო, ჩამოჯექი, შეისვენე. თვალით დაბალ სკაზე მიმითითა. ჰოდა, არც თავპატიეთ დამიდია, ჩამ-ოვჯექი. ვიფიქრე, გადაგრილდება და მერე წავალ-მეთქი. სულ ერთია, მზე უკვე გადაიწვერა და მთელი გზა ისევ თვალებში უნდა მიჭყიტინოს, კონდიციონერი გამაგრილებს მანქანაში თუ? აქ კი საამოდ გრილა.

ნიკო პაპა ენაწყლიანი კაცი გამოდგა. მალე მისი მეუღლეც შე-მოგვიერთდა, მარიამ ბებო, ხილი მოგვართვა დიდი თასით, მსხალი, ატამი, ვაშლი და მუშტისხელა ლელვები. თავადაც ჩვენს გვერდით ჩამოჯდა. დიდი ხნის უნახავივით მივეძალე ხილს.

— ცოტა მოსავალი მოგვივიდაო, თანაც ხინჯიანი, -შემომჩივლა მარიამ ბებომ.

შევიცხადე, ალბათ სეტყვა თუ იყო-მეთქი.



— სეტყვას კი გადავურჩით წელს, მაგრამ ეს გლობალური დათ-ბობა მოგვიღებს ალბათ ბოლოს, შვილო. — თქვა პაპამ.

გამიკვირდა, სითბოში ხომ უკეთესი მოსავალი მოდის-მეთქი.

ულვაშებში ჩიცინა, შენ, ეტყობა, ბოტანიკის გაკვეთილებს მაინ-ცდამაინც არ სწყალობდიო.

გამოვუტყდი, ფიზიკა უფრო მომწონს-მეთქი.

— მერე, შე დალოცვილო, ამ პრობლემებს ხომ ფიზიკოსებიც სწავლობენ?

— კარგი კაცო, ნუ შეაწუხე სტუმარი, -შეაწყვეტინა ბებომ, აქამდე რომ შეპარვით მათვალიერებდა.

რაღაც-რაღაცებისთვის კი მომიკრავს ყური, მაგრამ ვერაფრით დავაკავშირე ერთმანეთთან გლობალური დათბობა, ფიზიკა და ხეხ-ილი. აქამდე წარმოდგენაც კი არა მქონდა თუ რაღაც ერთი თუ ორი გრადუსით დაბობა კატაკლიზმების გამომწვევი შეიძლებოდა ყოფილი-ყო. უხერხულად მოვიკუნტე, ჩაჭრილი აბიტურიენტივით.

იხტიბარი მაინც არ გავიტეხე და დავუდასტურე, მართალი ბრძანდებით-მეთქი, თითქოს დღეგამოშებით ფიზიკის ინსტიტუტში დავდიოდე შედეგების დასაზუსტებლად.

— შენ, წესით, ამ საკითხში ჩემზე კარგად უნდა ერკვეოდე, ლუკა, დათბობით ბუნების კანონზომიერება ირლვევა, შვილო. ყინულის საფარი დნება, მზის სხივებს რომ ვედარ ირკლავს, უფრო ინტენსიურად იზრდება ტემპერატურა. ამიტომაც გახშირდა ქარიშხლები, წყალდი-დობები. ფლორა და ფაუნა, ჩრდილოეთისკენ მიგრირებს, და თუ ეს ვერ შეძლეს, იღუპებიან, ნაღვურდებიან. ჩვენთან კი სულ ახალი და ახალი სახეობების მავნებლები ჩნდებიან. ბაქტერიები თბილ კლიმატში ხომ ადვილად მრავლდებიან. მუხა რომ მუხაა, იმასაც ჭიალუა ეხვევა, ხრავს, ტყის შხამებით შეწამვლა კიდევა, ჩელია და შეუძლებელი. შხამებიმიკატები პირველ რიგში სასარგებლო მწერებს და ფრინველებს ანადგურებენ, მდინარეებში მოხვედრისას კი-წყლის ბინადართ. ჩვეუ-ლებრივ, ზამთრის ყინვა ანადგურებს ამ მავნებლებს, მაგრამ თოვლი და ყინვა თუ აღარ იქნა?

მე მრცხვენია, რომ ეს ბერიკაცი ჩემზე უკეთ ერკვევა რაღაც-რაღაცებში.

— ჩვენს მამაპაპას ხეხილი და ბოსტნეული არასოდეს შეუწამლი-



ათ, აი, დღესდღეობით კი, ყოველ გაზაფხულს სულ ახალი სატკივარი უჩნდება ყველაფერს. შხამქიმი კატები კიდევა, ნიადაგშიც ხვდება და ნაყოფშიც. ტყეებს უმოწყალოდ ჩეხენ, მდინარეები შრებიან. აი, იმ საბავშვო ბაღში, შენ რომ იყავი, კეთილმა ხალხმა გათბობის ავტომატური ხაზი დაამონტაჟა, საწვავად გაზის წალამს იყენებენ. ეს, რათქმა უნდა, სათბურის ეფექტის პრობლემას ვერ აგვარებს, მაგრამ ტყის გაჩეხვას ხო ცოტათი მაინც შეამცირებს. წალამი მევენახისთვის აქამდე პრობლემა იყო, მხოლოდ რამდენიმე კონას ვიყენებოთ ცვრიანი მწვალების შესაწვავად, დანარჩენს იქვე ვწვავდით. დაქუცმა ცებული წალამი კარგადაც იწვის, შესანახადაც ცოტა ადგილს იყავებს და რაც მთავარია, ბაგშვები ზამთარში თბილად არიან. ამბობენ, მომავალში შზის ენერგია უნდა გამოიყენონ, ეს დალოცვილი მზე, ყოველ კვადრატულ მეტრზე თითო კილოვატსათ სიმძლავრეს გვჩუქნის თურმე და...

ბებომ მუჯლუგუნი წაჰკრა გერღლში, შეახსენა, სტუმარს ნუ აწუხებო.

— ჩვენა, ამპარტავანი ხალხი ვართ, არ ცხრება მოხუცი, -ჩვენთან, დიდი მანქანა, დიდი სახლი, დიდი თანამდებობა-პატივისცემას და მორიდებას განაპირობებს, პოდა ისეთ მანქანებს ყიდულობენ, საწვავს რომ ასხავენ, ავზი რომ არ ევსებათ თუ მოტორი არ ჩააქრეს. მსუბუქ მანქანას ეძახიან, არადა, ერთი კაცის გადასაადგილებლად ორ-სამ ტონა ლითონის გროვას დაატარებენ წინ და უკან.

ძალიან ახლოს მიუტანია გულთან ბერიკაც გლობალური პრობლემები და მე, უცხო ადამიანს გადმომიშალა გული.

სტუდენტობისას ერთ საინტერესო პროექტში ვიღებდი მონაწილეობას, ალტერნატიული ენერგიების კვლევით ლაბორატორიაში. რაღაც პროტოტიპი შევქმნით კიდეც, მზის ენერგიაზე მუშაობდა და წყალს ტუმბავდა ოციონდე მეტრის სიმაღლეზე. მსგავსი ან ბევრად უკეთესი პროექტი უამრავი იქნება ალბათ, ბიუროკრატების გამოისობით თაროზე შემოდებული.

წამოვდექი, მაღლობა გადავუხადე და დავემშვიდობე.

ბებომ პარკი გამივსო ხილით, შეუხედავია კია, მაგრამ გემოთი იმპორტულს ჯობიაო. ნიკო პაპა კიდევ პრინციპული კაცია, არ იყენებსო შხამებს.

ჩაფიქრებული დავადექი უკანა გზას, ჩემი ბებერი ოპელი ისევ



ისე აცემინებს და ბოლავს, გზისპირებს ვაყოლებ თვალს, ახლა უფრო თვალში მხვდება და ნერვებს მიშლის მიმობრული კოკაკოლას ცარიელი ბოთლები, დაჭმუჭნული სიგარეტის კოლოფები. მაღაზიანებენ უზარმაზარი ჯიპები, გაბმული ხმოვანი სიგნალებით რომ მასწრებენ და რეა ცილინდრიანი ძრავებიდან გამონაბოლქვ გაზებს მაფრქვევენ სახეში.

ნათიას წყლიანი თვალები მიდგას თვალწინ. ეჭვი აღარ მეპარება, რომ ნამდვილად შევევარებული ვარ. ჩვენ აუცილებლად დავქორწინდებით. იყალთო მშვენიერი სოფელია, მდიდარი ისტორიით, პოდა, აქ დავსახლდებით, ავიშენებთ სახლს, მიკროკლიმატისთვის ჩვენც მზის ან ქარის ენერგიას გამოვიყენებთ. გაეყოლება ბავშვები, გავაშენებთ ვენახს და ხეხილის ბაღს, ვეცდებით მოვიწიოთ ეკოლოგიურად სუფთა, ჯანსაღი პროდუქტი. ვიზრუნებთ შვილებზეც და გარემოზეც. საღამოობით ჩამოვსხდებით ბებერი კაკლის ქეეშ, დავაჭაშიკებთ ქოცოდან ხელადით ამოღებულ საფერავს ან სულაც ჩვენს ბაღში მოწეული ნატურალური ხილის წვენს, მარიამ ბებო თავისი ხელით ამოვლებულ ჩურჩელებს შემოგვთავაზებს და ვისაუბრებთ აწმოოზე, მომავალზე....

მე მშენებელი ვარ და ვოცნებობ ავაშენო კომფორტული, უნიკალური დიზაინის სახლები, მაგრამ თუ გავაგრძელებთ იმ ტოტის ხერხებას, რომელზედაც ვსხედვართ? — ერთ, არცთუ ისე მშვენიერ დღეს ეს სახლებიც ხომ გაუკაცრიელდება?

მზე ისევ მიჟყიტინებს თვალებში, გულუხვად და მარტინის ჩემ წილ კილოვატებს და არც კი მამადლის. მე საყვედურებს აღარ გამოვთქვამ, აღარც ვბუზლუნებ, საჩუქარს როდი იწუნებენ, არც ნაჩუქარ ცხენს უსინჯავენ კბილებს.



ლევან  
ლორი

მარიამი, პრემიერ-მინისტრი და დედამიწა

ეს ამბავი იმ წელს მოხდა, როცა მგალობელმა ფრინველებმა კაცობრიობას გაფრთხილების ნიშნად ერთდღიანი ბოკოტი გამოუცხადეს და გალობა შეწყვიტეს. ადამიანებს ეს არც შეუმჩნევიათ, ჩიტა გალობისათვის არავის ეცალა. დედამიწაზე ქრისტესმობიდან ორი ათას ოცდაერთი წლის გაზაფხული იდგა და კაცობრიობა პანდემიის შედეგებს იშვიშედა.

წინა წელს მსოფლიო პოლიტიკოსთა და მასშედის ცენტრში საქართველო იყო, როგორც ერთ-ერთი სამაგალითო ქვეყანა, რომელიც წარმატებით ებრძოდა ვირუსს. მაგრამ ამჟამად მსოფლიოს ყურადღება სულ სხვა ფაქტს უკავშირდებოდა. ტელეკამერების სამიზნე თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს საბავშვო ბაღში მიმდინარე მოვლენები იყო. სოფელი ქართველი და უცხოელი უურნალისტებით, ხოლო იყალთოს ახალგარემონტებული საბავშვო ბაღის ეზო დაჯავშნული მანქანებით და პოლიციელებით იყო სავსე. ქართულ სატელევიზიო არხებს სი-ქნ-ენი, ბი-ბი-სი, შივ-შივი და კიდევ რამდენიმე უცხოური



ლევან ლორია

არხიც დამატებოდა. მსოფლიოს ყველა კუთხეში სხვადასხვა ენებზე მიღიოდა პირდაპირი რეპორტაჟები. ყოველივეს მიზეზი იყალთოს საბავშვო ბალის აღსაზრდელი მარიამ ასლამაზიშვილი იყო, რომელ-საც საბავშვო ბალის სასაფლო ოთახში მდევლები, ამავე ბალის აღ-საზრდელი დავით ბედიანაშვილი და შხარეული ციური გამეზარდა აეყვანა, კარი შიგნიდან ჩაეკეტა და ბომბის აფეთქებით იმუქრებოდა, რომელიც შუა ადგილას იდო მაგიდაზე, რომელზედაც ბავშვები ჩვეუ-ლებრივ სადილობდნენ. ფორმით ჩვეულებრივ ქაღალდის ყუთს ჰგავდა, სუპერმარკეტები საღდესასწაულო ტორტების რომ ყიდიან, ოღონდ იმ განსხვავებით რომ დიდი ასოებით ოთხივე შხარეს ტორტის მაგივრად ბომბი ეწერა. ყუთიდან გამოსული წითელი და ლურჯი საღენები მარი-ამს ეპყრა ხელში. იქვე სკამზე ისხდნენ მძევლები, რომლებიც დიდად შეწუხებულებიც არ ჩანდნენ, ერთი ფეხის ბუქზე პოსტების წერით იყო დაკავებული, მეორე კი რაღაც საიტიდან ახალი თამაშის გადმოწერას კლილობდა.

ამ დღეს კახეთი მხოლოდ იყალთოში მიმდინარე ამბების გამო არ იყო კურადღების ცენტრში. დიდი შეხვედრა იმართებოდა ყვარელში, სადაც ქვეყნის პირველი პირი, ლოპოტას ტბაზე, ასე ვთქვათ ნეიტრალურ ტერიტორიაზე, გურჯაანსა და თელავს შორის არსებული დაძაბულობის განმუხტვას ცდილობდა. საქმე ეხებოდა მეტად მნიშვნელოვან საკითხის გადაწყვეტას, თუ სად შეიწვა პირველად წალამზე მწვადი — გურჯაანში თუ თელავში.

დაპირისპირება ისეთ სერიოზულ ფაზაში შევიდა, რომ საჭირო გახდა საქმეში ჩაერიათ ქვეყანაში აკრედიტებული ელჩები. უარი არავის უთქვამს, რადგან კველამ იცოდა, რომ მიუხედავად საბოლოო გადაწყვეტილებისა, შეხვედრა აუცილებლად დამთავრდებოდა ჩურჩხელისა და თათარას დეგუსტაციით, ამას მოყვებოდა ქართული სუფრა, თავისი ლაზათით და წალამზე შემწვარი მწვალით, თან ქართული არაჩეულებრივი ღვინოების დაგემოვნება. ელჩებმა იცოდნენ, რომ პირველი ღვინო საქართველოში ჩამოისხა. ხოდა აბა, სად იქნებოდა ყველაზე კარგი ღვინო, თუ არა ღვინის სამშობლოში.

შეხვედრას ელჩების გარდა ორივე რაიონის მეცნახეები, ბიზნესმენები, სახელმოწერი თამაღლები და მომღერლები ესწრებოდნენ. პრემიერმა



საუბრის დროს კურდღელი გაიხსენა, თელაველი მონადირეები რომ მისდევდნენ და თელავისა და გურჯაანის საზღვარზე რომ გაჩერდა და წინა თათები აწია, იქთ გურჯაანია, გადამსვლელი არ ვარ, მირჩევნია აქვე მომკლაოთ. გურჯაანის კოლორიტმა და განთქმულმა თამადამ, ისეთი სერიოზული სახით თქვა, — „ესა სულ თელაველების მოგონილი ამბავია, იტყუებიან კაცო, აბა როდი იყო კურდღელი ლაპარაკობდა!“, — რომ ყველა დამსწრეს სიცილი წასკდა. სწორედ მაშინ მივიდა ქვეყნის პირველ პირთან თანაშემწე და ყურში უწურჩულა, უშიშროების მინისტრი რეკავს იყალთოდანო.

— ისევ მარიამი? — იკითხა ფერწასულმა პრემიერმა, როცა იყალთოს ინციდენტის შესახებ მოახსენეს. კიო, თავი დაუკრა უშიშროების მინისტრმა იყალთოდან. კი მაგრამ, ახლა რა უნდა? — საბავშვო ბაღშია ჩაკეტილი, თქვენთან სურს შეხვედრა, თორებ ბომბის აფეთქებით იმუქრება! — იყო პასუხი. პრემიერი მიხვდა, მისთვის ლოპოტას შეხვედრა დასრულებული იყო, არადა მთელი დამე მუშაობდა ლობისტთა გუნდთან ერთად მოხსენებაზე, რომლის ძირითადი ნაწილი გზავნილი იყო საერთაშორისო თანამეგობრებისკენ და ისეთი ტექსტი პქონდა მოშხადებული წასაკითხად, ელჩებს კი არა ქვას აუტირებდა გულს, ქვას რომ გული პქონდეს, — რასაკვირველია. თანაშემწეს უთხრა, ტექსტი შენ წაიკითხეო და თვითონ კი, დელიკატური ლიმილით ბოდიში მოუხადა დამსწრე საზოგადოებას და პერსონალური ავტომობილისკენ წავიდა.

მანქანიდან უშიშროების მინისტრს დაურეკა, ახალი რა ხდებაო. — ჯერ სიმშვიდეა, ბატონო პრემიერო, თუ ამას სიმშვიდე ქვია! — ბომბი სად იშოვნა! — არ ვიცით! — მშობლები და ბაღის ხელმძღვანელობა გამოკითხეთ?! — კი, ახლაც დაკითხვაზე არიან, იმათაც არაფერი არ ვიცითო! — კარგი, ვიცნობ მაგ ხალხს და ვენდობი, გაანებეთ თავი, არაფერი ავნოთ! მძევლები რამდენი ჰყავს? — ორი, ერთი ჯგუფელი, მეორე აღმზრდელი! — ღმერთო, რა ღღეში ვართ! ტელევიზიებმა გაიგეს უკვე? — კი! პირველად ტელევიზიაში დაურეკა, არ გინდათ ბომბის



აფეთქება ნახოთო! სი-ენ-ენზე და ყველა ქართულ არხზე ლაიგი მიდის უწყვეტ რეჟიმში.

— რაღაცას გვატყუებს, საიდან უნდა პქონდეს პატარა ბავშვს ბომბი?!?

— სპეციალურმა დისტანციურმა ხელსაწყომ დაადასტურა კუთში ენერგიის წყაროს და მეტალის არსებობა, ვარკვევთ ბომბი ზუსტად რამდენი კილოგრამი ტროტილის ეკვივალენტია.

— რა ტროტილი? ფიქრობ მაიც რას ამბობ?

— მე რა შუაში ვარ, უცხოური აპარატურაა, ბატონო პრემიერო!

— და როდის შეიძლება ეს გაირკვეს.

— ან აფეთქების შეძლებ, ან მანამდე, თუ აფეთქება არ მოხდა!

— რა აფეთქება, გაგიუდით თქვენ?!?

— აბა რა ვქნათ, ბატონო პრემიერო?

— არ გაბედოთ და ბავშვი არ შეაშინოთ, ეს ტექნიკა და ჯარი რა საჭირო იყო?!

— ვიფიქრეთ, ვინმე მოკავშირეები ხო არ ჰყავს-თქო.

— რა მოკავშირეები, რომელი ტერორისტი მარიამი ნახეთ!

— ჩვენ ოპოზიციურ ტელევიზიებზე რომ არაფერი ვთქვათ, სი-ენ-ენი და ბი-ბი-სი შესაძლო ტერაქტზე საუბრობენ უკვე, ბატონო პრემიერო!

— კარგი, კარგი, მოვდივარ!

მკითხველს სრული შთაბეჭდილება რომ შეექმნას, თუ რატომ იყო ასე მნიშვნელოვანი მარიამ ასლამაზიშვილი, მინდა ორიოდე სიტყვით მოგითხოთ ამბავი მისი არც თუ ისე დიდი ბიოგრაფიიდან. ჩვეულებრივი ბავშვი იყო, არაფრით გამორჩეული, ოღონდ ბუნება უყვარდა ძალიან და ცოცხალი არსებები — ბალახით დაწყებული, თვალაუხილავი კნუტებით გაგრძელებული. მისი თანდასწრებით ყვავილის მოწყვეტას ვერ ბედავდნენ. საბავშვო ბაღში დადიოდა უკვე, იყალთოში ახალ გზა გაჰყავდათ და იქევ საბავშვო ბაღის ეზოსთან ერთი რცხილის მოჭრას აპირებდნენ. მთელი ბაღის აღსაზღდელები აიყოლია და ხეს შემოერტყნენ გარშემო, აბა მოდით და ხელი დააკარეთო. ჯერ ინფრასტრუქტურის მინისტრის ჩამოსვლა გახდა საჭირო იყალთოში, მერე პრემიერიც ჩამოვიდა, რა სათამაშოს



არ დაპირდნენ, ვერაფრით ვერ მოაშორეს ხეს მარიამი და ბავშვები. მერე წამოსცდათ, ბაღს გავარემონტებთ და გათბობის ახალ ტექნოლოგიებს დავამონტაჟებთო. მარიამმა, ძალიან კარგი, ამას თუ იზამთ, მაგრამ არა ამ ხის ხარჯზე. გამოვიდა, რომ საბავშვო ბაღიც გარემონტდა და გათბობის ახალი სისტემაც დამონტაჟდა, რომელიც დაქუცმაცებულ წალმის ენერგიას სითბოდ გარდაქმნიდა და ხეც გადარჩა, რომელსაც მარიამის რცხილა შეარქვეს. გაივლიდა ხესთან, ჩაეხუტებოდა მარიამი. რცხილაც ისე ააშრიალებდა ფოთლებს, თითქოს უხარია ბავშვის დანახვა და ესალმებაო და რამდენჯერმე წვეთებიც კი დაეცა მარიამს, თითქოს სიხარულის ცრემლით ტირის ხეო, — იფიქრებდი.

ახსნდებოდა ეს ყველაფერი პრემიერს და ფიქრობდა, მარიამი ისეთი ბავშვია, არა მგონია რამე ააფეთქოს, თუმცა იქნებ რომელიმე ტერორისტულმა დაჯგუფებამ გადაიბირაო. არაო, გამორიცხულიაო! — თავის თავს უბრაზდებოდა, — ეს იგივეა მდინარეებმა უკუღმა დაიწყოს სვლაო. მერე გაახსნდა, მდინარე ორდანეს სასწაული, წელიწადში ერთხელ, წყალკურთხევისას აღმა რომ იწყებს დინებას. მაინც თავს იმშვიდებდა, მდინარეც კი შეიძლება აღმა დიოდეს, მარიამს კი ცუდი საქმისთვის ვერავინ გადაიბირებსო.

იყალთოში ჩასული მაშინვე ჟურნალისტების და მიკროფონების ტყვეობაში აღმოჩნდა. როგორ ფიქრობთ, ახლა თქვენთან სასაუბროდ მცალიაო, — უკმეხად ჩამოიცილა ისინი გზიდან. ერთი ოპოზიციური არჩი უკვე გადმოსცემდა, აი ასეთი პრემიერი გვეკვევს, ბავშვთან სასაუბროდ მიდის და ჟურნალისტებს არაფერს ეუბნებაო. შენობაში შესულს, სასადილოს კარი დავით ბედიანაშვილმა გაუდო. ქალბატონმა ციურიმ მარწყვის ახალგამზადებული კისელი ჩამოასხა ჭიქებში და მოლაპარაკების მაგიდაზე დადო. პრემიერი მაგიდას მიუჯდა.

— მარიამ, აბა როგორ ხარ? იმედია არაფრის აფეთქებას არ აპირებ?

— უკვე არ ვაპირებ, მაგრამ ჩვენს საუბარს ჟურნალისტები და ტელევიზები უნდა დაესწრონ!

პრემიერმა უშიშროების მინისტრს ანიშნა, შეუძლიათ ჟურნალისტები შემოვიდნენ. იყალთოს საბავშვო ბაღის სასალილო ოთახს



არასდროს ახსოვდა ამდენი ვიდეო კამერა. მთელი მსოფლიო ინტერესით ადევნებდა თვალს, თუ რა მოხდებოდა იყალთოში. მარიამმა კისელი მოსვა, თუმცა ეს არ იყო მღელვარების ნიშანი. პრემიერმაც იგივე გაიმურო. ის კი ძალიან ღელავდა, თუმცა არ იმჩნევდა.

— აბა, მარიამ, გისმებ! — თქვა პრემიერმა.

— სიზმარი მინდა მოგიყვე, შენც და ყველას, ტელევიზიებს და ჟურნალისტებს, ოღონდ იმიტომ არა, რომ მე მინდა, იმიტომ რომ დედამიწას ასე უნდა! თან კითხვა მაქვს, შეებულებაში გადიხარ?

— ეჰ, მარიამ, სად მცალია შვებულებისთვის, მაგრამ ეს რა შუაშია?!

— ხოდა შენი ბრალია, საქმეს რომ კარგად აკეთებდე, შვებულებისთვისაც მოიცლიდი. აი დედიკო და მამიკო წელიწადში ერთხელ შვებულებაში გადიან, იმიტომ რომ თავის საქმეს კარგად აკეთებდნ. ხოდა დედამიწამ დააშავა რამე? ისიც ხომ კარგად აკეთებს თავის საქმეს! ზრუნავს ადამიანებზე! მასაც ხომ უნდა შვებულება?

— მარიამ, ჩემო კარგო, რის თქმა აპირებ და ვერ ვხვდები!

— ეს ამდენი კატაკლიზმები და გლობალური დათბობა რისი ბრალია?

გლობალური დათბობა კიდევ ხო, ეს სიტყვა კატაკლიზმები საიდან გაიგოო, პრემიერმა გაიფიქრა. მარიამი კი აგრძელებდა.

— დაიღალა დედამიწა! გუშინ სიზმარში მეუბნება, ყველას შვებულება აქვს, მე კი არავინ მასვენებსო! სთხოვე ადამიანებს, რომ მიიღონ რაიმე კანონ-პროექტი, რომ წელიწადში ერთხელ ერთი თვით მეც დამასვენონ!

— დედამიწა ალბათ იმასაც გეტყოდა, როგორ წარმოუდგენია დასვენება!

— კი, ესეც მითხრა, ხო შეიძლება წელიწადში ერთხელ, ერთი თვით ფაბრიკა-ქარხნები შეჩერდეს, მხოლოდ იმ საწარმოებმა იმუშავონ, იმ მანქანებმა იმოძრაონ, რომლებიც დედამიწას და მის ატმოსფეროს არ ანაგვიანებენ. მაინც და მაინც რაიმე უბედურება უნდა დაატყდეს თავს კაცობრიობას, როგორც შარმანდელი პანდემიის დროს, რომ მიხვდნენ, დედამიწაც მისახედიაო?!

— მერე?



— მერე მე ვუთხარი, მე მხოლოდ ჩვენს პრემიერს ვიცნობ, და მას ვეტყვი-მეთქი! ხო, მერე ეს ბომბის ამბავი მირჩია!

— ვინ, მარიამ?

— დედამიწამ! უურნალისტებს ერთი აფეთქება უხსენე და ყველანი მოცვივდებიან, ხოდა მთელი მსოფლიო გაიგებს, რაც მინდაო!

— ბატონო პრემიერო, ჰქითხეთ რა, ყუთში რა არის? მართლა ბომბია? — ვერ მოითმინა ერთ -ერთი არხის უურნალისტმა. მარიამი პრემიერის კითხვას არ დალოდებია.

— ტელევიზია უივ-უივი? სანამ გიპასუხებთ, მეც მაქვს თქვენთან კითხვა, იცოდით, ორი დღის წინ ყველა ჩიტმა პროტესტის ნიშნად დილით რომ არ იგალობა?

— არა, პირველად მესმის!

— მეც არ ვიცოდი, დედამიწამ მითხრა! ბუნება ბრაზობს ადამი-ანებზე. რაც შეეხება ყუთს ტორტია, იმედია ყველას გვეყოფა, კისელიც გვაქვს.

ესც თქვენი უცხური აპარატურა და ეკვივალენტიო, პრემიერმა უშიშროების მინისტრს გადახედა.

— და ეს სადენები? — ახლა უკვე ბი-ბი-სის კორესპონდენტი დაინტერესდა.

— ეს ყუთის ასახდელია, თან მაშხალებიც ინთება, დათუნამ დაამზადა, ტორტი ციური დეიიდამ გამოაცხო, ჩვენც ვეხმარებოდით. დედამიწას დავუცხვეთ, თან ყველამ ერთად შეგვიძლიათ მივულოცოთ, დღეს დაბადების დღე აქვს!

მერე მარიამმა სადენები ერთმანეთს მიადო. მცირე ზომის ნაპერ-წკალი გაკრთა მავთულებს შორის. „ღმერთო გვიშველეო“ — ერთი ოპერატორი გულში ლოცულობდა, ერთ კორესპონდენტ გოგონას კი დაძაბულობისგან გული წაუვიდა. საბედნიეროდ მალევე მოასულიერეს და კისელიც დაალევინეს. მერე ყველა ერთად მღეროდა, „რა ლამაზი დღეა, დღეს ხომ დედამიწის დაბადების დღეა“, თან ოთხი სადღესას-წაულო მაშხალა აენთო და ტორტი გამოჩნდა, რომელზეც დედამიწის ორივე ნახევარსფერო ერთ დიდ გულში იყო ჩატეული, ირგვლივ კი დიდი ასოებით ეწერა: ჩვენო მშვენიერო დედამიწა, გილოცავთ დაბადების დღეს!

## ნაზი ლარიპაზილი

„გამარჯობა, მე ვარ ნაზი. და მიუხარის ჩანახატების გაყეთება და ლიტერატურის დახმარებით ჩემი სათქმელის მკითხველისთვის გადაცემა. აღნიშნული ნაწარმოებით მსურს მკითხველი დავაფიქრო იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქეს ვენას ქართველი კაცისთვის და რა მდიდარია საქართველო“.

## კაემანი შემოდგომაზე

მას შემდეგ, რაც ჰაშა ბოლოს ვნახე, სამი წელი გავიდა. გუშინ-დელი დღესავით მახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა. ორ წლიანი მიმოწერის, გეგმების დაწყობის, ოცნების და მოუთმენლად ლოდინის შემდეგ დადგა ჯადოსნური მომენტი. თბილისის უშველებელი აერო-პორტის ერთ-ერთ გამოსასვლელში, ზაფხულის სიცხისგან განაწარმები შევყურებდი მალალ, ახოვან, შავგვრუმან მამაკაცს, რომელიც ლამაზი ლიმილითა და გრაციოზული მოძრაობით ჩემქნ მოაბიჯვებდა. ჩემს ბედ-ნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ჩემ წინ ჩემი საუკეთესო მეგობარი, მრჩეველი, გამამხნევებელი და უბრალოდ, „უცხოელი ნაცნობი“ იდგა. თუმცა იმ მომენტში ორივემ ვიცოდით, რომ რეალურად ერთმანეთისთვის უფრო მეტს ვნიშნავდით, ვიდრე ნაცნობებს. ის ვიზიტი მალე დასრულდა. წამებში გაირბინა ხუთმა დღეები. ჰაშა კვლავ დაბრუნდა თავის მშობლიურ ეგვიპტეში, მე კი დავრჩი აქ და უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისთვის მოვემზადე.

ეს ემოციები ჩემში რამოდენიმე დღის წინ კიდევ ერთხელ გაცოცხლდა. შემოდგომის, ჭრელ-ჭრელ ფოთლებში ჩაფლული, სექტემბრის მიწურულისთვის საკმაოდ ცხელი დღე იყო. მივუყვებოდი გომბორის ლამაზ, დაკლაკნილ გზებს და მანქანაში მშვიდ მუსიკას ვუსმენდი. ყოველთვის მიყვარდა აშ გზაზე მარტო შგზავრობა, განსაკუთრებით შემოდგომით, როდესაც ფოთლები ფერად ხალიჩას უქსოვენ სწრაფ,



გრილ და ოდნავ ხიფათიან გზას. ალაგ-ალაგ ხეები ფარავენ ჰორიზონტს, ხან კი ხელისგულივით იშლებიან მთები თავიანთი დიდებული ფერდობებითა და სოფლის პატარა, შელახული, მაგრამ დიდი და ყოვლისმთქმელი ისტორიების შემნახველი სახლებით. გარემოს სიდიადით დამთვრალს, ჯერ კიდევ მაბრუებდა შუამთის ხეთა ხეივნის გრილი და დიდებული სიო. მივდიოდი ნელა, ვუსმენდი ზამთრისთვის მჩადება დაწყებული ხეების ფერადი, გამხმარი ფოთოლთა ჩამოვარდნის ხმას და გაუცნობიერებლად უკურნებდი თელავისკენ მომავალი მანქანების უწყვეტ ჯაჭვს. გულში მიხაროდა და ვამაყობდი, რომ ამ კუთხის შვილი ვიყავი. კუთხის, რომელსაც დიადი ისტორია და არაჩეულებრივი შვილები ჰყავს.

უცებ გადავიარე გომბორის უღელტეხილი. უფრო და უფრო მივუახლოვდი თბილისის საერთაშორისო აეროპორტს და გულმა გამალებით დამიწყო ძეგრა. სულ ორი საათი მაშორებდა ჰაშას ხილვას. მივიკვლევდი გზას თბილისის საცობიან ქუჩებში და ვფიქრობდი თუ როგორ მიიქცია ამ ადამიანმა ჩემი კურადღება. ის ხომ ერთი, არაფრით გამორჩეული ეგვიპტელი ბიჭი იყო? თუმცა, ალბათ იყო მასში რაღაც ღრმად დაფარული, ამოუცნობი და მომნუსველი.

ჩემთვის დრო ყოველთვის სწრაფად გადის, თუმცა მაშინ თითქოს გაიყნა. წამებიდა იყო დარჩენილი მის ჩამოსვლამდე. გულში უკუთვლიდი და კარისკენ ვიმზირებოდი. და ისიც გამოვიდა!.... ერთდღოულად დაღლილმა და სახეგაბრწყინებულმა მომენტალურად შემნიშნა და ჩემქენ გამოემართა.

— გამარჯობა! — მისი ბოხი ხმითა და დამტვრეული ქართულით ნათქვამი სიტყვები წამიერად გაიჭრა სივრცეში. — მე ჩამოვედი. როგორ ხარ?

— მშვენიერია, კეთილი იყოს შენი ფეხი! — ცრემლნარევი ხმით ამოვიბუტებუტე და გავიღმე. ემოციებისგან სიტყვები აღარ მემორჩილებოდა. გეღარ გახერხებდი მისთვის მეოქვა ის, თუ რა ბედნიერება იყო მისი ხელმეორედ ხილვა. თან წესისამებრ დისტანციას ვინარჩუნებდი და გაბრწყინებული თვალებში შევციცინებდი. — შეად ხარ თავგადასავლისთვის?

— რა თქმა უნდა, ლილე. — მითხრა მხიარულად და თან ჩემოდანს



ჩასჭიდა ხელი. სწრაფად გავემართეთ მანქანისკენ და ჩემი კუთხისკენ გამოვემურეთ.

ჰაშას ეს ვიზიტი წინასწარ დავგეგმეთ. მთელი დრო საქართველოზე, ტრადიციებსა და ადათებზე ვესაუბრებოდი. მასაც ისე შეუერადა ჩვენი ქვეყანა, რომ მთხოვა ენის სწავლაში დავხმარებოდი. შემდეგ უკვე დამტვრეული ქართულის, ინგლისურისა და არაბულის დახმარებით მუდმივად განვიხილავდით წეს-ჩვეულებებს.

ჰაშა მორწმუნებ მუსულმანია. მისთვის მთავარი ლოცვა და სწორად ცხოვრებაა. არ ეწევა, არც სვამს. საუბრისას ყოველთვის გვახსოვს, რომ ერთმანეთის რელიგიას პატივი უნდა ვცეთ. სწორედ ამიტომ, პირებელად ჩამოსვლისას ვერ გავძელე პირდაპირ ეკლესიებზე, ღვინოსა და კახურ ვენახშე საუბარი. ექსკურსიისას მხოლოდ ისტორიული ობიექტების ნახვით შემოვიფარგლე. ამჯერად კი შევუთანხმდი, რომ რადგან ერთმანეთზე მეტის გაგებას ვაპირებდით, მისთვის აუცილებლად უნდა მეჩვენებინა ის, რაც ჩემთვის ღირებული და ფასეული იყო. ყველა გზა მოვუჭერი და ისიც დამთანხმდა. როიგინალობისთვის ვიზიტი შემოღომისთვის დავგეგმე, რათა სიგრილის თანხლებით მეჩვენებინა მისთვის რთველი, თუმცა ბუნებამ ხელი არ შემიწყო და მცხუნვარე შეით გაგვინათა ის დღეები.

მოგზაურობა იყალთოს აკადემიიდან დავიწყეთ. ჰაშას ვაჩვენე ის უძველესი კედლები, რომლებიც მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში უნდა აგებულიყო. ქართული განათლების კერა, შუქურა. აკადემიაში სეირნობის დროს მეგობარს, სალის გადავაწყდი და გამოველაპარაკე. იგი ახალგაზრდა და ხალისიანი გოგოა. სოფლის ბაღში დამხმარედ მუშაობს. როგორც აღმოჩნდა, შესვენებაზე ყოფილა გამოსული. მან მაღევე გამონახა ჰაშასთან საერთო ენა. დიდხანს ვისეირნეთ აკადემიის ეზოში, შემდეგ კი მანქანით სამსახურამდე მივიყვანე. ჰაშას გაცნობით აუიტირებულმა სალიმ, თავისი აღსაზრდელების სანახავად, ბაღის ეზოში შეგვიპატიუ. ჩვენც შეგვედით. შეის ქვეშ ბავშვებთან თამაშისას, ჰაშამ ფანჯრებში ამოჭრილი რგოლები შეინშნა.

— ესენი რისთვისაა? — იკითხა გაოცებით და ფანჯრებისკენ მიგვითოთა.

— ღუმლებისთვის. როდესაც ცივდება ბაღში ღუმელს ვდგავთ.



რადგან საკვამური სისტემა მოუწესრიგებელია, გამონაბოლქვის გამოსაშვებად ღუმლის მიღებს ფანჯრიდან გადმოვყობთ ხოლმე და ბავშვებიც თბილად არიან. — სალიმ მორცხვად ჩაიღმა, თითქოს ეუ-ხერხულა ბაღის ასეთი ყოფის აღწერა. მართლაც, რთული სანახავი იყო ერთამულით სავსე შენობის ასეთ საშინელ მდგომარეობაში ყურება. სიტუაცია რომ განმეობუტა, ჰამბას გზის გაგრძელება შევთავაზე, თანაც უკვე საღამოვდებოდა. გამოშვიდოებების შემდეგ ალავერდისკენ გავემართეთ. როდესაც ალავერდის გზას შევუდექით, ჰამბამ ალავერდის უზარმაზარი ტაძარი დაინახა და გაოცებული სახით მკითხა, თუ რატომ მივდიოდით იქთ. მეც აღარ დავაყოვნე და მოყოლა დავიწყე.

— ჰამბა იცი რამდენი საუკუნის არის ეს ტაძარი?

— არა.. — მიპასუხა დაბნეული ხმით.

— ახლა შენ მეათე საუკუნეში აშენებულ ტაძარს უყურებ, რომელ-საც ალავერდი ეწოდება. იცი რას ნიშნავს?

— არა... — მითხრა ჩუმად და დაინტერესებით.

— თურქულ-არაბული სიტყვაა და ღვთისგან ნაბოძებს ნიშნავს. ეს ჩემი რწმენა, ჩემი სიამაყეა. წინათ შაპ-აბასმა დაარბია აქაურობა და ეს აღგილი მუსულმანთა საგლეჯი გახდა. თითქოს ირონიულია, თუმცა კი მე ახლა შენ აქ მომყავასრ და მშვიდად გიყვები ამ ისტორიას. ერთია, წარსულს ვერ შევცვლით, თუმცა კი მუდმივად უნდა გვახსოვდეს ის. — ამ თხრობაში მონასტერს მივუახლოვდი, მანქანიდან გადმოვედით და ჰამბა პორიზონტზე გავახედე. — არ ვიცი შემოხვალ თუ არა შიგინო, მაგრამ მინდა იცოდე, რომ ესაა ტაძარი, სადაც ზოგჯერ ჩენ-ქრისტიანები და მუსლიმები ერთად ვადიდებთ ღმერთს. ამაზე შემდეგ მოგიყვები, ახლა კი იქით გაიხედე. ხედავ რა არის?

— ვენახები, ყურძნი-თქვა თვალებმოჭუტულმა.

— სწორია. ვენახი და ყურძნი. კახელი კაცის იმედი და ძალა. იცი რამდენი სასარგებლო თვისება აქვს ვენახს და ყურძნეს?

— გათრობს და გავიწყებს ყველაფერს — ჩაიბუტბუტა ჰამბამ ირონიით.

— არა მხოლოდ.-უკმაყოფილოდ გადავხედე და ანგარიშმიუცემლად განვაგრძე თხრობა.-ვენახი ჩვენი გადამრჩენელია. მისგან ბევრი სარგებელი გვაქვს. თუმცა კი ბავშვივით მოვლა-პატრონობა სჭირდება.



ყურძნებსა და ღვინოზე არაფერს გეტყვი. ისედაც ბევრჯერ მისაუბრია, მაგრამ შეხედე ვაზის ქორფა ფოთლებს. არაფერია იმაზე გემრიელი, ვიდრე უწამლი ვაზის ფოთლებში გადახვეული, გემრიელად შენელებული ფარში. — ჰამბას ჩაეცინა. მე ღრმად ჩავისუნთქე და განვაგრძე. — ვენახი მხოლოდ არ გვაჭმევს. ის გვათბობს და გვგურნავს კიდევაც. შენ იცინი ჩემს მონათხრობზე, მაგრამ დაფიქრებულხარ თუ რამზელა სარგებელი აქვს წალამს? — მან ინტერესით შემომხედა და უარის ნიშნად თავი გააქნია. — ღღეს, როდესაც დედამიწა ნადგურდება, ტყეები იწვის, იჩენება, ატმოსფეროს ჰაერი ბინძურდება და დედამიწა მოხუცი მშობელივით ხელში გვაკვდება, ვენახიდან წალამი უმეტესწილად უმიზნოდ იყრება. არადა წალამს კარგი წვის უნარი აქვს და ბევრ სითბოს გამოსცემს. ნაცვლად ტყის გაპარტახების, კახელ კაცს ვენახის მოვლითა და მოშენებით რამდენიმე კურდღლის დაჭრა შეუძლია. თავი გამოიკვებოს და ეკოსისტემისთვის ზიანის მიყენების მაგიერ, საკუთარი ხელით გამოხშირული წალმით გაითბოს ზამთარში ბინა. გპირდები, ერთ ღღეს დაგაბემოვნებინებ ბაღში რომ გითხარით ისეთ გაგუბუზებულ ღუმელზე გახუხულ პურს გემრიელ ყველთან ერთად. — სიცილით ვუთხარი. ჰამბას აშკარა კმაყოფილება დაეტყო.

— შემდეგ ჯერზე, — მითხრა ღიმილით და ცისკენ აიხედა.

— მე შენ გითხარი, რომ ქართველებს ჭამა-სმა გვიყვარს. ამიტომ ვენახში გაჩენილ ლოკოკინასაც კი გონივრულად გადავამუშავებთ. — ბედად იქვე ლოკოკინა მიღოღავდა და თვალით მივუთითე. — ლოკოკინისგან ვაზის გასუფთავება მნიშვნელოვანია. მისი ექსპორტი კი ძალიან მარტივი. ლოკოკინა ზოგიერთ ქვეყანაში დელიკატესია, ზოგან კი სამკურნალო პროდუქტის დამზადების მნიშვნელოვანი ინგრედიენტი. ასე რომ, ჩემს მიწაზე ყველაფერს ოქროს ფასი აქვს. თუმცა იცი რა მიყვარს ყველაზე მეტად? — ვკითხე და თვალებში მივაჩერდი. — ძმარი! — გადავიხარხარე, ისიც ამყვა. — სასაცილოა, მაგრამ მე ღვინოზე მეტად ძმარი მიყვარს. ჯერ ერთი რომ კოლოების შვენიერი საშუალებაა. შემიძლია გაგატანო სამშობლოში. — ჰამბა მიხვდა ჩემს ხუმრობას და თავის ქნევითა და სიცილით შემომაცერდა. — ამასთანავე მაღალი სიცხის დროს ძმრიან წინდებსა და საფრენებს სწრაფად ჩამოპყავს ტემპერატურა. ოპ! როგორც ფარმაცევტს ეს



რჩევა გამოგადგება. გარდა ამისა — უფრო შემართებით გავაგრძელე საუბარი — ვენახი ისეთი სიძიდერეა, რომ თვით ყურძნის წიპტაც სამარგებლოა — ჰაშამ ცალი წარბი ასწია — მასე ნუ მიყურებ. მისმინე! ყურძნისგან საწვავის დამზადებაც შეგვიძლია. უფრო სწორად, ყურძნის წიპტაც ზეთხე, ეთილის სპირტის დამატებით ბიოდიზელს ვიღებთ, რომელსაც უფრო ნაკლები გამონაბოლექვი და ფასი აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ საწვავს. ახლა წარმოიდგინე კოველწლიურად გადამუშავებული ყურძნის, ნაგავზე მოსასროლად გამზადებული წიპტიდან რა რაოდენობის და ამასთანავე იაფი ბიოსაწვავი შეგვიძლია მივიღოთ. ნაცვლად ნაგავსაყრელზე ნეშომნალის მომატების, წიპტის გადამუშავებით კახელ კაცს იაფი, ეკოლოგიურად სუფთა საწვავის შექმნა და გამოყენება შეუძლია. — მოყოლა შევწყვიტე და ღიმილიანი სახით შევაჩერდი. მას რეაქცია არ ჰქონია. ძალიან უცნაური იყო ამ ადამიანთან ერთად უშველებელი ტაძრის წინ დგომა. მზე ჰორიზონტს ტოვებდა. იქიდან მალე წამოვედით. ჰაშა მთელი გზა მისმენდა. მორჩილი ბავშვივით, უპრეტენზიონ იღებდა ჩემ ყველა შეფასებას და თან კითხვებს მისგამდა. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ მიუხედავად დიდხნიანი ნაცნობობისა, მაინც იგრძნობოდა ჩენენ შორის განსხვავება ფასეულობებსა და გარემოს აღქმას შორის.

შეორე ვიზიტის დღეებმაც სწრაფად გაირბინა. ჰაშას გაცილების შემდეგ, აეროპორტიდან სახლში მოსულმა, წითელი ფანჯრით შემოვხაზე ათი ოქტომბერი და ამგვარად ისტორიას სამუდამოდ და-ვამახსოვრებინე ჩვენი შემოდგომის პაქმანი.

„ზოგადად ხელოვნება ზრდასრულობაში შენარჩუნებული ბავშვობის რეალიზებაა. ჩემთვისაც მწერლობა შუახნის (და ზემოთ) ასაკის სათამაშოა, რომელსაც იშვიათად ვიჭრებ. თუ მკითხველს ავიყოლიებ, ხომ კარგი, თუ არა და — ხანდახან მარტოც ვითამაშებ ☺.“

## გლობალური ფილოსოფია

ირაკლი 6 საათზე, უკვე ვენახშია. ასე ურჩევნია. სანამ იმუშავებს, სანამ სიგრილეა. მზე რომ დააჭირს, აგერ, კაკლის ძირში წამოწვება. შუადღით ნატრ სადილს და ყინულიან წყალს მოუტანს.

მეოთხე წამლობას უკეთებს ვენახს. უკვე ბევრი წელია ირაკლი მიწას და მის აღმონაცენს ეფერება. ბევრი წელია ხელები მექანიკურად მოქმედებენ, ტვინი კი ათასი ფიქრებით “ფეთქდება”. ხან რას მოედება, ხან — რას.

ერთ რიგის ბოლოში რომ გავიდა და ჭერმის ძირში ჩამოყრილი ნაყოფი დაანახა, თავი გადააქნია და ჩაილაპარაკა:

— დედა უტირა! როგორ შეიცვალა კლიმატი!

ახსოვს, რომ ამ ოცი წლის წინ დედას ეს ჭერამი მისი დაბადების დღისთვის ამოქონდა ბავშვების გასამასპინძლებლად. ახლა კი ერთი თვით ადრე შემოიდის. რას უშვება ადამიანი დედამიწას! 6 ათასი წლის წინ საპარაც მწვანე კოფილა. ვინ იცის რა მოელის ამ მადლიან მიწას! ადამიანმა ბუნებასთან პარმონიის გრძნობა დაკარგა.

თავად კი ცდილობს, რაც თავი ახსოვს, მუდმივად სამყაროსთან, დედამიწასთან პარმონიულ თანაარსებობას, მაგრამ ურთულესი ყოფილა ამის მიღწევა. დანამდვილებით არც კი იცის მისი არსი. არ იცის, ირლევეა თუ არა წესიგი, როცა კრაზანებს დიდი გარჯით აშენებულ ბუდეს დაუნგრევს. რა უფრო მნიშვნელოვანი და სამართლიანია სამ-



ყაროსთვის: კრაზანები მიუშვას ნებაზე და სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდოს, თუ გაანადგუროს ისინი. ეპ, ამაზე პასუხს ვერასოდეს გაიგებს. ერთადერთი ცხადი პასუხი ისაა, რაც ლაო ძიმ თქვა: “დაო არ არის სამართლიანი. მისთვის ერთია ქალი, კაცი, თუ ჩალის ძაღლი,” ხოლო თუ დავუშატებთ დოსტოევსკიდან ციტატას: ”მართალი ის არის, ვინც ბედნიერია,” პარმონიულობა სულ თავდაყირა დგება. ბედნიერება იმდენნაირია, რამდენი ადამიანიც არსებობს. ირაკლიც ბედნიერია, მაგრამ მეტი ფინანსური შესაძლებლობა რომ ჰქონდეს, ხომ უფრო ბედნიერი იქნებოდა?! დარწმუნებულია, ხალხის კისერზე მომჯდარი ჩინოვნიკები გაცილებით ბედნიერად გრძნომენ თავს, თავიანთ ფეშენებელურ სასახლეებში, მაგრამ მართლები არიან?... პარმონის მსგავსად, არც სიმართლეა მარტივი გასარკვევა. შეჭამ თუ შეგჭამენ, ყველა ერთ სტომაქში მოექცევით. ყველა და ყველაფერი იმ დიდი ენერგიის წილს ვიღებთ და გავცემთ, ერთეულ რომ აფეთქებიდან წარმოიშვა...შეხედე, სად გაუკეთებია ბუდე კაჭკაჭს. ეგ ახლა კაკალს დაუტოვებს ირაკლის? თუმცა რა ქნას, მაგასაც ხომ უნდა ჭამა, მაგისიც ხომაა ეს სამყარო....

ენერგიაზე ფიქრი მას შემდეგ შემოვიდა მის ცხოვრებაში, რაც მოცალეობისას, ამ თემაზე ღოკუშენტურ ფილმს უყურა. ყველაფერი დეტალურად და დამაჯერებლად იყო განხილული. დიდი აფეთქების შესახებ ძმასთან -ძმოთასთან კამათიც პქონდა. შოთა დრმადმორწმუნება და მუდამ სკეპტიკურად უყურებს ირაკლის დაინტერესებას მეცნიერული საკითხებით.

— ნეტაი, რას მიშტერებისარ მაგ ღოკუშენტურ ფილმებს. წაიკითხე ბიბლია და სიმართლე იქ არის, იქა! -უჩინებს ძმა

— ბიბლია დიდი ხნის წინ წავიკითხე, მაგრამ ბევრი კითხვა დამრჩა უპასუხოდ. —

— არასწორი კითხვები გებადება, ძმაო — პასუხობს შოთა და ირაკლი უფრო ღმად აღარ შედის პაექრობაში.

მეცნიერებაშიც უამრავი უპასუხო კითხვაა. კაი, ბატონო, დაგუშვათ აფეთქდა, რა აფეთქდა ამ დალოცვილში. სიცარიელე ხომ არ აფეთქდებოდა?!

ის კიდევ უფრო ჩახლართული ამბავია  
როგორ განსხვავებულად აზროვნებენ მმები. არადა პედაგოგი დედა



ორთავეს ერთი და იგივე იდეებს და პრინციპებს უნერგავდა. შოთა თავიდანვე მორჩილი იყო. მოცემულობას კითხვების გარეშე იღებდა. ირაკლი კი შეკითხვებით და ამბობით გულს უწყალებდა შშობლებს. თავიდან სწავლაშიც ზარმაცობდა.

— თქვენ ისეთ ისტორიულ სოფელში გაგაჩინათ დმერთმა, სირცხვილია გაუნათლებელი რომ დარჩეთ. აქ ჯერ კიდევ პაერში ტრიალებს იმ სინათლის და კეთილგონიერების აჩრდილი, რაც ამ დალოცვილი აკადემიის კედლებში ღვიოდა. საუკუნეების წინ. — ისე ხშირად უჩინებდა დედა ბიჭებს, რომ სანამ წამოიზრდებოდა, ირაკლის აკადემიის გაგონებაც კი უსიამოვნო განცდას უჩენდა. მერე კი, სწორედ სოფლის წარსულით სიამაყის გრძნობაში მიიყვანა ისტორიის სიყვარულამდე და უნივერსიტეტამდე.

ისწავლა, განათლება ნორმალური აქვს, მაგრამ რა, მაინც უენახში შრობობს. ისე აეწყო მისი ცხოვრება და რას იზამს. ოთხმოცდაათიანმა წლებმა მოუსწრო და დარჩა ასე. ქალაქშიც უმუშავია, მაგრამ უფროსს ვერ შეეწყო. მისი ქედმაღლობა და მბრძანებლური ტონი ვერ აიტანა. ერთხელაც კაზურად დააფარა თავზე ყველაფერი და წამოვიდა.

ბავშვობაში აუტანელი ეწვენებოდა მინდორში მუშაობა. აზლა კი აქ იპოვა შვება. თვითონ არის თავისი უფროსიც და უმცროსიც. უნდა იმუშავებს, უნდა დაისვენებს. თან სიამოვნებას იღებს ბუნებასთან ურთიერთობით. მზისგან წამოსულ ენერგიას შენი შინაგანი ენერგიით რომ შეავსებ, ვაზს რომ მიესათუთები, მერე ისიც რომ თვისი კეთილი ნაყოფით გიხდის მაღლობას, ამაზე უფრო სასიამოვნო რა უნდა იყოს. საუკეთრსი თერაპიაა. პირდაპირ უებარი წამალია ყოველგვარი სტრესისა და დეპრესიის წინააღმდეგ. მიწასთან განმარტოებასაც თანდათან ეწვევი. — (აქ მიხვდა, რომ, თუკა ფიქრებით ამ ხაზს გაყვებოდა, საკუთარ ანტიდეპრესანტულ თეორიასთან წინააღმდეგობაში მოვიდოდა და ისევ ვაზს დაუბრუნდა.) ამ დალოცვილს ფოთოლლიც კი გემრიელი აქვს. რა გემრიელ ტოლმას აკეთებდა დედა. ამას წინათ მარი მაღაზონიას გადაცემიდან მოისმინა, თურმე, რამდენ სასარგებლო ნივთიერებებს შეიცავს, პექტინებსო, ვიტამინებსო და კიდევ ათასგვარ რამესო. წელსაც მოხუფა ნატომ რამდენიმე ქილა განაფურჩქინი ფოთოლლი... დაიცა, ეს რამოდენა ნამხრევი დარჩენია მოსაშორებელი.



პო, იმაზე ფიქრობდა, რომ, იმ 14 მილიადი წლის წინ წარმოშობილი ენერგიით სახრდოობს ახლაც ეს ვაზი. ამ ენერგიით კვებავს შე, მიწა, და წყალი ყველას და ყველაფერს. ენერგია ხომ მუდმივია. ერთი სახიდან მეორეში გადადის ესაა და ეს. ვიკვებებით და ვკვებავთ, ჩვენი სხეულით. ნეტავ, ეს ფიქრები სად მიდის? ნეტავ ეს გრძნობები რა ენერგიაა?

ამაზე ხშირად უფიქრია ირაკლის. კიდევ უფრო ხშირად კი უოცნებია ყველანაირი ენერგია სასიკეთოდ გარდაექმნა და ადამიანისთვის სასარგებლოდ გამოყენების მარტივი გზები ეპოვა. მე-11-ე საუკუნეში ჩინეთში ქარის ენერგიას ეტლის მამოძრავებლად იყენებდნენ. რა კარგი იქნებოდა ახლაც რომ არსებობდნენ აფრებიანი მანქანები. წარმოიდგინე, რა მშვენიერება იქნებოდა აფრებიანი მანქანებით სავსე ქუჩები ამ ოხერ ქარს როცა მიაქვს ყველაფერი, მაშინ მაინც გამოიყენებდა კაცი და ცოტას დედამიწაც ამოისუნთქავდა. პრინციპში დედამიწისთვის სულ ერთია, რაც წიაღილან გასცა, იმასვე დაიბრუნებს, მაგრამ ადამიანისთვის ხომ უკეთესი იქნებოდა?! მევლად ქოხებს ნაკელით ლესავდნენ. ძველად კი არა აზიურ ქვეყნების სოფლებში ახლაც ასე იქცევიან თურმე. ზამთარში სითბოს ინარჩუნებს და ზაფხულში — სიგრილეს...კარგი რა, ირაკლი

რა დროს ნაკელია 21-ე საუკუნეში, რაებზე ფიქრობ! თურმე სხვა ბუნებრივი საშუალებებიც იქნებოდა ძველად. ჩვენ ხომ ახალ აღმოჩენებთან ერთად ძველს ვივიწყებთ. ტურ პეიერდლი თვლიდა, რომ პოლინეზიის კუნძულებზე საუკუნეების წინ აკეთებდნენ ტრეპანაციას და იმპლანტაც ქოქოსის ნაჭუჭს დგამდნენ. ეგვიპტეში კი 2 ათასი წლის წინანდელი, დახვეწილი ინსტრუმენტი აღმოაჩინეს, რითაც, თურმე კატარაქტის ოპერაციას აკეთებდნენ. ჩვენ კიდევ ჩვენი მიღწევები გვიკვირს. მე კაი ადამიანო, ჯერ მიღწეული შეისწავლე! წყლის და ქარის ენეგიის გამოყენება ხომ შეიძლება?! მზის სითბური ენერგიის გამოყენება ხომ შეიძლება?! თუ ყიდვა ძვირი ლირს, შენ რომ მთავრობა ხარ და საშუალება გაქვს, ჩადე თანხები, წაახალისე ახალგაზრდა გამომგონებლები. სავსეა ეს პატარა ქვეყანა გენიოსებით. სოფელი არაა, სადაც ჩანჩქერი არ მოჩქერდეს. რომ მიადგები და ტყებს კაფავ გიგანტური პესებისთვის, ააშენე რა, ბევრი პატარა



პესი. არც მიწას ავნო და არც ჰაერს. ხომ შეიძლება არა? მაგრამ, ერთხელ რომ სკამებზე მოჯდებიან, მერე საკუთარი ჯიბის იქით ვეღარაფერს ხედავენ...

ეს ოხერი ჭანგა, როგორ ვერ მოსპო, ამ რიგში!

პო, ირაკლის ხელში რომ იყოს, დაარსებდა „სამყაროსთან პარმონიული თანაარსებობის სააგენტოს“. ამ, ახლა ამ სააგენტოს თანამშრომლები არჩენინე, კიდე ხალხს! ან, რა ირაკლის ხელში! სხვებზე მეტ კეთილგონიერებას, ვითომ რით გამოიჩენდა.?! რამდენი რამე მიუქარია.

ახლაც კი, 22 წლის მერეც წითლდება რომ ახსენდება, როგორ მოღალატურად მოექცა ნატოს, როგორ ტომარასავით ჩატენა მანქანაში და მოიტაცა. არადა ბაღიდან მოყოლებული მევობრობდნენ.

ბაღიდან უყვარდა. ცხადად ახსოვს, თამაშე მაშინ თანხმდებოდა, თუ ნატო ირაკლის დედა იქნებოდა. დათა მამა იყო. მისოვის აგებელითი გამოდგა ნატოს და დათას ვითომ-ვითომ ცოლ-ქმრობა. გაიზარდნენ და ნატო ყოველვის დათას ანიჭებდა უპირატესობას. როცა სამივენი ერთად იყვნენ, ირაკლის ვერც კი ამჩვევდა ნატო. ის კი მისით სუნთქავდა და საზრდოობდა. სულ მისი ხედვის არეში იყო ნატო. სულ ზრუნავდა მასზე, ისე, რომ, ხშირად ვერც კი გებულობდა გოგო, ამის შესახებ. ძალა კი ერთხელაც ვერ მოიკრიბა, რომ გრძნობებში გამოტყედომდა. სულ ჩუმად უთხრიდა ძირს მის ურთიერტობას დათასთან. ვერ ახსენდება, მთლად კარგად მაშინდელი საქციელი. ურჩევნია, ამაზე არ იფიქროს...

ერთხელაც ადგა და მოიტაცა!

მაშინ ასე იყო. მიყვარდა ვინმე, მანქანაში ჩატენიდი და შენი ცოლი იყო. უყვარდი, სძულდი, არ ეკითხებოდი... როგორ იცვლება საზოგადოება. ახლა ხომ მისაც სამარცხინოდ მიაჩნია ეს ტრადიცია!

კიდევ კარგი, კეთილგონიერება ეყო და არ იძალადა. მაშინ ხომ სამუდამოდ დაკარგავდა ნატოს. მხოლოდ უგრძნობი სხეულის მფლობელი იქნებოდა.

დათამ გაიგო სად ყავდა წაყვანილი და ჩააკითხა. გოგომ დაინახა თუ, არა, მაშივნე გაიქცა და მანქანაში ჩაუხტა.

დათა კი სძულდა ირაკლის, მაგრამ აღიარებს, რომ კარგი ვაჟაცია. ყველაფერში მართალი და სწორი იყო, რას მაშინ ირაკლის ეძახა,



ყველა მუშტი ალალი იყო, რაც მისგან მოხვდა. რას იზამ, ახალგაზრდა და უჭყუო იყო მაშინ, ლაჩარიც!

15 წლის დაქორწინებულები იყვნენ, ნატამ რომ მეზობლის რძალთან შეუსწრო დათას და ოჯახი დაეწერათ. კარგია, რომ შვილი არ ჰყავდათ, მისი ხათორით შეიძლებოდა ეპატიებია ნატოს. ირაკლიმ იქამდეც იცოდა დათას მექალთანეობის შესახებ, მაგრამ, ამჯერად არაკაცურად მოქცევა არ უნდოდა.

7 წელი, ისევ კრძალვით ზრუნავდა ირაკლი ნატოზე. ხანდახან ფრთხილად გადაუკრავდა სიტყვას თავის გრძნობებზე. როგორც იქნა დაარწმუნა ქალი წრფელ გრძნობაში და ცოლობაზე დაითანხმა.

ბედნიერია ირაკლი.” ასე მგონია, სულ შენ მიყვარდი და ვერ ვხვდებოდიო.” — ეუბნება ნატო. ვერავინ დააჯერებს ირაკლის, რომ ახალგაზრდული სიყვარული უფრო ძლიერია, ვიღრე შუახნისა.

ღმერთმაც განსაკუთრებული წყალობა გამოიმეტა და 49 წლის ასაკში ბავშვი ჩაესახა ნატოს. ბავშვზე ოცნება ვერ კი გაებედა ირაკლის, ნატოს ქმრობითაც ზღაპარში ეგონა თავი.

ახალი, დიდი მოტივაცია და ულევი ქნერგიის წყაროდ გაუხდა ირაკლის ჯერარდაბადებული ბავშვი. ახლა მას საკუთარი, შეიანი სამყარო აქვს და განსაკუთრებით სჭირდება მათი სახლი — დედამიწა ჯანსაღი იყოს...

უჰ, რა დრო გასულა! აგერ, ნატოც მოგორავს, თავისი მრგვალი მუცლით. დაისვენე, ირაკლი, დაისვენე. წამოწექი კაკლის ძირში, სანამ შეე გადავა ეჭუბჭუპე ცოლსაა

## ქართველობის გარნაპიშვილი

„მე ვარ ქუთხევან ბარნაბიშვილი. მიყვარს პროზაული ნაწარმოებების წერა და კონკურსებში მონაწილოების მიღება.“

### დედა, მამა, ტრაქტორი და სხვისი ჟვილები ბაღში

იგი ამბავი გემახსოვრებათ ალბათ, ბაბუამ რომ წითელი ტრაქტორი დამიტოვა, ამას შენ მიხედე და აგი შენ მოაგხედავსო თან რომ დამიბარა.

ჰოდა როის იყო მაი ამბავი აღარ მახსოვს მაგრამ იმას რა დამავიწყებს რამფერ ამაშენა და დამამშვენა მაგ წითელმა ტრაქტორმა. ცოლიც მაგის გულობიზა მევიყვანე, თბილისში რომ წავედი ტრაქტორის ნაწილებიზა და ცოლი ჩამევიყვანე. კაი ამბავი კი გამევინა. ნამდვილი ანეკდოტი. მერე იყო ჩემი ცოლის დეიდაშვილმა ოსტატები რომ დაახვია ჩემს ტრაქტორს და გახადეს ეზერგოუეტტური, ტრაქტორს თავზე შეის ბატარეები დაამაგრეს და დეიარება მას შემდეგ შეის ენერგიაზე. დოუჯერებელი ამბავი კია, მაგრამ მართალია მაგი და ასეა ეს ამბავი. გარემოსაც უუფრთხილდები და მიწასაც გამუშავებ. მეზობელიც მადლიერი მყავს და აყვავდა ვანის სულორი. წავიდა ის დრო ხალხს მოსახნავიზა ფული რომ არ ჰქონდა და მიწას ვერ ამუშავებდა.

მას მერე ტკბილად და ბედნიერად ვცხოვრობთ მე და ჩემი ქალაქელი ცოლი. მესამე წელს ბაღანაც კი შეგვეძინა. სახლი გავარემონტე. ოჯახი ფეხზე დავაყენე და მეტიც იმდენი საჭმელ სამელი დამიგროვდა სხვებსაც გოგუმართე ხელი.

ის იყო ვითიქრე ასე ბედნიერად გეივლის ჩემი ცხოვრება, შრომასა და ოჯახურ სიტყბოებაში თქვა რომ ვინ გაცალა სიმონ?! ჩემი ცოლის დეიდაშვილე ჩამევიდა სტუმრად. აქეთური მოყვა, იქითურიც მოაყოლა და ე, მაშვინ იყო რომ თქვა კახეთში თურმე, ორ სოფელში ხალხს ისე უჭირს საბავშვო ბაღში ვენახის ლერწამს წვავენ გასათბობადო.



რაღა დროის შეშის ღუმელიათქვა გევიკვირვე, კახეთში გაზის ცივილიზაცია არშესულა თუ რაშია საქმეთქვა. იმერული სისხლი მაინც ოხერია, მიყივლა და წავკბინე კახელებს. მერე კი გევიგე, ლერწმის დაწვა 30%-ით უფრო იაფი ყოფილა ვიდრე გაზით გათბობა და თან მევენახეებითხეისაც სასარგებლოა ნარჩენებისგან გათავისუფლება.

— მაგრამ რაშია იცი საქმე? — მითხრა ჩემი ცოლის დეიდაშვილმა,

— კაცი არაა ვინც ვენახებიდან ლერწმის გამოზიდვას ჩაიძარებს.

— რაის გამოზიდვა მაგას უნდა ნუ გადამრიე — მივაძახე მე და ისევ იმერული სისხლის ყვილი ვიგრძენი.

— ხელით ვერ ეზიდებიან, პატარა ტრაქტორებით თუ გამოიტანენ შეღავათიანი მეთოდი აღარ გამოდის და გაზით გათბობაზე ძვირი ჯდება.

— რაცხა არ მომწონდა მე ეგ ამბავი მაინც. წალამი იმისთვისაა მწვადი რომ შეწვან ზედ და რაის საბავშვო ბალის გათბობა მოუნდათ სიმონ!?

— მწვადი კარგია როცა სამწვადე გაქვს კაცს. ყველა შენსავით წელ-გამართული კი არაა. ერთი ოჯახია თელავის რაიონის სოფელ წინანდალში, დედას და მამას რვა შვილი პყავთ, დიღედაც მათთან ცხოვრობს და ყველა სამუშაოზეა გასული. რვაშვილიდან ხუთი ბალის ასაკის პყავთ. დანარჩენი სამი სკოლაში დადის. იმ სოფელში ბაღმა რომ ვერ იმუშაოს დაიქცევა ოჯახი. დედა სამსახურში ვეღარ ივლის და სკებიც აღარ ექნებათ სამყოფი. შიმშილით დაეხოცებათ ბავშვები. ოჯახის უფროსი ჩართულია პროექტში და ეზიდება ზურგით ლერწამს, შრომა არ უზარება, მაგრამ რამდენს შეძლებს?! — ამის გაგონებაზე ხმა აღარ ამომიღია, ჩემი ქალი კი ჩვენს ბალებს ჩაეკონა. გული ოუჩუკა სხვისმა გაჭირვებამ.

იმ დამეს თვალი ვერ მოვხუჭეთ მე და ჩემმა ცოლმა. გამთენისას მითხრა წადი კახეთში და იქნებ რამე მოუხერხო იმ საწყალ ოჯახსო. რაი უნდა მოვუფიქრო რათინ დავეხმარებითქო კი უუთხარი, მაგრამ შზის ამოსვლასთან ერთად იმფერი გენიალური აზრი დემებადა ლოგინიდან გახარებული წამოვხტი.

ჩემი ცოლის დეიდაშვილმა რომ გაიღვიძა სალამის უთქმელად გუთხარი, ვიცი რაც უნდა მოვუხერხოთ თელავის სოფლებში ბალების გათბობასთქო.

— ჰო, აბა გისმენ?!

— პატარა ტრაქტორი შევიძინოთ და მზის ენერგიაზე ავამუშაოთ. რათრაც ჩემი ტრაქტორია და ჩავუტანოთ იმ რვაშვილიან ოჯახს.

— მერე ვენახში ივლის ის ტრაქტორი? შეეტევა?



— კი, სიმონ!

— კარგი აზრია ხომ იცი?! გავიგებ რა ღირს პატარა ტრაქტორი.

— ფულს მე გედევინდი, ტრაქტორს იმდენი ხნით დაუუტოვებ რამდენიც წელში გასამართად დასჭირდება. — დამეთანხმა. იმ დღესვე შევუდექით ტრაქტორის შეძენას/გადაკეთების საკითხს. ერთი კვირაც არ იყო გასული მე, ჩემი ცოლი, მისი დეიდაშვილი და ჩემი ბაღანა გავუდექით გზას კახეთისკენ.

ლამზია ჩვენი დალოცვილი საქართველო. სახცა გინდა წახვიდე ყველგან იმფერი შშენიერია გული აგიჩუდება კაცს. კახეთში ნამყოფი არ ვიყავი. ვანში ათას რამეს გლახაობნენ კახელებზე. სოფლებში შევედით თუ არა ვირებს დოვუწევე ძებნა.

— აქანე ვირები არაა?! — გაოცებულმა ვიკითხე ნახევარსაათიანი ძებნის შემდეგ. — ჩემი ცოლმა და მისი დეიდაშვილი მოკვდნენ ნაცინები. ასე მითხრენ, შენ რა კარგისანახავი იქნება გახელებისგარემოცვაშიო.

— რაია სიმონ ჩემზე გლახაობას თუ აპირებთ მე არ მოვდივართქო.

— მოდიხარ კი არა მოხვედი უკეეო. — მითხრა ჩემი ცოლის დეიდაშვილმა და მანქანა სოფელი იყალთოს ცენტრში გააჩერა. ჯერ კიდევ ვერ შევეჩვიე ჩემს ლაპარიკზე რომ იცინოდნენ. რაის ვიზამდი ქალს მაგის გულობიზა ვერ გავეყრებოდი და მე კიდო რაც ვიყავი ეგ ვიყავი და ენას ახლიდან ვერ ამოვიდგამდი.

ლამზი სოფელი ყოფილა იყალთო. ვინცხა შეგვხვდა და თავისთან სტუმრად წაგვიყვანა, მოშიებულები იქნებითო. კაი იმერულ ხაჭაპურს კი შევჭამდითქვა გევიფიქრე. სუფრა პირდაპირ ეზოში ვენახსა და სახლს შორის გოუშლიათ. იქვე თონეში დიასახლისი პურს აკრავდა, ისე ჩეეფუდა თონეში ჩავარდათქო ვიფიქრე და მივვარდი ამოსაყვანად. ამასობაში თავად ამოყო თავი, წელში გასწორდა და გაოცებულმა შემომხედა. ქალი ვერ მიხვდა რა ხდებობა, ჩემი ცოლი და მისი დეიდაშვილი კი იხოცებოდნენ სიცილით. შევეცადე გამომესწორებინა ჩემი საქციელი, მივესალმე დიასახლისს და რაში დაგეხმაროთქვა ვუთხარი.

— არაფერში შენი ჭირიმე, სუფრასთან დაპრძანდით ცხელ პურს მალე მოგართმევთო. — იმფერი მწვადის სუნი მოდიოდა, გული თუ არ წამივიღოდა არ მეგონა. დავსხედით და პირველად ჯიგრის ყაურმა მეიტანეს. რომ შეეხდე ამას რა შეჭამსთქო კი გევიფიქრე, მაგრამ რა ვნახე სუფრის წევრები როგორ გემრიელად შეექცეოდნენ ვიფიქრე



გავსინჯავ ამფერი რაია თქვა, მაგრამ არ შემომთავაზენ სიმონ?! ვიჯექი ჩემთვის, მშიოდა და ვერ ვჭამდი. ცხელ პურს საოცარი სუნი ასდიოდა. მერე მწვადი მოიტანეს, დედა რა იყო?! ქარვისფერი ღვინო ჩამოასხენ. ცოლი მიმიხვდა გასაჭირს. რაფერი ჭკვიანია ეგ გასახარი.

— არ დაგავიწყდეს კახეთში ხარ. აქ იმერული თაგ-პატიური არ იციან. ერთხელ შემოგთავაზებენ და მოგარომევენო. ასე რომ ხვეწნას ნუ ელოდები ჭამეო. — სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, შოთს ყუა რომ წავატებე და ყველი გადმოვიდე. იქვე მწვანილი ელაგა და მევითქვი სული. ჯიგრის ყაურმაც რაღაც სასწაული აღმოჩნდა, მაგრამ ხაშლამა რომ მეიტანენ მართლა წამივიდა გული. ის იყო ჰაერში მოლივლივე ნაჭერი უნდა გადმომელო რომ რაცხა უცნაური ბლავილის ხმა შემოგვესმა. მასპინძლები ფეხზე წამოცვივდნენ და სახლის მარნის მხარეს გაიქცნენ. ცოლს ვანიშნე, ბაღანას მიხედეთქვა და გევეკიდე გაქცეულებს. მივედი და ავი რა ნახა ჩემმა თვალებმა სიმონ?! ეზო სავსე იყო ქვევრებით და ერთ ერთ ქვევრში მოზერს ჰქონდა თავი შეყოფილი, უკან ვეღარ წევდა და ბლაოდა. მასპინძლები კვტებოდნენ ნაცინები. სიცილით გული რომ იჯერენ დასახმარებლად მივიდნენ. როგორ მოხვდი მანდაო? მიაძახეს მოზერს.

— ბაეშვილიდან მანდა ზისო. — გასძახა სტუმრებიდან ვინცხამ.

— დააცა განსხვავებულსა სვამს! — შეეცადნენ თავის გამოწევაში დახმარებოდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

— კაცო, ე ამოდენა ნახვრეტში თავი თუ გაეტია, უკან რატომ აღარ გამეეტა?! — იკითხა ერთმა.

— ეს ხომ წრეა, ლაუაზიეს კანონია! — მიაძახა ვიღაცამ და ახარხადნენ. მერე მასპინძლელმა ურო მეიტანა და ქვევრს მუცელში ჩასხო რომ გაეტეხა. ისეთი ექო გამოსცა საწყალი საქონელი ელდა ნაცემი გადაყირავდა.

— უიმე რაღა ვქნა ქა?! დაიცა თავი არ ეტკინოს! — დაიჩივლა დიასახლისმა.

— რას აკეთებ ჯო! — მიაძახენ მასპინძელს — ე მანგრე ხო გულ გაუხეთქამ მოზერსა, ბარებ დაგვეკლა?!?

— ქვევრს ყელში ჩასხე ბიჯო! — მიაშველენ რჩევა. მასპინძელ-მაც სამჯერ ძლიერად მოიქნია ურო და ქვევრის ყელი ჩამტვრია. დამფრთხოებით საქონელი ბარბაცით გაშორდა იქაურობას.

— გადავრიეთ ეს იმერელი სტუმრებიო, იუხერხულა დიასახლისმა



და ისევ სუფრასთან მიმიპატიურა, ხაშლამაც გააცხელენ მაგრამ იმფერ შოგში ვიყავი ლუკმა ვეღარ გადავყლაპე სიმონ. სამი ჭიქა ღვინო მქონდა დალეული და კარგად შემთხვრალებული ვიყავი. დავიჯინე წავიდეთ საქმეს მივხედოთ.

— საქმე მოიცდის ჯო. მაიტა ჭიქა შეგივსოო. — არ დავუთმე და მერე გავაგრძელოთ საქმეს რომ მოვრჩებითოქვა. ვეღარ შემეწინაღმ-დეგნენ და საბავშვო ბალისკენ დავიძარით. მე ჩემი ცოლის დეიდაშვილი და პროექტის ხელმძღვანელი ვიყავით, ახალგარეწნტებული საბავშვო ბალი დავათვალიერეთ. ყოლითვერი კარგად იყო გამზადებული. გასათბობი სისტემის საქვაბეც მომეწონა. ერთი რაც აკლდა ფარდული იყო საღაც წალამს შეინახავდნენ, კლიმატის ცვლილებას მისი ლპობა რომ არ გამეეწვია. მთელი ზამთარი გამომშრალი ყოფილიყო. იქვე დავგეგმეთ როგორი შენობა უნდა აშენებულიყო და მერე რეაშვილიანი კაცის ოჯახს ვეწვიეთ. საცხა ტყისპირას უცხოვრიათ, ერთ ჰატარა სხლში. გაკრიალებული ეზო და ბოსტანი ჰქონდა. ეზოში 5 ბავში თამაშობდა, უკან ბოსტანში კი დიდედა და სამი უფროსი შვილი მიწას ბარავდა. შშრომელი ოჯახიათქვა გევითვიქრე და მომეწონა. მერე ოჯახის უფროსიც მევიდა და წორვუდგინეთ ახალი ჰატარა ტრაქტორი, თავისი მისაბმელით.

— აგი, ზომით რაც აქვს ტრაქტორს შზის ბატარეებია და ამითინ დადის, ისეთი ჰატარა ხმა აქვენ მერსედესი გევონება სიმონ?!

— „სიმონი“ არა ჯო, პეტრე მევია! — მითხრა გაოცებულმა, კიდევ კაი ჩამი ცოლი არ იყო იქინე თვარა რა მოაბრნებდა იმას, მაგი-სი დეიდაშვილი კი მოკვტა ნაცინები. ამგენს ვის გადავეყარე სიმონ?! პეტრე აშკარად ვერ მიხვდა რა ხლებოდა. ტრაქტორზე პირველად მე დავკვექი და ვაჩვენე რა უნდა გევეკითებინა და მერე მეზობლის ვენახში ტესტ ღრაივი გავიარეთ. საწყალ კაცს სახე გაბადრული ჰქონდა სიხარულისგან. შევთანხმდით მთელი წელი იმუშავებდა და ერთ-ორ კაპიკს დააგროვებდა, სეზონზე წალამს მოაგროვებდა, მერე ვენახის კვლების გამოხვანას და დამუშავებასაც შეძლებდა. რაშიც გამოადგებოდა ენერგოეფექტური ტრაქტორი ყველა საქმეს გააკეთებდა და ორ კაპიკს რომ დააგროვებდა თავის ტრაქტორს იყიდდა ან ჩემსას გამეისყიდდა.

ასთე ავაწყეთ ეგ საქმე აპა რავა.

ნეტა მხედავდეს ბაბუაჩემი როგორ იამაყებდა ჩემით?!



მზია  
კორეკტივი

პროფესიით მათემატიკოსი (ივგანგიშვილის კაბერნეტიკა-გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი), გმუშაობ მარკეტინგის სამსახურში (ქუთაისის უნივერსიტეტი), ვრცელითობობ. ვწერ – ანუ დაზღვა და სიხარულს მხატვრულად გამოვხატავ – ესაა და ეს ჩემი პოეტობიცა და მწერლობება!

፭፻፭፻

როცა ბებოს ცხედარი უკანასკნელ გზაზე გამგზავრების წინ რამდენიმე წუთით ეზოში დაგასცენეთ, ჩემმა ძმამ ვაზს გალერწილ-გაფურჩქნელი, აყვავებული რქა შეატეხა. ბებოს სანთელივით გაყვითლებულ, დაღლილ ხელებს ეამბორა და მოწიწებით დაადო გულზე ცრემლება-კიათებული რტო...

ერთბაშად ამონეთქა, იფეთქა მოწურულ გულში დაგროვილ-  
მა ტკივილმა. მთელმა ბავშვობამ და სიყმაწვილემ სულ ერთ წამში  
თვალწინ გამიეცვა:

...მშე ცის კაბადონზე გვერდულად წამოწოლილა და ოვალებს ეშმაკურად ნაბავს. ხელში უშველებელა, ცეცხლისფერი კალათა უჭირავს, ღროდადრო ხელს ჩაკრავს, იქვედან მოკასკისე, გზგიზა სხივებს ამოკრაფტს და მუჭა-მუჭა ისვრის დედამიწისკან.

ვაზის ფოთლებს შორის გამომსხლტარი სხივების ანცი და ბრჭყვიალა წნელები სახეზე მეცემა, თამაში და გართობა უნდათ, ცდილობენ ამიყოლიონ. მეც ხასიათს ვუგებ, მათთან ერთად ვცეტდები და ვკისეისებ.

ჩემი ძმა წყენაგარეული, თბილი და ალალი ღიმილით მომჩერებია. ხელავს როგორ ავართ და თანხათან მიმავიწყდა იგი.

„— ჭიტააა-ჩამომძახებს მაღლიდან, თან ბებიას კიდევ უფრო მაგრად და მჭიდრო ხვავს კისერზე ღუწებულა ხელობს. ააი ხრება, ლოვით



ლოტაზე მიეკვრება და ისევ უკოდველად და სიყვარულით მიღიმის.

მოუსევნარი სხივის წკეპლა ერთს აფრთხიალდება, შეიკუნტრუშებს, ჩემგან გაიქცევა, ისევ ვაზის ფოთლებში გასხლტება და ახლა ჩემს პატარა ძამი კოს მიეჭვთება სათამაშოდ. ის კი გულუბრყვილოდ იშვერს ხელებს, უნდა რომ დაიჭიროს და მუკში მოიმწყვდიოს.

„— մաշրագ մռմղնուց, առ համոզարդյ!“-ըստ Կիթլյան կերպության

ძირს დაყრილ ფოთლებს ვწვდები, ერთად ვაგროვებ და იქვე დადგმულ მოწნულ გოდორში ვყრი.

„— აბა რამდენია  $2+3$ ? — მეკითხება ბებო

თავში გასვლამდე ვასწრებთ მათემატიკის გაკვეთილს.

მეორე კვალში ქართული იწყება.

არ მახსოვს, რომ ოდეზმე ბებიას ზელი შემოერტყას ან თუნდაც ყური აეწიოს ჩეგნთვის. ძალიან რომ გავაძრაზებდით და მოთმინებიდან გამოვიყვანდით, ხმას აუწევდა და ცრემლნარევი ხმით, ისეთი ტონით გვეტყოდა: თქვე ურჯულოებოო, რომ უკვე გვრცხვენოდა საკუთარი დაუდივარი საქციელის.

„ურჯულო” მისთვის ყოველივე ცუდს, უწნეოს, მიუღებელს გამოხატავდა. ამაზე დიდი საყვედური რა უნდა ყოფილიყო, ვერ წარმოედგინა. ჩვენ კი მხოლოდ წლების შემდეგ მივხვდით, თუ რამდენ რამეს ატევდო იგი ამ ერთ სალანძლავ სიტყვაში...

ბეჭოს გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით აღრე სოფელში ვიყავი ჩასული. დედაჩემა ჩვეულებისამებრ გამომაცილა. გაჩერებამდე მოკლე გზით, ეზო-ეზო გადავედით. დედამ მოულოდნელად მძიმე ჩანთა ძირს დაიღო და შეჩრდა:

„ — ამხელა ქალი მოვიყარე, უკვე თავადა ვარ ბებია და ეგებ დიდ ბებიობასაც მომასწროს სულ მალე ღმერთმა. გული მწყდებოლა, დედაჩემს ერთხელაც არ უთქვამს ჩემთვის „შვილო“. პოდა, გუშინწინ საყველურნარები სულით ვუთხარი ამის შესახებ.

ბებია ერთხანს გაყუჩულა, გარინდებულა. მერე ჩაღიმებია და მისული სიმშვიდითა და სიცინჯით უთქვამს: რა იყო, მაღონა, შვილო?”

ეს იყო პირველი და უკანასკნელი ამგვარი მოფერება მისგან დედა-  
წიმისა. არაა მოღოვანეული და მომავალი დაუწოდავაც, დაუწინებლავ, დავაუწ-



წირულად შეალია ერთადერთი შვილისა და მისი შვილ-შვილიშვილების გაზრდას, აღზრდასა და პიროვნებად ჩამოყალიბებას.

ზოგჯერ ასე მგონია ათი ქალის ტეკირთი იტვირთა ბებომ. ბოლომდე დაიხარვა, ჩაიწვა და ჩაიფერფლა. არაფერი დაუტოვებია თავისთვის, არაფერი გადაუმალავს, კველა სიკეთე ზელგაშლილად დაგვიტოვა. წაიღო მხოლოდ გამოუცნობი სევდა, კდემა, ამოუხსნელი საიდუმლო ამა სოფლისა.

„მალე მოდი, მალე! ჭკუით იყავი, აბა შენ იცი ბებო!“ — კოველი წამოსვლისას უკან ამედევნებოდა ხოლმე მისი ტკბილი და რბილი ხმა. თუმცა არა, ტყუილს ვამბობ. „ბებო“ ხომ არასოდეს უთქვამს! ეს ჩენ — მე და ჩემი მმა ვეძახდით ასე მას. თავად კი არასოდეს წამოცდენია, „ბებო გენაცვალოს“, „ბებო შემოგველოს“. მაგრამ იმდენი ამაგი, სიყვარული და რუდუნება დაგვიტოვა, რომელსაც ალბათ ვერც ერთი თბილი სიტყვა ვერ დაიტევდა, ვერ აწონიდა; რომელიც მთელი დარჩენილი ცხოვრება გვეყოფა საგზლად, გაგვინათებს დახლართულ ბილიკებსა და გზა-შარას.

ბოლო დღეებში, როცა იგი ლოგინად ჩაწვა, ხშირად შევდიოდით მის სანახავად ოთახში. ვატყობით, უკვე სუნთქვა უჭირდა, ილეოდა და ინავლებოდა. ნაძალადევი ხალისით, გაღიმებული ვეკითხებოდით:

„— როგორ ხარ, ბებო?“

„— კარგად, უკეთესად!“ — იყო მოკლე, იმედიანი პასუხი. მეტი არაფერი, სულ არაფერი. არც წუწუნი, არც კენესა, არც ჩივილი, არც საყვედური, არაფერი!

„— ვაზია შესაწამლი, არ დაგავიწყდეს!“ — ეს მისი უკანასკნელი წინადაღება იყო. ბოლო საათებში ლაპარაკის უნარი წაერთვა. თვალებით გვეძებდა, გვეფერებოდა, გვეშვიდობებოდა და გვლოცავდა...

რიურაქზე, როცა სიბნელემ გაბაცება იწყო, მამლებმა ყივილს უმატეს, გრილმა სიომ კი მერცხლის ფრთებივით შემოჰკრა, ბებომ მაშინ დახუჭა სამუდამოდ თვალები, მაშინ წავიდა მაღლა ზეცაში მისი სული და თითქოს ველური სიკვდილი მოგვიშინაურა. შიში და სიმფრთხალე შეგვიმსუბუქა, ისე უდრტვინველად, უბრძოლველად და მშვიდად წაყვა მას...



ჩემს შვილებს ჩემგან გადაცემა და მოყოლა არ დასჭირდებათ, მათაც უხვად ერგოთ მისი სითბო და სანთელ-საკმეველი. ბევრი დარჩათ სამახსოვრო და მოსაგონარი. მერე კი ალბათ ჩემი და ჩემი მმის გოგო-ბიჭები თავის შვილებს მოუკვებიან როგორი იყო მათი დიდი ბებო. ისინი კიდევ თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს ჩვენზე მოუკვებიან, გაგვიხსნებენ და არასოდეს მოკვდება, არასოდეს ჩაქრება, არასოდეს დამთავრდება ჩემი ბებო!

...მოგვდევს, კვალდაკვალ მოგვკვება ბებიას შორეული და ახლობელი — აქვე, ყურის ძირში მოფაჩუნე ხმა. მოგვდეს და დავიწყების უფლებას არ გვაძლევს:

„ — ბაეშვებო, ხომ იცით, დღეს ბიძინასთან უნდა გადახვიდეთ. ერთმა კალათა წაიღეთ, მეორებ ღვინით სავსე ღოქი. არ დაგავიწყდეთ, კალათის ფსკერზე ცხვირსახოცში გამოკრული ფული დევს. უნდა შევეწიოთ, აბა რა უნდა ვქნათ?! კაცი აშენებს, ხომ არ ანგრევს!“ — დაგვმობდევრა ბებომ და თავად კი ერთი შორეული ნათესავის ახალშობილი ბავშვისთვის შეძენილი საჩუქრები და რკინის ფული ფაქიზად ჩაალაგა კომოდის უჯრაში. მერე ისევ სამხარეულოში შებრუნდა და მეზობელ ქუჩაში მიცვალებულის ჭირისუფლისთვის გადასატანი სადილის მზადებას შეუდგა.

მივდივართ და მიგვკვება მე და ჩემს მმას, გვინათებს და არ ქრება, არ იბჟუტება, პირიქით, უფრო და უფრო ეკიდება ცეცხლი, უფრო და უფრო ძლიერდება ალი. თუმც შფოთვა მაინც მღრღნის და მაკრთობს, ვაი თუ...

„ — დედიკო, დედა, ნახე რა კარგი საჩუქარი შევარჩიეთ საბასთვის. ხომ ჩაგვიყვან ამ საღამოს, ხომ გვანახებ გვანცას პატარა ძამიკოს?“ — შემომეფეთნენ ჩემი კუდრაჭა გოგონები და თვალწინუბრალო, სადა, მაგრამ საგულდაგულოდ შერჩეული სამახსოვრო ნივთი ამიფრიალეს.

„ — დღეს ვერა დე, ხვალ ხომ ექსკურსიაზე მივდივართ დილით ადრე ვართ ასადგომი. იყალთო და გრემი უნდა ვნახოთ.“

„ — აუ, რა კარგია... გახსოვს დე, დიდი ბებო იყალთოს აკადემიაზე რომ გვიკითხავდა, ერთ-ერთი უძველესი ცოდნის ტაძარი იყოორო....

— და კიდევ იცი მე რა მახსოვს? — ახლა უმცროსი ჩაერთო საუ-



ბარში — ბებო რომ გვიყვებოდა, იყალთოს ძველი ნანგრევების ახლოს, ჩემს ახალგაზრდობაში ბაგა-ბაღი ააშენესო, სადაც ტექნიკუმის დასრულების შემდეგ გამანაწილეს და პირველი პრაქტიკები გავიარეო. ვაზისა და ვენახის უზომი სიყვარული, პატივისცემა და მოვლაც ამ კუთხის ხალხმა მასწავლაო...

— დე, დე, დე, მოწნული ჩალის ქუდების ჩალაგება არ დაგავიწყდეს, მასწავლებელმა გვითხრა, ახლა ვენახის გასხვლის პერიოდია და ზვარში გლეხებს ერთი-ორი საათით უნდა მივებმაროთ წალმის „შეგროვებაში“ — ისევ უფროსი გოგონა ჩაერთო საუბარში და მერე ორივენი სიცილ-კისკისით გაცვიდნენ ქუდების მოსაძებნად.

...გამახსენდა, ბებოც გვაგროვებიებდა გასხლულ წალაშს, კონებად კრავდა და გადახურულში ალაგებდა გამოსაშრობად. მერე კი ბუხარში ცეცხლის შესაკეთებლად იყენებდა...

ჩემს კუდრაჭებსაც როგორ ხსომებიათ ყველაფერი, კაკალ-კაკალ, წერტილ-წერტილ, მე კი მეშინოდა!

საოცარი სილალე და სიმსუბუქე ვიგრძენი.

მიხარია.

ძალიან მიხარია!

მძიმე — დარდითა და ეჭვით სავსე მხრებზე წამოკიდებული გოდორი ერთ წუთში სადღაც გაქრა.

აღარ მაკრობს შიში, რომ ნიავის შემობერვაზე სანთელი შეიძლება ჩაქრეს. ამ ცეცხლს ალბათ აწი ქარიშხალიც ვეღარ მოერევა!

\* \* \* \* \*

როცა ბებოს ცხედარი უკანასკნელ გზაზე გამგზავრების წინ რამდენიმე წუთით ეზოში დავასვენეთ, ჩემმა მმამ ვაზს გალერწილ-გაფურჩნული, აყვავებული რქა შეატეხა. ბებოს სანთელივით გაყვითლებულ, დაღლილ ხელებს ეამბორა და მოწიწებით დააღო გულზე ცრემლება-კიაფებული რტო.

ბებოს პატივის მისაგებად მოსულთ — ახლობელსა თუ შორებელს, დიდსა თუ პატარას ღვარად სდიოდა ცრემლი...

## ცეტი იმარტინვილი

დავიბადე 1983 წლის 18 მარტს. დავამთავრე ქალაქ თბილისის 50-ე საჯარო სკოლა, ვლანის გვლობის საქროველოს ტექნიკურ უნივერსიტეტიში ინგლისური ენის რეფერირებას, ხოლო შემდგომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების აღმინისტრირებას. სტუდენტობის პერიოდში ვმუშაობდა ორენოვნი (ქართულ-ინგლისური) საინჟინრობაციო კატალოგ „ბრავოს“ კორესპონდენტად. ბოლო წლებში პედაგოგიურ საქმიანობას-თან და მწერლობასთან ერთად ვეწევი უურნალისტურ საქმიანობასაც. ვარ ორი წიგნის „დემოკრატიული საგიუროს“ და „სისხლში მოცეკვავის“ აფტორი. ამჟამად ვმუშაობ მესამე წიგნზე.

## სინერგია დედამიწაზე

ადრეული გაზაფხულის დილაა. დამბიმებულ ქუთუთოებს ძლივს ვახელ და აწერიალებულ მობილურ ტელეფონს ჩართულ მაღიდარას ვუთიშავ. თავს ძალას ვატან და ჯერ კიდევ ძილში მყოფ სხეულს გამოფხიზლებას ვაიძულებ. როგორ მინდა, ცოტა ხანს კიდევ შევიქციო ძილი, მაგრამ ვიცი, დოინჯშემორტყმული დედაჩემი წუთი-წუთზე კარზე მომიკაკუნებს და სკოლაში გაგვიანდებას ძახილით იქამდე არ მომასვენებს, სანამ საწოლიდან წამომდგარს არ დამინახავს. თვალებს ვითშვნეტ, ტანსაცმელს სწრაფად ვიცავს და ხელ-პირის დასაბანად აბაზანისკენ მივემურები. შემთხვევით მამაჩემს ვეჩეხები. ხელში ვაზის სასხლავი მაკრატელი უჭირავს და მათვალიერებს. ამ შეერას კარგად ვცნობ. ვხვდები, რაღაცის თქმას აპირებს და სათანადო სიტყვებს თავს უყრის.

— ერთ-ერთი ღვინის კომპანიის ახლომდებარე ვენახში რამდენ-იმედლიანი სამუშაოა. მარტო მე ვერაფერს გავხდები, შენი დახმარება დამჭირდება, — როგორც იქნა, აბაზანიდან გამოსულს სათქმელს გზაში მაწევს.



— წამოგყვები. მუშაობას როდიდან იწყებ? — ხათრს ვერ ვუტეხ, ბოლო დროს ჯანმრთელობის პრობლემებმა შეაწუხეს და ჩემი მხრიდან ურიგო საქციელი იქნება, უარით გავისტუმრო.

— ამ დილიდან. როცა სკოლიდან დაბრუნდები, მანქანით მოგაკითხავ და წაგიყვან,— მეუბნება და სიტყვაძუნწივით ზურგს მაქცევს, ვენახისკენ მიიჩქარის.

\*\*\*

დედაჩემი ჩვენი სოფლის, იყალთოს ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგად მუშაობს. სწავლის დღებში თითქმის სულ ერთად გვიწევს სახლის დატოვება.

დღესაც ასე ხდება, ჭიშკარს ვკეტავთ და შარა გზას მივუყვებით. შემცენებითი სახის გაკვეთილი დაუგეგმავს და საჭირო მასალებით დახუნძლულები მისი სამსახურისკენ მივემართებით. ვიცი, აღსაზრდელებს ძალიან უყვართ. რასაც ეს პროფესია მოითხოვს, ყველა უნარი და თვისება აქვს. ნამდვილი მასწავლებელია და ადვილად იპყრობს ბავშვების გულებს. პატარა რომ ვიყავი, რამდენიმეზე ეგოისტურადაც მიეჭვიანია. ვერ ვიტანდი მის სიყვარულში რომ მეცილებოდნენ.

სანამ სკოლის გზისკენ გადავუხვევ, ბაგა-ბაღის შენობასთან ჩერდება, საგანგებოდ შეფუთულ ნივთებს მართმევს, წარბის აწევით მიყურებს, ჭკუით იყავი, არ შემარცხვინო — მაფრთხილებს და მშორდება.

\*\*\*

პირველი გაკვეთილი ბიოლოგით იწყება. რუსუდან მასწავლებელი კლასის ჟურნალით ხელში ზუსტად ცხრა საათზე შემოდის, არასოდეს აგვიანებს. თვრამეტკაციან შემაღლენლობას თვალს გვავლებს და გვესალმება. ცხვირზე სათვალე დაუკონსებია, შუბლზე ჩამოფხატულ, გახუნებულ ბერეტს ისწორებს და მისთვის გამწესებულ ადგილს იკავებს. გაკვეთილს სიის ამოკითხვით იწყებს. დასრულებისთანავე კალამს გვერდზე დებს და ხელებს ერთმანეთზე აჭდობს:

— ვიდრე ახალი მასალის ახსნაზე გადავალ, პირველ რიგში მეტად მნიშვნელოვან საკითხს უნდა შევეხო.



ყველა ერთბაშად შევცემით, ზოგიერთი პედაგოგისგან განსხვავებით, ისეთი საინტერესო საუბარი იცის, ხანდახან ორმოცდაზუთი წუთის გასვლას ვერც კი ვამჩნევთ. ფურცელზე ამობეჭდილ ტექსტს დაპყურებს და აგრძელებს:

— კლიმატის ცვლილების, გლობალურ დათბობასა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ არაერთხელ გვისაუბრია. მიმდინარე სემესტრში რამდენიმე საათიც დავუთმეთ, ამიტომ ხელმეორედ მასზე საუბრისგან თავს აღარ შეგაწყვნოთ და პირდაპირ საქმეზე გადავალ. დაგყოფთ სამკაციან ჯგუფებად. თითოეულს დაგევალებათ ამ პრობლემის შეჩერებასთან დაკავშირებული თქვენეული ვერსიების ჩამოყალიბება და განვრცობა. გაითვალისწინეთ, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს ჩვენი მხარის გარემოს დაცვაზე. მოგეცემათ სამი კვირის ვადა. მოიფიქრეთ ორიგინალური იდეები, ჩამოაყალიბეთ წერილობითი სახით, ამასთანავე, PowerPoint-ის პროგრამაში დაამუშავეთ და პრეზენტაციების სახით წარმოადგინეთ. ეს ჩაგრევულებათ სკოლის მასალით გათვალისწინებულ დაგვალებად და ამავდროულად საუკეთესო ნაშრომი გადაეგზავნება მსგავსი საკითხებით დაინტერესებულ ერთ-ერთ დაწესებულებას, რომელიც მოწადინებულია, კონკურსის ფარგლებში ორიგინალურად მოაზროვნე ახალგაზრდები აღმოაჩინოს, დააჯილდოვოს და შეძლებისდაგვარად მათ იდეებს ფრთხის შეასხას. აუცილებელი პირობაა, კარგად გქონდეთ გაცნობიერებული აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით თანამედროვე სამყაროს საფრთხეები და მზად იყოთ, თუნდაც პატარა პროექტის შექმნით, წვლილი შეიტანოთ დედამიწის მოვლა-პატრონობაში.

— კონკურსს რა ჰქონია? — კითხულობს თანაკლასელი გოგონა და სახელწოდების ჩასაწერად კალამს იმარჯვებს.

— „დაიცავი გარემო“, — მასწავლებელი ადგილიდან დგება, დაფასთან მიდის და მეტი გამჭვირვალობისთვის ცარცით წერს როგორც კონკურსის სახელწოდებას, ასევე ორგანიზატორი დაწესებულების სახელს და ვებგვერდის მისამართს.

— ჯილდო რა იქნება? — ცნობისმოყვარეობა მძალავს, თავს ვერაფრით ვიკავებ.

— გამარჯვებული პროექტის მონაწილენი ფულადი სახის პრემიით



დაჯილდოვდებიან, — უმაღ მპასუხობს და სხვის მიერ დასასმელი შეკითხვის მოსასმენად ემზადება.

საკუთარ ფიქრებთან მარტო ვრჩები. მიყვარს, როდესაც ჩემში შემოქმედებით უნარები იღვიძებენ. აზრებს ვუხმობ, ჯერ არაფერი მაფიქრდება, თუმცა ვიცი, პროექტის გარშემო ტრიალი მთელი დღე გამტანჯავს.

მასწავლებელი კლასის ჯგუფებად დაყოფას იწყებს. ჩემი ჯგუფის ლიდერად რატომდაც მე მასახელებს. ახლა კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

— შენს იმდად ვართ, იდეების გენერატორო, — ჩურჩულებენ უკან მჯდომი თანაგუნდელები ირაკლი და ელენე. ცდილობენ, შეუმჩნევლად იმოქმედონ. არ სურთ მასწავლებლის ყურადღება და მრისხანე მშერა დაიმსახურონ .

— ჰო, თქვენ იზარმაცეთ და სანდრო მარტოც გაიტანს ლელოს,

— კისერს მათკენ ვაბრუნებ და მკვირცხლად ვპასუხობ.

არაფერს ამბობენ, ჩუმად ეცინებათ საყვედურნარევ ხუმრობაზე.

\*\*\*

გავევთილების შემდეგ დაპირებისამებრ, სახლში მისულს მამაჩემი მაკითხავს. ვენახში სამუშაოდ მოშადებული სათანადოდ ვიმოსები და ღვინის კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში მივდივართ. გზაში დადუმებული ვარ, უფრო სწორად, ვცდილობ, ხაკლები ვილაპარაკო. ფიქრები კვლავ რუსუდან მასწავლებლის მოცემული დავალებისკენ გარდიან. აზრების გროვიდან ვენახთან მისვლას გამოვყავარ.

— სასწაული ვენახაია. აი, აქ ექვსამდე ევროპული ჯიშის ვაზი ხარობს: კაბერნე, პინო, მუსკატი, შარდონე, სოვინიონი და მერლო. უშუალოდ ქართული ჯიშის ვაზები იქით აქვთ გაშენებული და საკმაოდ დიდი ჰექტრები უკავიათ, — ხელით მაჩვენებს ჩემგან მარცხნივ მდებარე ვენახს და მანქანიდან გადადის.

სასხლავ მაკრატელს ხელში ვიღებ და მამას უკან მივყვები. მიუხედავად იმისა, რომ მზე აჭერს, მარტის დასაწყისს მაინც გადმოჰყოლია ზამთრის სუსხი. სიცივე ძვალსა და რბილში ატანს, მაგრამ არაფერს ვიმჩნევ, მუშაობაში გადამავიწყდება კიდეც. ამ საქმის დასრულება



შეუა რიცხვებამდე თუ არ მოესწრო, ვაზში წევნის მოძრაობა დაიწყება. გამოღვიძებული მცენარისთვის კი ხელის მოკიდება არც თუ ისე სასურველია. მამამ გასხვლა წინა წელს მასწავლა, წესით არ უნდა გამიჭირდეს. მთავარია, მსხმოიარობის გასაზრდელად მნიშვნელოვანი გარემოები გავითვალისწინო — თვალით განვსაზღვრო ვაზის სიმძლავრე და წინა გასხვლით რამდენად იყო დაცული თანასწორობა მოსავლიანობასა და ზრდას შორის. საკმაოდ იოლია, თუ კარგად დავაკვირდები სანაყოფე რქაზე არსებული რქების სიმძლავრეს. წინასწარ ვიცი, მუშაობის ღროს ზედამხედველობას მაინც გამიწევს და გარკვეულ მითითებებსაც მომცემს. უხარია, როდესაც მევენახეობის მიმართ ინტერესს ვიჩენ.

— ოპოპოპ, შეხედე რამდენი წალამია, — დილანდელი ნამუშევრით მიღებულ და შეგროვებულ ნარჩენებზე მიმანიშნებს.

— კარგი წვა აქვს, არა? — ვეკითხები.

— აბა, რა. იდეალური საშუალებაა მაყალზე ცეცხლის გასაჩადებლად. მალე იწვება და ერთხაირ ტემპერატურას ინარჩუნებს წვის ღროს.

კვლავ ჩემს ფაქტებში მივდივარ. ნეტავ, რამდენად წაადგება ვაზის-გან მიღებული და გადამუშავებული ბიომასა აქაურ მაცხოვრებლებს ზამთარში გასათბობად? — საკუთარ თავს ვეკითხები და მახსენდება შეშის ღუმელები, რომლებსაც ყოველწლიურად ხე-ტყეების გაჩანაგების ხარჯზე ვარგარი გაუდით. თან, მუხლისა ხრილი ვშრომობ. აზრები საქმეს ენაცვლებან, საქმეს კი — აზრები.

\*\*\*

საკმაოდ დამღლელი დღის ბოლოს ვვახშმობთ და ვცდილობ, ფოკუსირება სკოლაში მოცემულ დავალებებზე მოგახდინო. პირველად ინტერნეტში შევდივარ და წალმის ეფექტიანობას ვეცნობი. მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, ვრწმუნდები, რომ მშვენიერი მასალაა ბიოსაწვავის მისაღებად. თუკი საწარმო შეიქმნება და კახეთის სოფლების ვენახებიდან შეგროვებული წალმის საწვავად გადაქცევა დაიწყება, მაშინ რეგიონში არსებულ სკოლებში, ბაგა-ბაღებსა და სხვა მუნიციპალურ დაწესებულებებში შესაძლოა ენერგოეფექტური ღონისძიებები განხორციელდეს, რომლებიც შემდგომში თავიდან აგვარიდებენ ვაზის



მოხმარებას, ტყის განადგურებასა და შეშის არაეკონომიურ ხარჯებას. რამდენ ბუნებრივ კატასტროფას ავცდებით მეწყერების, ზვავებისა და მდინარეების ეროვნის სახით, რომ არაფერი ვთქვათ უანგბადის წარმოქმნის ხელშეწყობაზე, ტყის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და სიცოცხლისუნარიანობაზე.

კონკრეტულ თემას მივაგენი და თავსატეხი ამოვხსენი. მოძიებულ ინფორმაციას პროექტის გეგმის ფორმირებას ვაძლევ და თანაგუნდელების, ელექტრის და ირაკლის ძლიერ მხარეებზე ვიწყებ მსჯელობას. უკვე განვსაზღვრე, ელექტრის პროექტის წერილობით მხარეს მივანდობ და პრეზენტაციისთვის მოკლე და მომზუსხველ ტექსტსაც შევადგენინებ — წერა უდავოდ კარგად გამოსდის, ხოლო ინფორმატიკით ზედმეტად გატაცებულ ირაკლის **PowerPoint**-ის პროგრამაში გვერდების აწყობას და გაფორმებას ვთხოვ. ხვალ ორივეს ყველაფრის საქმის კურსში ჩავაყენებ, დაწვრილებით ვისაუბრებთ და მოვალეობებსაც გავინაწილებთ.

ბიოლოგიის დავალებიდან დანარჩენ საგნებზე გადავდივარ და დაახლოებით ღამის პირველი საათისთვის ყველაფერს ვასრულებ. ისე ვარ გათანგული, საწოლამდე მისვლაც მეზარება. ძილი მერევა და საბოლოოდ სამეცადინო მაგიდასთან მამარცხებს.

\*\*\*

სამი კვირის თავზე ელექტრისთან და ირაკლისთან ერთად შექმნილი პროექტის პრეზენტაცია წარმატებით სრულდება. ჩემი გუნდის ნამუშევარი უპირობო გამარჯვებულია. რუსუდან მასწავლებელი უმაღლეს შეფასებას გვიწერს და გვპირდება, აუცილებლად გააგზავნის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. თავადაც ჩვენსავით თვლის, რომ მსგავსი სახის იდეა არა მხოლოდ გარემოს, არამედ სახელმწიფოს ბიუჯეტსაც მნიშვნელოვან შეღავათს მისცემს, ამიტომ მრავალმხრივ სარგებლიან პროექტს უწოდებს. რა თქმა უნდა, მისი ეპითეტები სიამოვნებას გვგვრის და გამარჯვების იმედს გვისახავს. ახლა ყველაფერი კომპეტენტური უიურის გადასაწყვეტია. ისლა დაგვრჩნია, მოთმინებით დაველოდოთ შედეგებს.



\*\*\*

მაღლე სკოლაში სასიხარულო ამბავი მოდის, ჩვენი პროექტი გამარჯვებულია. უნდა ვაღიარო, ჩინებული გრძნობაა, როდესაც ვიღაც შრომას გიფასებს და შედეგიც არ აყოვნებს. რუსუდან მასწავლებელთან ერთად სკოლის დირექტორიც აღფრთოვნებულია და მიღწეულ წარმატებას გაბრწყინებული სახით პირადად გვიღოცავს. პატარა კონტიგენტში ახალი ამბავი ელვის სისწრაფით ვრცელდება — ერთი სიტყვით, დღის თემად გვაქციეს.

\*\*\*

რამდენიმე თვის შემდეგ კონკურს „დაიცავი გარემოს“ სულის ჩამდგმელები იყალთოს ბაგა-ბალის შენობის ეზოში საზეიმოდ გვაჯილდოვებენ. აქვე თავი მოუყრიათ თელავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს და ადგილობრივი ტელევიზიების ჟურნალისტებს. ჩვენი იდეის განხორციელება თავდაპირუელად სწორედ ამ დაწესებულებიდან აიღებს სათავეს. დამსახურებული ჯილდოს საზეიმო ვითარებაში გადმოცემის მერე პირველადი სამუშაოების დათვალიერება იგეგმება. ჟურნალისტები სამივე ჩვენგანს რიგრიგობით გვაკითხავნ და კითხვებს გვისგამენ. კამერების წინ თამამად ვდგავართ და მთელი გულმოლგინებით ვპასუხობთ. ირგვლივ მიმობნეულ ბაგა-ბალის თანამშრომლებში დედაჩემს ვლანდავ. თვალებში ცრემლი ჩასდგომია და სუსტად მიღიმის. ვატყობ, გული სიამაყის გრძნობით აქვს სავსე.

სასწაული რამ არის სინერგია. ყველაფერი რომ ასეთი ერთსულოვნებით და ჯაჭვური რეაქციით მიღიოდეს სამყაროში, ეგებ ერთმანეთის საქმით კმაყოფილ ადამიანებს მეტჯერ შეეგრძნოთ კეთილი საქმის მადლი და ხშირადაც გაეღიმათ.



## თემურ ტაბატაძე

იულიუს ფუჩქემა ასეთი რამ თქვა: „თუ შენ გინდა ახვილე მაღლა, ადი საკუთარი ფქხით, ნუ მოინდომებ აგიტანონ იქ და ნურც დაჭდები სხვის ზურგსა და თავზე“. მხატვრულ ლიტერატურაში კი სხვა ზნეობრივი ფასეულობებია. „სხვის ზურგსა და თავზე“ წამოსკუპება ჩვეულებრივი ნორმაა ისე, როგორც გამარჯვების მოპარვა „ქვანტის დაღებით“, სამწუხაროდ მას არ აქვთ მკვეთრად გამოხატული ქცევის წესები, მისი მოქმედების არეალი

„დაუწერელი კანონებით“ განისაზღვრება („დაუწერელ კანონში“) რაღაც სამართლებრივი აქტების ერთობლიობა არ იგულისხმება, არამედ ამ ცნების ჰქონილი არსი, დაფუძნებული სისასტიკესა და ძალადობაზე), რომელსაც ფლსვები შორეულში აქვს გადამული. იგი მუდმივ განახლებას განიცდის სივრცესა და დროში, რაც მისი განვითარების წინაპირობაა. ყაველი

გარევული ეტაპის გავლის შემდეგ, „თამაშის წესების“ დახვეწის ხარჯზე, ლიტერატურა უფრო მოქნილი და ფსუვდოცივილიზებული ხდება. ეს იმას ნიშანს, რომ თანამედროვე „მხატვრული სიტყვა“, „გაკეთილშობილებული“ ავანტურაა. ეს გახლავთ აღამიანის საქმიანობის ერთადერთ სფერო, სადაც სიკეთეს ვერასდროს მომქით, რაღაც ყველაზე კარგ შემთხვევაში, მაქებარ-

იც და მაგინებულიც თანაბრად გეყოლებათ, შიუხედავად იმისა, რომ მაგინებელთა უმრავლესობა შეიძლება თვალითაც არასდროს გყვდეთ ნანახი.

ლიტერატურა დიდი „ნაგადსაყრელია“, რაც მეტად გაქვექთ, მით მეტად აქოთდება. აქ ყველაფერს იპოვით, თვით „ხალას ოქროსაც“ ქი. მთავარია დროულად შენიშვნოთ იგი. თუ შენიშვნავთ კარგია, მაშინ არჩევანი „ნეხესა და ოქროს“ შორის მოგიწევთ, ეს კი ბევრ უსიამოვნებას აგაცილებთ…“

## ვაზის ფალამობა

მანქანა იყალთოს მონასტრის ავტოსადგომზე გავაჩერე:

— ესეც, ჩვენი აკადემია! — ვუთხარი მეგობრებს.

ცამეტი ასურელი მამის საფლავის მოლოცვა გასულ წელს გადავწყვიტეთ. კახეთი დაგვრჩა მხოლოდ — ხირსა, ალავერდი, იყალოთ ...

ჯერ ზამთარმა, შემდეგ კი „კოვიდმა“ შეგვიშალა ხელი. როგორც კი საგანგებო მდგომარეობა გაუქმდა, საჩეხში ნამწყვდევი ხარებით



ავიწყვიტეთ ... ასაკში კი ვართ, მაგრამ ჯერ ისევ მხნედ ვგრძნობთ თავს. ცეზარმა სამოცდათს მიუკავუნა, მე სამოცს გადავცდი, ხოლო სანდორ ამ მიჯნას მალე გადმოსცდება.

აქ, ჩვენი პირველი ჩამოსვლაა. ლამაზია კახეთი, შეუდარებელი ... მონასტრის კარებზე გაკრულ აბრაზე შევაჩერე ყურადღება, ცეზარმა იმერულად წამკინა: „მაგის საკითხავად გამოიარე ამხელა გზაო“? ...

ღიმილდაფენილებმა შევაბიჯეთ ტაძარში, მოვილოცეთ ... ვჩქარობთ. თბილისში ღლისსულს გვინდა ჩაღწევა. ხირსაში ღავყოვნდით, ჩვენი სირცევილი, ძლივს გავიკელიეთ გზა.

ავტოსადგომზე გავედი, ჩემი ყურადღება ორმა მოხუცმა მიიპყრო.

— ეგ, კარგი საქმეა, ჭევიანი ყოფილა მაგის მამგონი! — თქვა იმან, რომელიც უფრო ასაკოვნად გამოიყურებოდა.

— შვილიშვილებისთვის სამწვადის გატენევა არ დაგავიწყდეს — უთხრა მეორექ — გაზით გაეთბოოთ არ აჯობებდა? მოსცლიათ მაგათ, რა ეკოლოგია აუტყდათ ნეტავ?

დავინტერესდი ... პირი დავალე! წალამი და საბავშვო ბალის გათბობა აქამდე არ მსმენდა.

— ეგ წალამი ფუჭად იყრებოდა, კაცო! — მითხრა მოხუცმა და საქმის ვითარება ისეთი ენთუზიაზმით ამიხსნა, მისი ნახვის სურვილი გამიჩნდა, მიმართულება ვკითხე.

გასულ წელს საერთაშორისო ორგანიზაციის „ენერგოფექტურობის ცენტრის“ მიერ ორგანიზებულ ლიტ.კონკურსში „ლილე-2018“-ში მივიღე მონაწილეობა, სწორედ მათ განეხორციელებინათ ეს პროექტი. მათ მიმართ გარკვეული სიმპათია მამოძრავებდა და ამიტომ ჩემი ვიზიტი იყალთოს ბაგა-ბალში ინტერესთან ერთად, ერთგვარი კეთილი ნების გამოხატულებაც იქნებოდა ...

— იყალთოს ბაგა-ბალი უნდა ვნახოთ-მეთქი! — ვუთხარი მანქანაში მოკალათებულ მეზობლებს და ღავიძარით.

დაცინვა შშვიდად გადავიტანე ... ადგილზე მისულთ, ჭიშკართან ყარაული დაგვხვდა. ვთხოვე ჩემი მეზობლებისთვის ლერწის შესახებ მოეთხრო.

— რა ლერწიო? — გაიკვირვა.

მე, იმერული კილო-კავი სწრაფად შევასწორე:

— წალმის შესახებ გვიამბეთ-მეთქი! —



გაედიმა და ბაღის გათბობის ტექნოლოგიაზე დაწვრილებით გვესაუბრა ... ხელიდან ძლივს დავუსხლტდით.

სანდოს მთელი გზა პირი არ მოუკუმავს, აქო და ადიდა ამ პროექტის განმხორციელებელი. წალმის ამგროვებელ ტრაქტორზე ხომ მთლად გადაირია. კომუნისტების დროს ჩაის საკრეფი მანქანა გამოიგონეს და ისიც ფესვებიანად პარსავდა ბუჩქებსო.

საუბარი ენერგოეფეტურობაზეც ჩამოვარდა. ერთმანეთს დავუდასტურეთ, რომ „კორონა ვირუსის“ პანდემიის პირობებში, ეს თემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა ... ვენეციის არხებში თევზების გამოჩენისა და ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლის გაუმჯობესების თაობაზე, ჩვენც გვსმენოდა.

ცეზარმა ასეთი იდეაც წამოაყენა: ვაზის გავრცელების არეალში, მეღვინეობის საწარმოების ტერიტორიაზე, შექმნილიყო მუზეუმები, სადაც წალმის ალტერნატული გამოყენებაც იქნებოდა ასახული და თელავის მუნიციპალიტეტის მაგალითზე მოხდებოდა ამ იდეას ერთგვარი აფიშირება-აგიტაცია. ამასთან, არ იყო გამორიცხული, მისთვის ახალი გამოყენებაც მოვალიქრებინათ, ვთქვათ, გრაფიკული ნახატების შექმნისთვის, წალმისაგან კალმის გამოთლა ... უძველეს დროში ასეთი კალმისტრებით შედევრები იწერებოდა.

მაგრამ აქ გაგვიჩნდა ერთი შეკითხვა: რამდენად დააბინძურებდა წალმი ჰაერს და ის გაზხე უფრო ეფექტური იქნებოდა თუ არა? გარდა იმისა, რომ თვითლირებულებაში ასახული, წალმისათვის სასაქონლო სახის მიცემა, გაცილებით იაფი დაჯდებოდა, თუმცა გამოსავალი მაინც მოიქმნა.

რაღაც დოზით, ჰაერს გაზის საწვავიც აბინძურებდა და მართალია ზუსტი მონაცემები ჩვენ არ გვქონდა, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ წალმი გარემოში ნაკლებ ნახშირორეანგს გააფრქვევდა, თუმცა გვესმოდა, რომ საწვავის ეს ალტერნატივა, მომავლის ტექნოლოგიას არ წარმოადგენდა, მაგრამ კახეთისთვის ეკოლოგიური თვალსაზრისით, მართლაც დადგით როლს ითამაშებდა.

გადავწევიტეთ სახლში დაბრუნებულებს, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა მოგვეძია და ჩვენი ვარაუდები თუ დასკვნები საფუძვლიანად გადაგვემოწმებინა. თანაც ერთმა საინტერესო იდეაშ გონება ამიფორიაქა. ამ პროცესისათვის „ვაზის წალამობა“ მეწოდებინა ...

## მანანა კაპაჩია

ვარ მათემატიკის წამყანი მასწვლებელი. ძალიან მიყარს ლიტერატურა. ვწერ ბაგშობიდან. კალაბი მომისინჯაეს თითქმის ყველა უანრში. მიყარს ახალგაზრდობა, საინტერესო სიახლეები. ვცდილობ არ ჩამიგრჩე დროის გამოწვევებს!

## კახეთის სიმპარული

სხვადასხვა მიზეზთა გამო დროებით საცხოვრებლად კახეთში მოწია გადასვლამ. რატომ კახეთში? როცა წასვლაზე ფიქრი დავიწყე, ჩემი სტუდენტობის მეგობარი, მზიკო გამასხენდა. მზია თელავიდან იყო. რამდენჯერმე, როველობის დროს ვიყავი მის ოჯახში. სოფელში ჰქონდათ ზვრები. რამდენს ვხალისობდით კურსელები. ყურძნი ხომ მიყვარდა და მიყვარდა, როველის შემდეგ მწვადების შეწვა და ტრადიციული ქეიფიც ძლიერ მხიბლავდა. კახურ თათარას ჩვენებური ფელამუში მერჩიგნა, მაგრამ კახურ ჩურჩხელაზე დღემდე ჭკუა მეკატება. მზიას დედ-მამას განსაკუთრებით ვაფასებდი და მათაც, როგორც იტყვიან, თვალში რომ ჩავვარდნოდით, ხელს არ ამოისვამდნენ. მზიაც არაერთხელ მსტუმრებია სამეცნიეროში.

გადავწევიტე, მზიასთან წავსულიყავი. ის თელავშივე გათხოვდა და ორი წელია რესურსცენტრის ხელმძღვანელია. იქნებ სამსახურიც კი გამიჩალიხოს სადმე. ბევრი აღარ მიიფიქრია, იმავე საღამოს შევეხმიანე. მოკითხვა-მოსიყვარულების შემდეგ ჩემი სატკივარი გავუმხილე.

— რაკი გადაგიწყვეტია ასე, ჩამოდა. რაღაცას მოვიფიქრებ. აუცილებლად მოვიფიქრებ — კახური პირდაპირობით მითხრა მან.

სამიოდე დღეში თელავში ვიყავი.

— მომწონს ასეთი ოპერატიულობა — ამ სიტყვებით ჩამიკრა გულში მზიამ და ლილესკენ დაიხარა.

— გამარჯობა, მზე გოგო. რომ გაკოცო, არ დამწვავ? — გაუცინა



პატარას და ცეცხლისფერ კულულებზე ეამბორა.

ლილე გარცებული შეპყურებდა შავტუხა მზიას.

— რა თეორი გოგოა, ან რა უღალი თმები აქვს, გგავს, მაგრამ გჯობია — ეფერებოლა მზიკო.

ერთი კვირა, მართლა, ხელისგულზე გვატარა მზიაშ. ზედმეტად შეკითხვებითაც არ შევუწუხებივარ. გვიან საღამოს, როცა ვახშამს მოვრჩით, ქმარ-შვილი დასაძინებლად გაისტუმრა და ყურადღებით მომაჩრდა.

— რა იყო მზიკო? სასიკეთო ხდება რამე?

— ლალი, სოფელში წახვალ სამუშაოდ?

— რა თქმა უნდა ძვირფასო. ასარჩევად არც მაქვს საქმე. აბა სად?

— იყალთოში. შორს არაა. თავიდან შეგიძლია აქედანაც კი იარო.

იქაურ ბაღში აღმზრდელად. ბავშვსაც იქ მოვაწყობთ. მართალია, უკეთეს ადგილი გეკუთვნის, მაგრამ... ისე, ინგლისურს მოწვეული მასწავლებელი ასწავლის და მოსწავლეთა აყვანასაც შეძლებ.

— მადლობა მზიკო, დიდი მადლობა. მართლაც ნამდვილი მეგობარი ხარ. ცოტა ხანი და მერე მოგვარდება რამე.

ორ დღეში გადავბარგდით იყალთოში. მიუხედავად მზიას თხოვნისა, ვირჩიე, იქით გადავსულიყავით.

მალიან კარგი კოლექტივი დაგვხვდა. ბავშვები თბილად შეხვდნენ ლილესაც. პირველ დღეს ისეთი ცნობისმყვარეობით ათვალიერებდნენ... ფითქინა, წითურთმიანი ლილე იმ შავტუხა კახელებში ისე ჩანდა, როგორც ბრილიანტი გიშერში.

გვიანი შემოღომა იყო. როველიც ჩამთავრებული და თათარ-ჩურჩელობაც. საქმაოდ ციოლა. სახლში გაზის გამათბობელი გეგმონდა, ხოლო ბაღში, ჩემდა გასაოცრად, წალმით ვთბებოდით. დიახ, დიახ წალმით. თურმე წალამი, რომელიც ჩემი აზრით, მხოლოდ მწვადის შესაწვავად გამოიყენებოდა, შესანიშნავი გასათბობი საშუალება ყოფილა. ვიღაცას აზრად მოსელია ორი კურდღლის ერთად დაჭერა, მევენახისთვის ზედმეტი ბარგის მოშორება და გასათბობად მისი გამოყენება. რა კარგია, როცა ჭკვიანური აზრი მოუვა კაცს თავში და კარგი ხელშეწყვილიც გამოუჩნდება მას. რომ დავბრუნდები, სამეგრელოშიც ხომ არ დავნერგო ეს სიახლე? თუმცა საიდან? ჩვენ რომ



მთელს კუთხეში მოვაგროვოთ წალამი, ერთი ბალის გათბობისთვისაც არ იქნება საკმარისი. ისე, ჩვენებმაც ხომ მოიფიქრეს? თხილის ნაჭუჭის ბრიკეტები. მშვენივრად ათბობს, მტვერიც ნაკლებად აქვს და თუ ყურადღებით მოეკიდნენ ამ წამოწყებას, იაფიც დაჯდება.

საოცარია ვაზი. როგორი სიცოცხლისმოვარულია, მოჭრი და ისევ, ზღაპრული დევის თავივით, ერთის ადგილზე ათი ამოდის, ნახანძრალიდანაც კი ამოიყრის ხოლმე. ან რამდენნაირი ჯიშისაა. ვინც არ იცის მისი ბუნება, იფიქრებს, ამ დაგრეხილ-დაჯდვარკნილი მცენარისგან რა სარგებლობა უნდა მიიღოო, არა და, როგორი ლამაზია ამწვანებული ზვრები, შაბიამანშესხურებული, ზემოდან ზღვას რომ მოგაგონებს. ნაყოფია და საჭმელადაც უგემრიელესი და სასარგებლოა, შზადღება ღვინო, ბადაგი, ჭაჭისგან არაყი. საქართველოსავით უკვდავია იგი. ალბათ, ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ წმინდა ნინომ ვაზის ჯვრით შემოაბიჯა საქართველოში.

ჩვენ რითი უნდა მოვიწონოთ თავი? სიმინდი, თხილი და ჩაი, რომელიც დაუფიქრებლად, უგულოდ თითქმის გავწირეთ მეგრელებმა. ახლა, აღდგენაო. აღვილია აჩევა, ამოძირკვა, ნგრევა. აღდგენა კი, საკმაოდ შრომატევადი და მნელი. რატომ ვიქცევით ასე დაუფიქრებლად? ხშირად იმ ტოტს ვჭრით, სადაც ვსხედვართ და ეს ხდება არა მარტო მცენარეებზე. ცხოვრებაშიც ხშირადაა ასე.

— დედიკო, დედიკო, ნახე, ლიამ რა მომცა — მსუყე ჩურჩელას მიჩვენებს ლილე — ხომ გემრიელია დე?

— კი, ლილე, მალიან გემრიელია. მადლობა უთხარი დედი?

— კუთხარი დედიკო და ჩვენთან დავპატიუე. ხომ წავიყვანთ ლიკასაც დე?

— წავიყვანთ, წავიყვანთ აბა რა, — მოვეფერე ლილეს.

ალბათ დავბრუნდებით მე და ლილე, მალე დავბრუნდებით და თან წავიღებთ ამ საოცარი კუთხის უსაზღვრო სიყვარულს, მათი ბადაგივით ტკბილს, ჩურჩელასავით მსუყეს და ღვინოსავით მათრობელას, რომელიც ვაზის სიცოცხლესავით უკვდავი იქნება.



## „აქაკიოს ენასაცდრასიძე“

### ნახვამდის ლურჯო ცაო!

პროლოგი: იქნებ არ გადაწვალ . . .

- რას ერჩით მითხარით, რა დაგიშავათ, ან მე რა დაგიშავეთ . . .
- ბაბუ მომშორდითქო, ბევრჯერ გიბრძანეს და ახლა იხდი სამაგიეროს . . . ნუ მეხები, გაიწიე . . . ოქ, მანდ, მომაშორე ეს კაცი ერთი თუ მმა ხარ.

მოხუცს მოკიდეს მკლავებში ხელგულები და მენჯის თრევით გამოათრიეს საკუთარი ბაღიდან. ალბათ ცეცხლსაც წაუკიდებდნენ, როგორც ბრაძებულებაში ეწერა და მოსპობდნენ საკუთარი ხელით გაშენებულ ვენახს, საკუთარი ოფლით მორწყელ ვენახს, ნაბომევს ბაბუასგან. შვილი არ ჰყოლია, მაგრამ ეს ვენახი იყო მისი შვილი და ეგოისტურადაც უყვარდა იგი, მაგრამ ახლა ალბათ დაწვავენ და მასაც სასიკვდილოდ გაიშეტებენ . . . განა ერთის სიცოცხლე ას შეეღრებოდა. . .

უკანასკნელი ამოსუნთქვით მიაძახა სასოწარკვეთილი თხოვნა: — იქნებ არ გადაწვათ . . .

თავი კირველი: 2020 წლის შემოდგომა.

2020 წლის შემოდგომა იდგა და ბავშვი გაპყურებდა ბაბუას, რომელიც ძლივსლა სჩანდა მტექნებით გაშავებულ ვენახში. საცავა დედას ბაღში უნდა წაეყვანა შვილი, იგიც ელოდა მის გამოჩენას სახლიდან, მაგრამ ლოდინის უსიამოვნებას ვერ გრძნობდა, გაპყურებდა ბაბუას და მისი შრომისგან მიღებული სიხარულით ინუსხებოდა.

ყოველ წელს ასე დაჯდებოდა ბაღის პირს და შეპყურებდა ბაბუას და ხედავდა, როგორ იუღინთებოდა თავიდან ბოლომდე სიამოვნებით, ეფერებოდა ყოველ მტექნების და ასეთი გამომდინარე.



და მას გოდორში. მას არ ესმოდა რა სასიამოვნო იყო, ყურძნისადმი ასეთი ფაქტიზი მოქცევა, მაგრამ შრომით გართული ბაბუას ნახვა მაინც სხვანაირად დამსუსტებელი იყო.

გამოდის, მოახურებს თავის შვილს პალტოს საგულდაგულოდ, დედისერთა არ დამიცივდეს და მიჰყავს იგი ბაღში. იშლება იყალთოს მონასტერთან ახლოს სოფელი იყალთო და ეთამაშება შემოდგობა გახუნების თამაშს სოფელს, სანამ ისინი შრომის ოფლის წარბზედომდენ უღელს შებმიან და ვერ დაიჭერდნენ მის ოინბაზობას.

ბაგა ბაღის კარს მიადგა შვილითურთ და დატოვა იქ.

ბავშვს არ ესმოდა, რატომ უნდა ევლო ბაღში, მაგრამ მშობლებს, განსაკუთრებული დედას მაინც ემორჩილებოდა.

დადიოდა ყოველდღე, რუტინულად. იჯდა თავისთვის და თამაშობდა, სხვა რამე არ არსებობდა მისთვის, გარდა საკუთარი თავისა. სხვები ერთობოდნენ, თამაშობდნენ, ერთმანეთს ატირებდნენ, მხოლოდ იგი არ იყო ჩართული მათ გნიასში.

დღესაც ჩვეულებრივი რუტინით უნდა გაევლო დღე ფიქრობდა, მაგრამ ჩვეული რუტინიდან მაშინ ამოვარდა, როცა შენობაში შესულს თბილი ჰაერის ნაკადი მოელამუნა. უუცრად დევა ვუ იგრძნო, თითქოს ეზოში იჯდა და ბაბუას უყვარებდა, თუ როგორ ხდიდა არაყს. გადმოიდებდა დათაკრული ყურძნის ანასხალს და შეუკეთებდა ცეცხლს.

სითბოს მალევე შეეჩინა და გაიფიქრა, რომ რუტინა თავის კალაპოტს დაუბრუნდებოდა, მაგრამ სხვა უცნაურობამ გამოაჩინა თავი.

ნელა ჩაირთო და აუღერდა ბოხი ხმების ფაქტიზად დათაფლული ჰანგები. სიტყვებს წელავდნენ და ბიჭს არ ესმოდა სიმღერის შინაარსი. მხოლოს ს სამი სიტყვა გამოიკვეთა, დანარჩენი მაგიური შელოცვის ტექსტს წააგავდა პოლიფონიურად, რომ ულოცავდნენ მომღერლები ბიჭს.

“შენ ხარ ვენახი” ჩაეშო ეს სამი სიტყვა ბავშვს და თვალში ისევ ბაბუა დაუდგა წინ, როგორ უვლიდა, სხლიდა, პკრეფდა თავის საყვარელ ვაზს, როგორ იღებდა იმ საუცხოო სიამოვნებას, ბიჭს ასე, რომ სურდა შეეგრძნო.

კაცთა ბუმბულისეული გალობა მიწყდა, მაგრამ მათი მონამღერი ჩაუმქრალ ექოდ ესმოდა ბავშვს. ვინ იფიქრებდა ამ ჩვეულებრივ დღეს, ბაგა ბაღში ამ ბიჭის მთლიანი სიცოცხლე თუ დაეწერებოდა ხელის გულზე.



თავი მეორე: ბიჭის ეგრიზები.

დედას შეიღისა არ ესმოდა. რა ნიჭის მქონე იყო და ბაბუამისივით ცხოვრება ამ ვენახში უნდა ეტკეპნა. ახლა მის ქცევას გაჰყურებს და არ ესმის შვილის. გაჰყურებს რამდენიმე წყობა წალამს. შვილი კი კიდევ უფრო მეტს ამატებდა ზემოდან.

— ნახეთ ერთი, ჩემი ვენახი სიკეთეს იზამს. — იმეორებდა ამას, მაგრამ რა სიკეთეს მოუტანს მას? რამ გაზარდა იგი ასე განსხვავებული შმობელისგან. ბავშვობაში სულ მასთან ახლოს იყო, მან გაზარდა.

იდგა დედა და უყურებდა, როგორ მიჰქონდა გადამუშავებული წალამი იყალთოს ერთ-ერთ ბაგა ბაღში.

იდგა იგი მოკიაფე ლაჟვარდოვან ცაში.

თავი მესამე: ცვლილება.

— ნავთობი და გაზი კარგა ზანია გაილია, ელექტროენერგია არაა მაინცდამაინც მოსახერხებელი, თან ძალიან ძვირია. არ ვიცი უკვე რაღა გავაკეთო. ამას ყველაფერს ტემპერატურის ცვლილება ერთვის, ზაფხულში ტანსაცმელში იწვი, მაგრამ ზამთარში ერთი ორად გიბრუნებდა სიცივე, ზღვამაც აქვე ამოიწია და მისმა ცივმა ჰაერმა დაგვაცია მთელი ოჯახი, მაგრამ გათბობა სადაა ამ გაჭირვებაში.

— მართალი ხარ, ძლიერ გართულდა ცხოვრება, მაგრამ მგონი შენ დახმარებას შევძლებ.

— აბა გიყურადებ!

— ადრე, იყალთოს ერთ-ერთ საბავშვო ბაღში მომვლელად ვმუშაობდი, სადაც ბავშვებს რაღაც განსაკუთრებული საწვავით ათბობდნენ, ყურძნის წალამისგან მიიღება მგონი ეგ ბიომასა. მოკლედ იქვე ახლოს კეთილი კაცი ცხოვრობს, ვენახი გარშემო სულ მისია და გადამუშავებული წალამით ამარავებდა ბაღს, თუ არ ვცდები დღესაც აგროვებს, გავიკითხავ თუ გინდა?

— მაღლობელი დაგრჩები!

— ცოტა უცნაური კაცია კია, მთელი დღე ვენახშია, ცოლი-შვილი მას არ ჰყავს, ბევრი უცნაური მონოლოგებიც იცის, მაგრამ უკეთური არაა ზელს წაგახმარს.



— კარგია, კარგია, წამოდი შენობაში შევიდეთ, ცას ნაცრისფერი გარევია.

თავი მეორე: კოლექტივი!

— ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გადაითხაროს ყველა ნაყოფიერი მიწა, რომელზედაც არაა დათესილი ისეთი პროდუქტები, რომელიც მაღმოყვანადია და შეიცავს ადამიანის პროდუქტიულობისთვის აუცილებელ კომპონენტებს. ამ გადახნულ ტერიტორიებზე დაითესება წინარედ ნახევები მცენარეები, რათა ნაწილობრივ უზრუნველყოს სახელმწიფომ მოშიმშილედ დარჩენილი ხალხი, კოლექტივი.

თავი მესამე: ბავშვი, პატი, მოხუცი.

თავი წამოყო მოხუცებულმა და რა იცოდა, რომ დღეს მარცხენა ფეხზე დაიწყებდა. თითოეული დღე ერთმანეთს წააგავდა ზედაპირული თვალისოთვის, მაგრამ მოხუცებულის ჩინნაკლული თვალი ამას ვერ ამჩნევდნენ. შეიძლება გაზეთის გვერდებზე შავად ნაბეჭდი ასოები ვერ ამოეკითხა, მაგრამ ყურძნენ ისე შეხედავდა თითქოს, მის ყველა მონაკვეთს განსაკუთრებული სიზუსტით არჩევდა. მისთვის ვენახიც იყო მისი თვალის ჩინი და მისი მასაზრდობელი ენეგიაც.

რა იცოდა, რომ ხალხისთვის უნდა შეეწირა ის. ხალხისთვის, რომლებსაც არ იცნობდა, არც ისინი იცნობდნენ მას. საცოდავი გაუძლებდა ასეთ რადიკალურს ნახტოვს?

ახლაც მოადგეს კაცები და ჩამოუღრეს კარები კაკუნით, გააღო კაცმა სახლის კარი და რამდენიმე მსუბუქად ასხმულმა სამართალდამცემელმა შემოაბოტა მთელი უტეხობით.

რაღაც უყვირეს, რაღაც დატუქსეს, რაღაც თხოვეს, რაღაც უბრძანეს, ვერ გაუგია რას სთხოვდნენ წესიერად, თვალებს მოგვიანებით სმენაც მიჰყვა და მხოლოდ შეხება, სურნელი და გემო იყო გამართულად მომუშავე. შეეხებოდა ხელით მტვევნის ეუნწს და შეაწყვეტდა, დაჭნეხილი ყურძნენის ავარდნილ სურნელს ჩაისუნთქავდა და დაქვევრებულ ნარინჯს გაუგებდა გემოს.



მოთმინება აელიათ და ვენახვს მისწვდნენ, უნდა ამოეწვათ. მიხვდა აგერაა ჩემს ნაწილს მიკლავენო და აბლრიალდა:

- რას ერჩით მითხარით, რა დაგიშავათ, ან მე რა დაგიშავეთ . . .
- ბაბუ მომშორდითქო, ბევრჯერ გიბრძანეს და ახლა იხდი სამაგიეროს . . . ნუ მეხები, გაიწიე . . . ოე, მანდ, მომაშორე ეს კაცი ერთი თუ ქმა ხარ.

ჩაავლეს ხელი და გამოათრიეს, მაგრამ მზერა მოხუცს თავისი ნაშვილებ ვენახისკენ ებოდა.

ეს მხეცები რას აკეთებდნენ ვერ ხვდებოდნენ, საცაა როველი უნდა დაწყებულიყო და ამ საქციელით ისინი ასეთი კარგი მოსავალი წყალს უნდა გაეტანებინათ. ცელიათ ორი-სამი თვე, მოკრეფდა და სრულიად უფასოდ მისცემდა ყურძენს. მაგრამ მათ ყურძენი არ სჭირდებოდათ, მათ გამოყენებადი მიწა სურდათ, ის მიწა, რომელზედაც ახლა მისი ვაზები ცეცხლს აიკიდებდნენ.

ცეცხლი . . .

საცოდავებს, ხალხს სცივათ, წალამი მაინც მოეგროვებინათ და ამ აქედითობის უამს გაეთბოთ ისინი, მაგრამ ნურასუკაცრავად ასეთ ბრძნობას კოლექტივისადმი სიკეთის იდეით აღგზნებული ამას მოიფიქრებდნენ. გადაწვავდნენ და მისი ვენახიდან აღარაფერი დარჩება და თავის ვენახს ისიც გაპყვება სამოთხეში.

უკანასკნელი ამოსუნთქვით მიაძახა სასოწარკვეთილი თხოვნა: — იქნებ არ გადაწვათ . . .

გაპყურებს ცას, რომელიც მის ახალგაზლობაში მუდამ ლაჟვარდის ლურჯს ირეკლავდა და მოხუცობისას ამღრული იასამნისფერი მიეღო. წეს ენერგია გამოცლილი, ცხოვრების მოულოდნელობისგან გაშეშებული და რაღა შეუძლია გააკეთოს, იმის გარდა, რომ უსმინოს ყურძნის თხელი ვარჯების სასიამოვნოდ თბილ ტკაცუნს, მაღლა ადის მათი კვამლი და ფარავს ერთოს ლურჯ ცას.

ნახვამდის ლურჯო ცალ!

## „ვანახო“

### ვაზის ალერგია

საბავშვო ბალის კარი ლია მასწავლებელმა შეაღო. ფორმა ჩაიცვა და სადეზინფექციო ხენარი მოაფრქვია ოთახს. მალე შამპუნისა და სუნამოს სურნელით გაიფხორა დასპირტული სივრცე, რადგან ფანჯრები ჩაერაზათ.

საუზმობისას სანდროს ტირილი გაიგონა და წაქცეული ფინჯანი ენიშნა. ბიჭი წამოაყენა, ხელები დაუთვალისწინებული და გაუღიმა:

— ფინჯანი ძალიან ცხელი იყო და გასაგრილებლად გვერდი იცვალა! არაფერია სანდრო!

ლიამ აღსაზღვდელებს ანიშნა, დასხედითო. ძიძა შემოვიდა.

— სანდრო, რამხელა აურზაური გამოიწვიე შენი მოუხერხერხებლობით, თითქოს პირველად სვამდე ჩაის!!

ლიას არაფერი უთქვამს. მიდიოდა ყველა მაგიდასთან, შზრუნველ ხელს ადებდა ბავშვებს მხარზე. ისინიც გულში ეკვროდნენ, უღიმოდნენ, მშვიდად სხდებოდნენ. გაახსენდა თავისი ბიჭი, რომელიც ხშირად აქცევდა ჩაის. არ უბრაზდებოდა, იცოდა უნებლიერ მოსდიოდა.

მასწავლებელმა გადაშალა რვეული, ჩანაწერს ჩაჰქედა: „შვილები სხვისებად უნდა დავინახო, რათა სულ ჩემები იყვნენ და ერთმანეთს ვგრძნობდეთ.“ სანდრო სხვისი შვილი იყო. საკუთარ ნაშობს არ უხშობდა გულის ხმას, არ აწვეტებდა შხამს, არ უღვივებდა უნდობლობას ადამიანებისა და ცხოვრებისადმი. საკუთარი გამოცდილების თვალით არ ახედვინებდა ბავშვებს.

ხმაურიანი დღის ბოლო, სიცარიელესა და სიცარიელეს მთქნარებით ათავსებდა კუთხე-კუნჭულში. ოთახი მოეკრიალებინათ.

— ზინა დეიდა, სანდრო მოუხერხებელია, ყურადღებას თუ არ გავუმახვილებთ, „არ გავუფორმებთ“ ამ ქცევას, კომპლექსი არ ჩამოუყალიბდება!

— ლია, შვილო, თავის საქციელზე ხომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა?

— ჩხუბით მხოლოდ შიშსა და კომპლექსებს ვუნერგავთ. შიშის



ფაქტორი გააზრების საშუალებას არასოდეს მისცემს.

— ვერ ხვდება, რა არის ცუდი და კარგი ქმედება, ხომ უნდა მი-ვუთითოთ?!

— აი, ზუსტად, ვერ ხვდება, განგებ ხომ არ იქცევა ასე?! გაცნობიერების შემდეგ აიღებს პასუხისმგებლობას თავის საქციილზე. დატუქსვის მიზეზს ვერ იგებს, რადგან არ დაუმსახურებია. ამ შემთხვევაში ფუჭია ჩვენი სწავლება.

— აბა როდის, ან რა უნდა ვასწავლოთ ლია, ქცევის ნორმები.. წესები?!?

— სათანადოდ უნდა მოვეპყროთ. მათდამი გამოვლენილი სიყვარული და ნდობა აიძულებს, დაგვიჯერონ. მანამდე კი ჩვენ უნდა ვენდოთ, ჩვენ უნდა გვიყვარდეს!!

ზინას თვალწინ დაუდგა ლიას შვილები და ყველაფერს მიხვდა. ზომიერად ცელქი, ცოცხალი ბავშვები, გაცისკროვნებული თვალებით, პირზე ღიმილითა და გამოწვდილი ხელებით. გამზიარებელი პატარები ყველას თვალში ხვდებოდა. ვინც თავადვე იყო ამ თვისებების მატარებელი, კარგს ხელავდა მათში, ვისთვისაც მათი ქცევა შეუფერებელი იყო, იბოლმებოდა და თავხედობაში უთვლიდა ბავშვებს ამ სითამამაშეს.

ძერწვით დაღლილი ბავშვები ლიამ სავარჯიშოდ გაიწვია. ლიზამ შემთხვევით ხელი გაჰკრა ზაზას. ბიჭმა მუშტი უთავაზა.

ზაზა იმპულსურ ქცევაში შემჩნეული იყო, ამიტომაც ლიამ გოგონას თვალით რაღაც ანიშნა და დაელოდა.

— მას! კარგი ბიჭი ხარ ზაზა, განგებ არ დამირტყამს. შემირიგდი, გთხოვ!!

ზაზას თვალები გაუფართოვდა. ხელი ნაკოცნ ლოფაზე მიიჭირა. მასწავლებელს თვალები მოსწევიტა და გაიქცა.

ლიზამ მისკენ გაიწია.

— სჯობია, მარტო დარჩეს!

ლიამ თვალებში ჩაჰქედა, შეეცადა თავისი რწმენა გადაეცა.

ბავშვებმა თითქოს თვალები გადმოსხესო, ბარტყებივით პირდაფჩენილები მიაჩერდნენ აღმზრდელს: „მათ შივდებათ ყველა წვრილმან გაუგებრობაზე, სიმართლეს თვალებიდან მართმევენ და მერე ერთად გემრიელად გნაყრდებით.“



ორი დღე აცდენდა ზაზა ბაღს. მასწავლებელი ღელავდა. დღის ბოლოს ბავშვები აწესრიგებდნენ მერჩებს, რამდენიმეს უკვე დაებანა ხელ-პირი, მოემარჯვებინა პირბადე და ელოდა მშობელს. ლიას მობილურმა დარეკა.

— გამარჯობა ლია მასწავლებელო!

— გამარჯობა ნათია! ზაზა როგორაა?

— ამბობს ბაღში არ წავალ, იქ ჩემზე კარგები არიანო. ვერ გავარეკიე, რა შეემთხვა...

ლიამ კველაფერი უამბო, სთხოვა ბავშვი დამალაპარაკეო.

— გამარჯობა ზაზა, როგორ ხარ?! ბავშვებმა მოგიკითხეს.

— კარგად! მართლა მომიკითხეს!?

— კი, აბა! რატომ აცდენდი ბიჭო!?

— აი, მუცელი.. არა, ის..აი...

— ბუტიაობა არ შეიძლება ზაზა....

— ხვალ აუცილებლად მოვალ!

ლიამ ზაზას ტყუილი აპატია, რადგან ბიჭი გამოწვევას გაუმკლავდა: „მხოლოდ ასეთი ტყუილის პატიებაა გამართლებული. ყველა რესურსი უნდა გამოვიყენო სიკეთის სამსახურში“

პატარებმა მოწყურებული თვალები შეაგებეს აღმზრდელს. ელოდნენ, როდის წაუკითხავდა — მოყვუდებდა აღმზრდელი სინათლის კოკას, რათა გაეგრილებინათ, ჩაეტკბოთ თავიანთი არსებობა. „თავიდან ამინილეს უკვე აზელილი თვალი, უგვანო ფრთები დამიკეცეს, თავიანთი გაშალეს,— მომავლის გარანტიად!“, — თითქოს შუბლზე აწერიათ, ისეთი სახით დაჯდა საწერად. ძიძა მის სახეს დააკვირდა. ლია დარწმუნდა, ზინა ყველაფერს ხვდებოდა მისი გამომეტყველებით, ამიტომ დაიწყო ქცევის კონტროლი: „არაკეთილმოსურნეს შენი სიკეთე არ უნდა გამოაყენებინო, ეს არანაკლებ ბოროტებაა.“

თელავის მუნიციპალიტეტის, სოფელ იყალთოს ეს საბავშვო ბაღი წალმით თბებოდა ზამთარში, რადგან გაცილებით იაფი ჯდებოდა, ვიდრე გაზით გათბობა. ბაღი გაარემონტეს, ავტომატური გათბობის სისტემა დამონტაჟეს, რომელიც საწვავად იყენებდა დაქუცმაცებულ წალამს. ლიას მოთხოვნით ბუხარი დააშენეს ამ ოთახს, რადგან ცეცხლთან კითხვა რიტუალი იყო: პატარა გულების გაღმოხსნა, ნაკვერცხლის გაღვივება და ის კაშკაში, სულიერ ძალებს რომ აერთიანებს, აკაჟებს და შეუმჩნევლად



ყალიბში აქცევს. აკვირდებოდა, კითხვისას ჩაწეობული ქარაგმები, როგორ ფურჩნიდა მათ სახეებს, ამღერდა თვალებს და ტვინს ამებდა.

გაზაფხული ეშბში შესულიყო. გასხვლა დასრულებულიყო და საჭირო იყო, ჯგუფებში სივრცის გამოთავისუფლება მასალის შესანახად. ლიას სურდა, ბავშვებს საკუთარი ხელით შეეგროვებინათ წალამი. რამდენჯერმე შევიდა გამგესთან და დაარწმუნა, კოვიდ-19 — ის პანდემიის პირობებში, ყველა წესის დაცვით, აუცილებელი იყო ბავშვების ჩართვა ამ აქტივობაში, იმ პირობით, რომ ყველა მომუშავე, თუ ხელმძღვანელი პირი გაეყვანათ ვენახიდან. მხოლოდ ზედამხედველი დარჩებოდა თავის ქოხში. ისედაც წალმის აღება-დაქუცმაცება მექანიზაციით სრულდებოდა და გადაადგილებასთან დაკავშირებული, სახელმწიფოსან დაგენილი შეზღუდვები მოხსნილი იყო.

დილითვე ჩამოდგა ავტობუსი. პირბალე ყველას თავისი ხელით მოარგო, რადგან მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობდნენ. გზა საუბარში გაილია: ჩვეულებრივი მცენარეაო ვაზი, თუმც უფრო ფაქიზი და სასარგებლო. ჩვენი ჯილაგივით მყარი ფესვები აქვსო მას, დღენიადაგ გლეხს ემსახურებაო. ვისაც სხვებისთვის მსახურება შეუძლია, უძაბლესთაგან უდიდესი ხდებაო. პატარებმა ვერ გაიგეს რას გულისხმობდა მასწავლებელი. ლიამ არაერთხელ წაკითხული, იესოს მიერ მოწაფებისთვის ფეხების დაბანის სცენა გაახსენა. უფალი ხალხის მსახურებისთვის მოვიდა, ჩვენთვის გაისარჯა და ეწამა, თავისი ცხოვრებით მაგალითი მოგვცაო. გაუგებარი რომ არ ყოფილიყო, იკითხა, ვის ყავსო მოხუცებული სახლში. ორმა დაუდასტურა, ბებია მყავსო.

— დედიკო თუ წუწუნებს, როცა ბებოს უვლის?!

— არა, მასწავლებელო, არაფერს ამბობს.

— აი, ხედავ, დედა ანგელზია! ყველა მშობელი უდიდესია, რადგან მისი ეს ქმედება სასიკეთო ძვრებს იწვევს თქვენში, სწავლობთ სიყვარულსა და მხრუწელობას. ვიცი, სხვა ბებოებს პატივისცემით მოეპყრობით, დედიკოებს ხელის გულზე ატარებო, როცა დაგიბერდებიან და შვილებსაც სიყვარულით აღზრდით! „რასაც ნორმად დაუწესებ, რასაც აჩვენებ და აგრძნობინებ ბავშვს, ისაა მისთვის მისაღები. უპატივცემულობას თუ გამოიჩენ, მუდმივად დათრგუნავ და უგულებელჰყოფ მის სურვილებს, ჩამოუყალიბდება, რომ მეტს არ იმსახურებს. დაბალი



თვითშეფასების მქონე ადამიანები იტანჯებიან და მაპროვოცირებელი საქციელით ცდილობენ სხვისი სიყვარულის მოპოვებას“-ჩაიწერა რვეულში, ბავშვებს კი უთხრა:

— გაზი იმიტომა უდიდესი, შრომას აყვარებს ადამიანს. შრომა კი ლოცვა!

ბავშვები ყიუინით შეესივნენ ვენახს. ლიამ თვალები მომართა, ღრმად ჩაისუნთქა. ვაზის სურნელმა შორიდან იცნო, დაბურძგლა. აგროვებდა მოჭრილ ღერებს, ბავშვებმაც მიბაძეს. შემდეგ შეკონვას შეუდგა, წინასწარ დაჭრილი ბაწრის ნაკუწებით.

შეატყო ბავშვებს დაღლა. გამოაშლებინა პატარა დამტვერილი ხელის გულები. რა იგრძნესო თქვენმა ხელებმა. ზოგმა უთხრა დამეღდალა ხელებით, ზოგმა-დამესვარაო, ზოგმა — გამხიარულდნენო. ლიას ჩაეღიმა. მხიარულება კარგიაო ბავშვებო, შრომაც უნდა გვამხიარულებდესო. სახეზე წითელი ნაკვერცხლები უხტოდა, მაინც არ შეეჭუა. აჩვენა ვაზის ფოთოლი, ყვავილი და ნაყოფი. ვაზს კლერტი (ზედმეტი ყლორტი) გააცალა და ნაყოფიც გააყოლა. გიორგიმ შეამჩნია, ურძენი მოგიწყვეტავთ მასწავლებელო, როგორდა დაისხამსო.

— ეგ ზედმეტია გიორგი. ვაზს უამრავი ნაყოფი გამოაქვს, ცრუდა ზედმეტი. მევენახემ უნდა გააკეთოს არჩევანი, რომელი დაუტოვოს, რათა ის რამდენიმე გაძლიერდეს. თქვენი მშობლები მევენახეს პვანან, უნდა გაგწიპონ, ცრუ ჩვევები მოგამლებინონ-არტახებში მოგაციონ. ძლიერმა და მოსიყვარულე ხელმა შეიძლება მისცეს სწორი მიმართულება ბავშვის აღზრდას და ვაზიც დაიმორჩილოს. მცნარე თვინიერი და ძლიერი ხდება, თუ სიყვარულითა და მოწიწებით ეპყრობიან.

ლიას სიგრილეგ გადაურბინა სახეზე. სეტყვა იყო მოსალოდნელი, მეტეროლოგების პროგნოზი მართლდებოდა. ბავშვებს საწვიმრები მოარგო. ზედამხედველი სეტყვისგან დასაცავ ბადეს შლიდა.

ყინულის ბურთები დაიბერტყა ზეცამ. მიწამ ოხშივარი ამოუშვა, როგორც ყინულებჩაყრილმა თონებ. ლიამ მოსწავლეებს ავტობუსისენ უბიძგა. თვითონ ვაზებს მთელი ტანით გადაეფარა, მუჭებში შერჩენილ სეტყვას ხელუკუდმა ჰყოიდა. სისველემ გამოაფხიზლა. გაახსნდა გულის ჯიბეში შენახული რეეული. სწრაფად მოტრიალდა, გადაფარებულ ბადეს ახედა და ავტობუსში შეფრინდა.



ნესტისგან მოხრილი რვეული ჯიბიდან ამოიღო: „ამინდი გარემოს ნაცხა ბავშვის ცხოვრებაში. სეტყვა— თავსდატეხილი გაუგებრობა, რისგანაც მშობელი იცავს ბავშვს, უფრთხილდება არ წალეკოს მისი პიროვნება. კლერტის მოცლა უფროსებისგან გაცნობიერებული ნაბიჯებია, რასაც ბავშვისთვის ძირული ცვლილებები მოაქვს.“

რეტრასხმული ლია გახუნებულ ფურცელს ჩაატერდა: “მისმინე მამაჩემო, კარგია ვაზს რომ უკლი, ეფერები; ჩვენც შემოგვიბარე, მიწა გაგვიახლე, მამაპაპურ ქვა-ღორღში ნუ ჩაგვალპობ.“

მამამისი, ოვლითა და საწამლით გადახვითქული, მრავალშვილიან ოჯახს ვენახში ამუშავებდა. ღონევამოცლილ გოგოს ერთხელ ვაზის ძირში ჩაეძინა. გაღვიძებული მიხვდა, ვაზზე შემოხევეულიყო. მამამ ძლივს გამოჰვიჯა ლია. ძილ-ბურანიდან გამოსულ ლიას გაახსენდა, როგორ შემოხვია ვაზი, შეიტკბო და შეიჭმუხნა მისი სხეულით, სული კი გადაუხარშა, ფერი უცვალა. ვაზის ციებ-ცხელება შეყროლა გოგოს. ექიმებმა ვერ დაადგინეს, ეს დაავადება ფიზიკური იყო თუ სულიერი. ვაზთან სიახლოვე წითელ ნაფოთლს უჩნდა სხეულზე. ეს იყო შანსი ცხოვრებისგან, რისი მიზეზითაც ლია წიგნებს დაუბრუნა.

ვაზის ალერგიამ სხვა ლია გამოკვება— უფრო მყარი და ცნობადი. წერა მაშინ დაიწყო. ფურცელზე ჩანდა და შვილებში იკითხებოდა. თვალწინ დაუდგა ძარღვად ქცეული, მიწისკენ დახრილი მამამისი, რომელსაც ამინდის ცვლილებაც კი არ ახედვინებდა ცაში. ლიას კლასგარეშე წიგნებს უკრძალვდა, მანდ ცის ამბები სწრია, რა გესაქებაო.

წარსული დღეები ეკალივით ჩხვლეტდა ლიას: „ გაგვზარდე და რატომ დაპატარავდი, იქნებ ჯერ კიდევ შეუცნობელი შვილები გჭამენ!“.

ავტობუსი გაჩერდა. მზე კაშკაშებდა ლიასავით და ლია იყო ვაზში.

ცნობადი იყო ლია, როგორც არასდროს. ფიქრებით მამასთან იყო, თუმც უცხოდ გრძნობდა თავს:

„თუ იტანჯები, ალბათ გიღირს, მე ყველაფერი დავთმე,— ვალად არ მყოლოდა ცხოვრება. ჩემგან დაგალებული, ლოდინით დაკოურილი, ახლა შორიდან მიშერს!..“

## „ოცნების ფლობიდი“

„შშვილობა, ბედნიერ წელს გისურვებთ, სტრესის გარეშე გადაგეტანოთ პანდემია და პირიქით, თქვენი თავის გამოსაწრობად გამოგეყნებინოთ. მოთხოვთ არის ატასი რედაქტირების შედეგი, ჩონჩხი იგივეა მაგრამ მე იველადი ვერსია უფრო მიყარს“.

### პრისტასისხლა

— პაპაჩემი ვაზია, პაპაჩემი ვაზია, ვაზია ვაზი...  
— ჩუმად ბავშვებო! ნუ ტირი, ნიკუშა და გთხოვ აღარ თქვა ეს. ხომ ხედავ, როგორ დაგცინიან?..

— მაგრამ ვაზია მასწავლებელო — უპასუხა ნიკუშამ და თვალებზე აფარებული ხელების ზევიდან, წვიმასავით გადმოუვიდა ცრემლები.

მიწა და ცა გამწყრალები იყვნენ ერთმანეთზე. მიწა გამოხმა და გაილია. ცას, ბოლო ოფლის წვეთები ორი წლის წინ მოეწმინდა და გადმოეყარა დედამიწაზე. არც იყალთოს მონასტრის კედელზე დამწერი სანთელი აღარ შველოდა ამ საქმეს და არც — რჩეული თიკანისა თუ ბატქანის თავზე მომწვარი. ბოლო წვეთები, რაც მიწაში ჩავიდა, მლოცველების, მათ შორის პატარა ნიკუშას, გადატყავული მუხლებიდან გამონადენი სისხლი იყო.

— პაპი, — ეტყოდა ხოლმე ნიკო პაპა, თავის მოსახელე შვილიშვილს, პატარა ნიკუშას — ადამიანის ტვინს, რაც მეტს იგებს, მით მეტი ნაოჭი უჩნდება. წარმოიღებინე! რამდენი ეცოდინე ამას, — ამის თქმისას თვალები სულ უცრემლიანდებოდა და შემოჰვევდა ხოლმე ხელებს, მისი ხელებივით დამსკდარ ვაზს, რომელსაც ქრისტესისხლას, უფრო იშვიათად კი მატიანეს ეძახდა.

ნიკუშა გაოცებული უსმენდა, ყველაფერი ეუცნაუებოდა, ამიტომ ყველაფერი ამახსოვრდებოდა. უყვებოდა პაპა, როგორ მიქონდათ მეომრებს ვაზის რტოები ბრძოლაში, რათა სიკვდილის შემთვევაში,



მათ განვმირულ სხეულზე ვაზს გაეგრძებინა სიცოხლე, გაეგრძელებინა მათი ხსოვნა, შეენახა მათი ცოდნა.

სოფელი იცლებოდა. გვალვისგან დამარცხებული ხალხი ქალაქში გადადიოდა საცხოვრებლად. ნიკუშას შშობლებმაც გადაწყვიტეს ქალაქში წასვლა. ამ უნაყოფო მიწაზე აღარ ედგომებოდათ. პაპასაც შესთავაზეს, მაგრამ ის უსიტყველ აღგა და ბაღჩაში გავიდა ზურგზე ხელებდაწყობილი. თითქმის ორი კვირა უცადეს მის პასუხს, მაგრამ ის ხმას არ იღებდა, შემდეგ ისინიც წავიდნენ. ნიკუშას არასდროს დაავიწყდება, მანქანის უკანა ფანჯრიდან დანახული პაპა, რომელიც პირჯვარს წერდა მათ.

„იყავთ ჯო, იყავთ“ — ბუტბუტებდა მარტო დარჩენილი ნიკო პაპა და აკანკალებული ხელით პირჯვარს წერდა ქალაქისკენ წასულ ოჯახს. როდესაც თვალს მოეფარენ სახლში შებრუნდა.

წასელის შემდეგ ხშირად ფიქრობდა ნიკუშა პაპის დაკოურილ ხელებზე, მერე თავის პატარა, ვარდისფერ ხელებს დახედავდა და მონატრებისგან ატირდებოდა ხოლმე. აი, მამასაც ჰქონდა ცოტათი დახეთქილი ხელის მტევნები, მაგრამ იმდენად არა რამდენადაც პაპას. ალბათ მისმა ხელებმა ნაკლები იცისო, ფიქრობდა ის.

ერთ საღამოს სოფელში გაგზავნილმა კურიერმა ამანათი უკან დააპრუნა და ნიკუშას მამას რაღაც უჩურჩულა. ნიკას რატომდაც მოუნდა რომ ეტირა, მაგრამ უკვე აღარ შეეძლო, მისი თვალები გაბრაზებული ცასავით გამშრალიყო. ლოგინში ჩაწვინა მამამ, უკვე ძილის დრო იყო, შუბლზე ხელი ზუსტად იგივენაირად გადაუსვა როგორც პაპა უსმევდა ხოლმე ქრისტესისხლას. მამა გავიდა. დარჩა ნიკა ბნელ ოთახში და უკვე მერამდენედ გაიხსნდა, როგორ უვლიდა ხოლმე პაპა ვაზს, თითქოს მისი ხელის ნახეთქები ვაზის კანის ნახეთქებს ზუსტად ემთქვეოდა და ავსებდა მათ, თითქოს პაპამისი და ქრისტესისხლა ერთმანეთის ნაწილები იყვნენ. პაპას ხელები ზუსტად ემთხვეოდა ვაზის კანს, იცოდა ნიკამ რომ ასე ლაპარაკობდნენ, ასე უზიარებდნენ ხოლმე ცოდნას ერთმანეთს.

ოთახიდან გავიდა ნიკას მამა და სოფლიდან წამოლებული ღვინის ბოლო ბოთლი აიღო თაროდან, უკვე მტევრი დასდებოდა.

დადიოდა ნიკო პაპა დაცარიელებულ სოფელში. მხოლოდ მისი



ფეხებიდა ურლვევლნენ სიმშვიდეს მტევრად ქცეულ მიწას. მიდიოდა ხოლმე ქრისტესისხლასთან და ესაუბრებოდა მას, უყურებდა როგორ ხებოდა დღითიდღე. გრძნობდა, რომ მასთან ერთად იფერფლებოდა მისი სიცოცხლეც. ერთ დღესას მიტოვებულ ტაძარში წავიდა. ვაზის ქერქს ახსენებდა მისი კედლები. თავის საყვარელ კუთხეში მივიდა და დაიჩოქა. მუხლებმა სირბილე იგრძნეს, ცხვირმა კი გასრესილი ბალახის სურნელი. წამოდგა და მომაკვდავი ვაზისჯენ წავიდა, პატარაობაში მამამ უთხრა რომ შენი დაბადების დღეს დავრგეო. უკვე ღამდებოდა როდესაც ვაზის ძირში ხელები გადაიჭრა, მოეხვია მას და სული განუტევა. მეორე დღეს მოსულმა კურიერმა ნახა რომ ვაზს, თითქმის მთლიანად შეეწოვა ის, მხოლოდ მისი უსიცოცხლო თვალებიდა იყურებოდნენ ქერქიდან.

წლები გავიდა. გაზაფხული ერთ დიღას, უკვე გაზრდილი ნიკოლოზი, დაცლილ იყალთოში პირველად დაბრუნდა. მანქნა თითქმის ჩამოშლილ ძველ სახლთან გააჩერა და ბაღჩისკენ მოკურცხლა, სადაც ერთ დროს ის და პაპა ერთად უვლიდენენ ხოლმე ვაზს. ქრისტესისხლამდე რამოდენიმე მეტრი იყო დარჩენილი, ის ჩაიკეცა, ათრთოლებული ხელები თვალებთან მიიტანა და ამდენი ხნის შემდეგ პირველად ატირდა, ცრემლები დაპალუპით, კოკისპირულად მოსდიოდა. ქრისტესისხლა, პაპას მემატიანე, ერთადერთი მცენარე იყო მთელს სოფელში რომელიც მწვანედ ბიბინებდა. ნიკოლოზმა ცაში აიხედა, მის ღაწებზე ცრემლი და წვიმა ერეოდა ერთმანეთს. ემოციებისგან დაღლილს იქვე დაეძინა.

როცა გაეღვიძა ბინდებოდა. მიწიდან-ცამდე ცისარტყელა გადაჭიმულიყო. მან უველას გააგებინა ცისა და მიწის შერიგების ამბავი. სოფელი რამდენიმე თვეში ისევე ახმაურდა, როგორც მის ბავშვობაში იყო. აი, როველის დროც მოვიდა და ყველა ერთად შეიკრიბა, რათა სოფელში მდგარი ერთადერთი ვაზიდან ყურძენი დაეკრიფათ. ნიკოლოზმა ღვინო დააყენა და ეკლესიას შესწირა საზიარებლად. ამდენი ხნის შემდეგ პირველად აუდარუნდა ზარი სოფელში და სადღესასწაულო წირვაც გაიმართა. ზიარებისას ვერ გაიგო ნიკოლოზმა, ქრისტესისხლს იღებდა თუ პაპამისისას.



## ნინო გადევლიანი

ჩემი სახელია ნინო ბენდელიანი. ვარ შერვე კლასში. ვცხოვრობ თბილისში. მიყარს კითხვა.

### ირგვლივ მფანე ბურუსია

სიტყვა საქართველოს წენებისას თვალწინ გადმოგვეშლება მისი კუთხები. ამ კუთხებს, თითოეულს თავიანთი უნიკალური ბუნება, კულტურა, ტრადიცია, სამხარეულო, სამოსა, ფოლკლორი და მრავალი სხვა ახასიათებთ. განსაკუთრებულია ასევე საქართველოს ისტორია, ქართველთა ვაჟაცური ხასიათი. საქართველოს დახასიათებაზე მთელი ფურცლები არ გვეყოფა. არის ერთი მთავარი — ამ კულტურების გარდა საქართველოს სიმბოლოს ასახავს ვაზი. ვაზი კი კახეთანაა დაკავშირებული. მოგითხოვთ კახელ კაცზე ამბავს. მის ყოფას და ცხოვრებას და თუ რა გადახდა თავს მას.

\*\*\*

სიომ თავი შეასენა სოფელს და შეის სხივებმაც დაადასტურეს ყოველივე. გომბორის ქედი ნელ-ნელა ნათლებოდა, მისი მეზობელი სოფელი, იყალთოც გაცოცხლდა. მამალმა გაიღვიძეოთ და მაღვიძისასავით ვიბრაციები გააუღერა. დილის სიო გამძაფრდა, პაქრი განსხვავებულად გრიალებს. ამასობაში სოფლელების კარებიც იღება. დღეს საქმიანი დღეა — ვენახში დილიდან უნდა იმუშაონ, ოფლი ღვარონ. მაგრამ ისიც იციან ეს შრომა უმიზეზო არ არის და უკვალოდ არ დაშრება. იციან, რომ ოფლიდან კაშკაშით გადმოცურდება მბზინავი ოქრო, საოქმაოდ ბევრი. ისეთი, მთელი წელი რომ ეყოფათ.

ყიჯინა ისმის ერთი გლეხის ოჯახიდანაც. ბავშვები მხიარულად ჰდურტულებენ, ისინი სულ 6 წლისები არიან და ბაღშიც დადიან.



ადგილობრივ ბაღში. იქ ისინი დედას დაჲყავს. ქალი საკვებს აშზადებს, სამშარულოში ფაციფუცობს, კაცი კი სამუშაოდ ემზადება. ამ ოჯახს არაფერი აკლია, სხვა ოჯახებისგან განსხვავებით საკვებიც აქვთ და სასმელიც. მიწებიც ისეთია, მთები რომ ზემოდან დაჲყურებენ და ამაყად დასცექიან „ოქროს საბადოებს“. ხანდახან ქვემოთ ცქერით თვალები ასტკივდებათ და ბინდითა და ბურუსით იფარებიან. ამას გარდა, ფრინველები ისე უგალობენ გლეხებს, მხურვალედ ამხნევებენ და სასიამონოდ უმღერიან, რომ რომ მის გარეშე ისე ვერ გაძლებს კაცი, როგორც წყლისა. მოკლედ რომ ვთქვათ, სოფლელებს ბუნება ასაზრდოებს და აცხოვრებს. საამურია მხოლოდ მათი ჰარმონიის ცქერა. ვისაც ამ ყველაფრისოფუს თვალი აქვს შეჩვეული, ასე თუ ისე ირიბად აღიქვამს, მაგრამ აი ეს ტურისტები რომ ჩამოდიან და ათვარიელებენ, ამ დიდაღ საუნჯეს რომ დაინახავენ, მარტო სამუდამო იქ ყოფნა და დასვენება ურჩევნიათ ყველაფრენ.

ასეთი იყო გლეხი კაცის ყოფა, სანამ ერთ-ერთი ჩვენი ნახსენები ოჯახი არ აითვალწუნებდა სოფელს და სამშობლოდან შორს, სადღაც მშრალ უდაბნოში წასვლას არ გადაწყვეტდა. მიზეზიც არა პქონდათ, უბრალოდ მობეჭრდათ თურმე აქაურობა. უკვე ისე პქონდათ მუშაობაც კი მობეჭრებული, რომ ოქრო კი არა, ბრილიანტის საბადოებისკენ მიდიოდნენ, მაგრამ სწორი აღგილი კი ვერ შეურჩევიათ. ნახშირიან შავ მიწაში რომ თეთრსა ექებ, თან ისე ღრმად, რომ ვერ მიგიწვდება, სჯობს იქ დაჯდე, სადაცა ხარ. მაგრამ დაბრმავდა ეს კაცი და მართლაც უკვე რომ აიყარებს და მეორე დღეს მიდიოდნენ სიყვითლეში, აქაოდა ამ კაცს ანგელოზი დაესიზმრა. სიზმარსაც ისე პყვებოდა შემდგომ, რომ გამოიღვიძა, როგორც ცხადსა. თურმე დასიზმრებია ბურუსი, მწვანე ბურუსი. რაღაც არაამქეცენიური. ჯერ რაღაც განათებულა, შეძლევ გამოსახულა კაშკაშა ფიგურა. პატარა ბავშვებს პგავდნენ. თავიდან ეგონა, ესენი ჩემი ბავშვები დამესიზმრენ, მაგრამ როცა მკრთალად გამოკვეთილი იდეალური სახის მოყვანილობა, ოქროსფერი კულულა თბა და თეთრი სამოსი დაინახა შეცბა. ამ ბავშვს უთქვია : “რას სჩადი? შენ ისე გემართება, როგორც იმ შენისთანა კაცს, რომელსაც ფეხსაცმელი არ პქონდა და ბედს უჩიოდა, ვიდრე არ ნახა კაცი, რომელსაც ფეხი არ პქონდაო“. ამის



შემდეგ გაეღვიძა, გონჩე მოვიდა და მიხვდა კიდევაც თავის შეცდომას. იმაზეც წუხდა, ეს რომ არ მომხდარიყო სად აღმოვჩნდებოდიო. თან თავსაც იდანაშაულებდა, ეს როგორ მომივიდაო.

იმ დღის შემდეგ იმ კაცმა დაფასება ისწავლა, სიხარბის მნიშვნელობაც. ეს ოჯახი სრულიად შეიცვალა. ყოველთვის შრომობდა და შრომობდა, კარგი მოსავალიც აიღეს, კარგი ფული იშოვეს და იცხოვრეს კიდევაც დიდი ხანი, რადგანაც ის სიტყბო შეინარჩუნეს, რაც გაცოცხლებს.

ასეა, მანამ ვერ ვაფასებთ რა გვაქვს, სანამ მთლად არ დავკარგავთ.

## საზოგადო სახელმწიფო უნივერსიტეტი

უკონკურსო მონაწილე

წერა ჩემთვის თავშესაფარიავწერ ყველაფერზე რაც მტკიცა და მაწუხებს, ალბათ არც თუ ისე კარგად, მაგრამ ვცდილობ ჩემი განცდები გადმოგცებულების საზოგადოებაში სიყარულის ნაელებობას და სიყარულის სახელით გამეფებულ ეგოზიზს გხედავ რაც განსაკუთრებით მაწუხებს, გაზი კი ჩემი ცხოვრების ნაწილია ბავშვობის ტკბილი მოგონება, აწმყო და იმედს ვიტოვებ მომავალიც.

## ვაზისა

უფროსის დავალებით სიუჟეტი მომემზადებია თელავის ბაღებზე, კახეთისკენ მიმავალ გზას დავადექი, მივდიოდი და მხოლოდ იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?!“ დასაწყისი მიტრიალებდა გონებაში. პირველდ მიუყვებოდი კახეთის გზას და ნელ-ნელა ცოცხლდებოდნენ ჩემს თვალწინ კადრები, კახეთი დღემდე ჩემთვის ვაზთან და ლვინოს-თან ასოცირდებოდა და თანდათან ვრწმუნდებოდი რო არ ვცდებოდი.... ფიქრის დრო ბევრი მქონდა და შესაბამისად ალბათ უკვე მეათედ მაინც გადავხედე ბაღების სიას, სად წავიდე? საიდან დავიწყო? ერთი კითხვა მიტრიალებდა თავში, და პასუხიც უცებ მივიღე: იყალთოს საბავშვო ბაღი.... რატომაც არა იყალთო ქართული მწიგნობრობის და სულიერების აკვანი.... განათლება ძველად და დღეს.... შედარების კარგი შანციც მქონდა და გეზი სწორედ იყალთოსკენ ავიღე.... იყალთო-სოფელი საქართველოში თელავის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 700 მეტრი, თელავიდან შეიძირ კილომეტრი. სოფლის მახლობლად დგას იყალთოს მონასტერი, მოსახლეობა 2034 ადამიანი — დავგუგლე და სწორედ ეს ინფორმაცია მოვიზიე იყალთოზე. სასტუმროც აქვეა რამაც კიდევ უფრო გაამყარა ჩემი არჩევანი.

სასტუმრო სავანეთში დავბინავდი და ნამდვილ სავანეში ვიგრძენი თავი. სანამ მუშაობას შეუდგებოდი გადავწყვიტე ცოტა ფეხით გამევ-



ლო და საბავშვო ბალიც მენახა.ბალის ეზოში მოხუცი ბაბუ იჯდა სასხლავით ხელში,

— გამარჯობა ბაბუ!როგორ ხარ?-მივესალმე უფრო ზრდილობის გულისთვის ვიდრე გულით

— ცხოვრებას ვუძლებ ბაბუ!-იყო გულიდან წამოსული პასუხი.

— აქ მუშაობ ბაბუ?

— არა ბაბუ ვაზის გასასხლავად შემოვედი..... დღეს ყველაფერს ტექნიკა აკეთებს, მალე მგონი ადამიანები საჭიროც აღარ იქნებიან და უსაქმურობით დავიხოცებით.

— არ მოგწონთ ახალი ცხოვრება?

— რა არის მოსაწონი ბაბუ?-კითხვაზე კითხვითვე მიპასუხა

— ცხოვრება წინ მიდის და ეს არ მოგწონთ?

— რაც კარგია ის მოწონს ბაბუ როგორ არ მოწონს, მაგალითად ის რომ ეს ბალი გარემონტდა და აქ მოეწყო გათბობის ავტომატური სისტმა,ჩვენთან საწვავად გამოიყენება დაქუცმაცებული ლერწი.-ეს საინტერესო გამოგონებაა ბაბუ და მე ამით ვამაყობ.

გუშენდი მოხუც ბაბუს და შემრცხვა რადგან ეს ყველაფერი არ ვიცოდი თან კი გულის სიღრმეში სიხარულით ავცემუტდი:" საინტერესო და სასარგებლო სიუჟეტის თემა ვიპოვე.

— როგორც იქნა ვაზი დაფასდება საქართველოში!-განაგრძობდა საუბარს მოხუცი.

— გიყვარს ვაზი? ვაზი უფრო გიყვარო თუ დვინო?

— მიყვარს შვილო აბა არ მიყვარს? ვაზის სიყვარული ქართველ კაცს გენში აქვს.

— ვაზის არა ბაბუ ღვინის და ისიც სუფრაზე!-ვცადე და შეუსწორე მოხუცს და ვიგრძენი როგორ დაეტყო სახეზე გაბრაზება, როგორ აემღვრა თვალები

— ცდები ახალგაზრდავ თუ ღვინის და ვაზის სიყვარული მარტო ლოთობა გგონია!ვაზის მოვლა და ღვინის სმა ორივე ცალ-ცალკე კარგად შესასწავლი ხელოვნებაა.

— ძალიან გიყვარო ორივე?

მოხუცმა პასუხი არ გამცა, წამოდგა და ბალის ეზოში გაიარგამოიარა. მოხუცი ბაბუ სასხლავით ხელში თავს დანანებით იქნევდა ნეტავ



რა გაახსენდა? შორეული წარსული? გუშინდელი დღე? ხვალინდელ დღეზე და ჩვენს მომავალზე ჩაფიქრდა?

უცებ გრუხუნის ხმა დაიმა და ცაზე რამდენჯემე გაელა... მოხუცი შეცბა,შუბლზე ხელი მოისვა და ჩაიღლაპარაკა: — დალახვროს ღმერთმა მგონი წვიმას აპირებს.

— და რატომ წუხხართ?ამ ადუდებულ გარემოს ცოტას გააგრილებს, ჯერც შხეც ცაზეა

— მშე რომ ცაზეა ეგ არის პრობლემა ბაბუ, ეს ჭრაქია  
— ჭრაქი რა არი?

— მოსპობს ვაზს მოსპობს!-თითქოს ჩემი კითხვა არც გაუგონია ისე ჩაიღლაპარაკა თავისთვის.

ასეთი სუსტია ვაზი?-ვკითხე გაკვირვებით

— სუსტი და მერე როგორი სუსტი,ვაზი და ქალი ორივე სუსტი არსებებია, ამაზე გიფიქრია?

მოხუცს გაკვირვებით გავხედე, რამდენი რამისთვის შემიღარებია ცხოვრების მანძილზე ქალი ვინ იცისმაგრამ მისი ვაზთან შდარება აზრადაც კი არასდროს მოშველია,

— სად ვაზი და სად ქალი?

— ჩვენ კაცებს ორივე გვიყვარს, ორივე გვჭირდება,0რივეს მოვლას ვალდებულებად ვიღებთ, თუმცა ჩვენდა უნებურად ხშირად ჩვენს მოვალეობას პირნათლად ვერ ვასრულებთ და ორივეს ვტკენთ. ორივეს ცრემლს ვადენთ ხოლმე

მართლაც უცნაური მოხუცია გავიფიქრე და ჩამოვჯექი იცი ლეგენდა ვაზზე?— საუბარს განაგრძობდა მოხუცი.

არა ჩავილაარაკე დამაჯერებლად.

— ლეგენდის მიხედვით იყალშორს მიწაზე ულამაზი ასული “ვაზსა “ ცხოვრობდა,მას გრძელი ოქროსფერი კულულები წელზე ეშთამაშშებოდა, მისი სახე კი მთვარესავით ანათება ყველას უღიმოდა, წელი წვრილი და ფეხები გრძელი ქონდა, მისი სილამაზე ველას ატყვევებდა, თუმცა სრულყოფილი ხომ არავინ არის ამქვეყნად, ნაკლი მასაც ჰქონდა, ის ობოლი იყო და სამოწყალოდ იზრებოდა მეზობლების ხარჯზე. თუმცა ამ ფაქტს მისოვის ნამდგილი სიყვარულის პოვნაში ხელი არ შუშლია, მას და ვაჟიას სიგჟემდე უყვარდათ ერთმანეთი,



ვაჟია იყალთოს ყველაზე შეძლბული და ღირსეული ოჯახის შვილი იყო, თითქოს მათ სიყვარულს არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა და ბედნიერი დასასრულიც უნდა პქონოდა, მაგრამ

ვაჟია სოფლის ჯადოქარს მოსწონებია და შეკვერებია. ბოროტ არსებებს სიყვარული მხოლოდ საკუთრება პგონიათ, და სიყვარულის სახელით ცდილობენ ბოროტების ჩადენას, დიდი მცდელობის მიუხედავად მან ვაჟიადან მკაცრი უარი მიიღო:

— არ მოგატყუებ ჩემი გული და გონება სხვა ქალს ეკუთვნის და ჩემს ცხოვრებაში ვერ შემოგიშვებ-იყო ვაჟის დამაჯერებელი პასუხი ამპასუხმა ჯადოქარი კიდევ უფრო გააცოფა და თქვა:

— “მოკვდი თუ ჩემი არ იქნები”

ჯადოქრის ჯადოქრობამ შედეგი გამოიღო, ვაჟია დასნეულდა, ჯერ ფერი დაკარგა, თვალები ჩაუდამდა, მოციმციმე ვასკვლავები ჩაუქრა თვალებში, შემდეგ სხეულს ძალა გამოეცალა და ლოგინად ჩავარდა.... ბევრი ეცადნენ მშობლები ვაჟის მკურნალობას, მთელი ქონება მას შეწირეს მაგრამ ამაოდ.

მთელი ეს პერიოდი ვაზისა გვერდიდან არ მოშშორებია ვაზისას, მისთვის ლოცულობდა, წამლებს საკუთარი ხელით ასმევდა, ერთდღე-საც როდესაც იგრძნო რომ საყვარელ არსებას სამუდამოდ კარგავდა ჯადოქარს მიაკითხა

და დახმარება სთხოვა:

მხოლოდ ერთი პირობით მოვხსნი ჯადოს — მკაცრად და დამაჯერებლად ეღერდა ჯადოქარის ხმა — მხოლოდ ერთი პირობით გამოჯანმრთელდება, თუ მის სიყვარულზე უარს იტყვი.

— გადარჩება?-აუთოროლდა ხმა ვაზისას

— თუ მის სიყვარულზე უარს იტყვი კი....გადარჩება მაგრამ შენ არ ემახსოვრები....

— შეძლებს ბედბიერი იყოს უჩემოდ?

— შეძლებს — ღრიალებდა ჯადოქარი

— მე თანახმა ვარ!.... მთავარია ის გადარჩეს, მთავარია ბედნიერი იყოს და მეტი მე რამინდა...როდესაც გიყვარს მისი ბედნიერება და კარგად ყოფნა უნდა გახარებდეს.

საკუთარი ხელით დაალევინა ჯადოქრის მოშადებული წანალი




ვაზისაში ვაჟის გამოჯანმრთელებას რამოდენიმე დღე დასჭირდა.... როდესაც გონის მოვიდა მისი გობებიდან ვაზისა სრულიად გამქრალი იყო ..პურიქიათ ის ადგილი უკვე ჯადოქარს ეკავა.

მალე ვაჟია და ჯადოქარი დაქორწინდნენ ამბობდნენ ეს ყველაზე საშინელი დღე იყოო ბუნების ისტორიაში... მთელი დღე დამეტე კოკისპირულად წვიმდა და მთელი სოფელი წალეკაო. იმადაც ამბობენ იმ ღამით ჯადოქრის ნაჩუქარი სითხე დალია ვაზისამო.. თქმით ბევრი ითქვა იმ ღამეზე მაგრამ ფაქტი კი ერთი იყო იმ დღის მერე ვაზისა აღარსვის უნახავს.. ხოლო მეორე დილით ვაჟის ოჯახში უცნაური მცენარე გაჩნდა ოქროსფერი მტევნებით დახუნძლულიო... იმასაც ამბობდნენ ღმერთს მარადიულად ვაჟისა გვერდით დგომა და გასაჭირში მისთვის დახმარების გაწევის ძალა შექოვაო და ეს სურვილი აუხდაო.... ბედნიერი ოჯახი ყოველთვის ვაზის ძირში იკრიბებოდნენ... ოჯახურ პრობლემებს გამოქცეული ვაჟია ვაზის ნაყოფის წენს აფარებდა თავს... ხოლო ზამთარში როდესაც სიცივე შეაწუხებდათ ვაზის ლერწით ახურებდნენ ბუხარს.... ასე გაჩნდა მარადიული სიყვარულის ერთგულების და ოჯახური სითბოს სიმბოლო ვაზი...

მოხუცი გაჩუმდა მე კი მინდოდა კიდევ გაეგრძელებია საუბარი... ალბათ ხვალ შევძლებ ბალზე სიუჟეტის მოშადებას დღევანდელ დღე კი ამ უცნაურ ლეგენდაზე ფიქრში უნდა გავატარო.

## სარჩევი

წინასიტყვაობა. . . . .	3
„იყალთოელი ბიჭები“ („რუსო დარბაიძე“) . . . . .	5
ჭიაკოკონა („რკინის მწურავი“) . . . . .	12
დაკარგულები (ხატია ქრისტესიაშვილი). . . . .	16
თეთრი ღილილი („ნინა გორდაძე“). . . . .	20
ოჰ, ეს ნაცარქექია (მზია თვალაბეიშვილი) . . . . .	25
იყალთოელი ნათია („ლადო გელაური“) . . . . .	30
მარიამი, პრემიერ-მინისტრი და დედამიწა (ლევან ლორია) . . . . .	36
პაემანი შემოდგომაზე (ნაზი ღარიბაშვილი) . . . . .	43
გლეხური ფილოსოფია („ლელა მგელაძე“) . . . . .	49
დედა, მამა, ტრაქტორი და სხვის შვილები ბაღში (ქეთევან ბარნაბიშვილი) .	55
ბებო (მზია უორულლიანი) . . . . .	60
სინერგია დედამიწაზედ (ქეთი იმერლიშვილი) . . . . .	65
ვაზის წალამობა (თემურ ტაბატაძე) . . . . .	72
კახეთის სიყვარული (მანანა კაკაჩია) . . . . .	75
ნახვამდის ლურჯო ცაო! („აკაკიოს ენასანდრასიძე“) . . . . .	78
ვაზის ალერგია („ვანანო“) . . . . .	83
ქრისტესისხლა („ფინქ ფლოიდი“) . . . . .	89
ირგვლივ მწვანე ბურუსია (ნინო ბენდელიანი) . . . . .	92
ვაზისა (ხათუნა სახვაძე). . . . .	95



ISBN 978-9941-8-2466-1



9 789941 824661 >